ოსები ისვრიან, ქართველები გზას კეტავენ A2

პოლიტიკური კორექტულობა და განათლების რეფორმა A8

საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ასპექტი B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 26 ოქტომბერი, 2004 წელი. №254 (803)

ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### "საქართველოს რკინიგზა" ზედმეტ ქონებას ელევა

ერთ-ერთი პირველი სტადიონი "ლოკომოტივი" იქნება. ლოკომოტივის სტადიონი დღეს 35 მილიონ ლარად არის შეფასებული, ცოტა უფრო ნაკლები ღირებულებისაა მასზე დამაგრებული 11 ჰექტარი მიწა.

A4

## უცხოეთი

### ლიტვას ეთნიკურად რუსი პრემიერ-მინისტრი არ სურს



არჩევნებში გამარჯვების მიუხედავად, რუსული წარმოშობის მილიონერ ვიქტორ უსპასკიხს ლიტვის პრემიერ-მინისტრობა აუხდენელ ოცნებად დარჩა.

A5

## საზოგადოება

### რას გადაწყვეტს სასამართლო...



"კათარზისის" წარმომადგენლები შენობის კვლავ ბალანსიდან ბალანსზე გადაცემას ითხოვენ. მერია კი 10 წლის ვადით უზურფრუქტის წესით გადაცემას სთავაზობს. ხვალ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებულ დავას უზენაესი სასამართლო განიხილავს.

A6

იურიდიული ოფისი „მაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ოთარ ცეცხლაძე დახვრეტას ითხოვს

### ინტერვიუ საპყრობილედან



ოთარ ცეცხლაძე



ნოდარ ქარცივაძე

შორენა გოგიჩაიშვილი
"24 საათი-აჭარა"

*საუბარი იმაზე, რომ ხულოსა და შუახევის გამგებლები უკანონოდ არიან დაკავებულნი, აჭარის ყველა სტრუქტურასა და ნებისმიერ ოჯახშიც კი ისმის. უფრო მეტიც, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოთარ ცეცხლაძის დაცვის საგანგებო საბჭო შეიქმნა, სადაც ხულოს გამგებლის გათავისუფლების მოთხოვნის განცხადებას 500 ადამიანი აწერს ხელს. იმან, რომ უმრავლესობის დეპუტატთა მიერ წარდგენილი შუამდგომლობა სასამართლომ არ გაითვალისწინა, სასამართლოს ობიექტურობის შესახებ უმაღლესი საბჭოს ოპოზიციასაც შეურყია წარმოდგენა და სახელისუფლებო ძალებსაც. ოპოზიციის აზრით, აჭარაში სასამართლოები დაკვეთებს ასრულებენ, თუმცა დამკვეთების დასახელებისაგან დეპუტატები თავს იკავებენ. შს მთავარი სამმართველოს მიერ ხულოსა და შუახევში ჩატარებული სპეცოპერაციით უკმაყოფილო ოპოზიცია საუბრობს იმაზეც, რომ შს მთავარი სამმართველოს უფროსის გიორგი პაპუაშვილის ქმედებას გარკვეული პოლიტიკური დაძაბულობა შეაქვს აჭარის რეგიონში. ამ მიზეზით ფედერალური სამსახურისაგან ინფორმაციის მისაღებად უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ მახარაძემ გიორგი პაპუაშვილი სამჯერ მიიწვია სხდომაზე, მაგრამ პაპუაშვილმა (რომლის უფროსიც, მისივე განცხადებით, მხოლოდ შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილია) უმაღლესი საბჭოს გამოძახება ყურად არ იღო და მისი პოზიციით უკმაყოფილო დეპუტატებმა შს მთავარი სამმართველოს უფროსის გადაყენებაზეც კი დაიწყეს საუბარი. დეპუტატებმა პაპუაშვილს ორდღიანი ვადა მისცეს საკანონმდებლო ორგანოს წინაშე წარსადგენად, თუმცა ვადა ამოიწურა, პაპუაშვილი კი სხდომაზე არ გამოცხადებულა. უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ისევ აპირებენ ხულოსა და შუახევის გამგებლების განთავისუფლების თაობაზე სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენას. შუახევისა და ხულოს გამგებლები კი ბათუმის მესამე საპყრობილის საკანში წინასწარი სამთვიანი პატიმრობის სასჯელს იხდიან და ფიქრობენ, რომ მალე დაიბრუნებენ "უკანონოდ წართმეულ თავისუფლებას". ოთარ ცეცხლაძე ხულოს გამგებლად რევოლუციის შემდგომ დაინიშნა. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ის კომუნისტების დროსაც იბრძოდა და 1989 წლის 9 აპრილს მოწამვლის შედეგად ჯანმრთელობა დღესაც შერყეული აქვს. თბილისში მომხდარი "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მის ოჯახში იკრიბებოდნენ აბაშიძის მთავრობის ოპოზიციაში მდგარი ადამიანები და უდიდესი ზეწოლის მიუხედავად, დიქტატორული რეჟიმის დასამხობად აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ.*
*ოთარ ცეცხლაძე ბათუმის საპყრობილის მეათე საკნიდან გვესაუბრება.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## მთავრობისა და პარლამენტის დაპირისპირების მეორე რაუნდი

გიორგი ასანიშვილი

*მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მთავრობისა და პარლამენტის დაპირისპირება მანამდე დაკონსერვდა, ვიდრე გაირკვევა, დააკმაყოფილებს თუ არა მინისტრთა კაბინეტი კანონმდებელთა მოთხოვნებს. თუმცა, შესაძლოა, "ზავი" უფრო ადრეც დაირღვეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ორი სახელისუფლებო შტოს წარმომადგენლები ახალი საგადასახადო კოდექსის საბოლოო ვარიანტზე შეთანხმებას ვერ მოახერხებენ.*

ომი თუ მშვიდობა? - ეს საკითხი პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის რომან გოცირიძის მონაწილეობით გამართულმა შეხვედრამ უნდა გადაწყვიტოს.

**"მუშაობას დღეს საღამოს 5 საათზე დავიწყებთ და, ალბათ, ხვალ დილის 5 საათისთვის დავასრულებთ. არანაირი საჭმელი არ იქნება, გარდა ხაჭაპურისა. ასეთი მკაცრი მენიუ თავად პრემიერმა შეადგინა, ეტყობა, იმ გათვლით, რომ ნოღაიდელს მოშივდება და უკან დაიხევს. ამიტომ, თუ გვინდა, რომ ძალიან არ დავიტანჯოთ, დროულად უნდა შევთანხმდეთ. რაც შეეხება ვახშმის ხარჯებს, იგი პრემიერ-მინისტრის ხელფასიდან დაიფარება,"** - პარლამენტის ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ, საკმაოდ კარგი განწყობით გაეშურა სახელმწიფო კანცელარიაში რომან გოცირიძე.

გაგრძელება A2 გვერდზე

## სამხედრო დანაშაულთა ქრონიკა და შედეგები პოსტრევოლუციურ საქართველოში

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება", სპეციალურად "24 საათისთვის"

*"ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა არაერთი ხმაურიანი დაპატიმრება განხორციელდა. თუმცა, გისოსებს მიღმა ძირითადად კორუფციულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი სამოქალაქო მინისტრები აღმოჩნდნენ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება გაცილებით ლმობიერი იყო სამხედრო პირების მიმართ, მათი მხრიდან რევოლუციის დღეებში გამოვლენილი ნეიტრალიტეტის გამო. მაგრამ ბათუმის მოვლენებისა და, განსაკუთრებით, ცხინვალის კრიზისის შემდეგ, ვითარება შეიცვალა და სისხლის სამართლის საქმე ერთბაშად რამდენიმე მოქმედ მაღალი რანგის სამხედროზე აღიძრა.*

### "გენერალთა საქმეები"

ახალი ხელისუფლების დროს ქართველმა სამართალდამცველებმა ყველაზე პირველად გენერალი გიორგი ვაშაკიძე დააკავეს. პოლიციის ინფორმაციით, ვაშაკიძეს, რომელიც რუსეთის გენერალური შტაბის აკადემიის მსმენელი და "მხედრიონის" ერთ-ერთი აქტიური წევრი გახლდათ, ბრალი ედებოდა ბიზნესმენ თამაზ მაღლაკელიძის გატაცების ორგანიზებაში.

გენერალ ვაშაკიძის შემდეგ, სამართალდამცველებმა ასლან აბაშიძის რეჟიმის მომხრე ორი გენერალი, 25-ე ბრიგადის მეთაური რომან დუმბაძე და აჭარის უშიშროების მინისტრის მოადგილე გოგი კუპრეიშვილი დააპატიმრეს. პირველი ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე იყო შერაცხული მოღალატედ მთავარსარდლისადმი დაუმორჩილებლობისა და იმ მუქარების გამო, რასაც ცენტრალური ხელისუფლების

გაგრძელება A3 გვერდზე

## საგადასახადო კოდექსი - მორჩენილი თავისტკივილი

ვერიკო თევზაძე

*პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან გამართული გუშინდელი თათბირი წარმატებული აღმოჩნდა: საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე ამ შეკრებაზე შენიშვნების თორმეტკილოგრამიანი საქაღალდით შევიდა და გამოსვლისას განაცხადა, რომ შენიშვნები ერთ კილოგრამამდე შემცირდა. წუხელ მთავრობამ და პარლამენტმა ზურაბ ჟვანიას კაბინეტში საგადასახადო კოდექსის პროექტი ნაწილობრივ შეაჯერეს.*

ყველაზე წინააღმდეგობრივი საკითხები, რომლებიც საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის არსებობდა, კანონპროექტის პირველი მოსმენის დონეზე გადაწყდა. გარკვეული საკითხების დეტალური განხილვა და, შესაბამისად, პარლამენტსა და მთავრობას შორის კამათი მეორე მოსმენაზე გაგრძელდება.

**"ადმინისტრაციულ ნაწილში რამდენიმე სერიოზულ კომპრომისს მივაღწიეთ. ორივე მხარემ დათმო. გადაწყდა ყველაზე რთული საკითხი - როდის გადაიხადოს დარიცხული სანქცია გადამხდელმა, სასამართლომდე თუ სასამართლოს შემდეგ? ჩვენ მივიღეთ კომპრომისული გადაწყვეტილება: სახელმწიფოს არა აქვს უფლება ამ თანხების ავტომატური ჩამორთმევისა, მაგრამ თანხები რომელიმე სპეცანგარიშზე იქნება გაჩერებული მანამ, სანამ სასამართლო დავა არ დამთავრდება.**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ტურიზმი და ქართული ჩუქურთმა



*ეს სახლი სულ ცოტა სამი საუკუნისაა და ის ერთ ქართველ თავადს ეკუთვნოდა...*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

B7

## ამინდი

| | 26/10 | 27/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | 22 |
| ქუთაისი | 26 | 28 |
| ბათუმი | 26 | 28 |
| სოხუმი | 23 | 27 |
| ფოთი | 26 | 29 |
| თელავი | 21 | 22 |
| ზუგდიდი | 26 | 29 |
| გორი | 19 | 21 |
| ახმეტა | 21 | 22 |
| ჭიათურა | 22 | 24 |
| გაგრა | 22 | 26 |
| სამტრედია | 26 | 28 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8325 |
| ევრო | 2.3415 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3705 |
| რუბლი | 0.0635 |

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 დისკუსია

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 თვალსაზრისი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# ოსები ისვრიან, ქართველები გზას კეტავენ

*25 ოქტომბერს, დაახლოებით დილის ხუთი საათისათვის, ცხინვალის მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლების - აჩაბეთისა და თამარაშენის მიმართულებით სხვადასხვა ტიპის მსხვილკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროდნენ. ღამის სროლებს მსხვერპლი არ მოჰყოლია.*

სოფო ბუკია

შერეული საკონტროლო კომისიის თითქმის ყველა სხდომაზე ერთ ტრადიციულ გადაწყვეტილებას იღებენ - კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ურყევ ტრადიციად იქცა აღნიშნული გადაწყვეტილების არშესრულებაც. **"ჩვენ ომი არ გვინდა, მხოლოდ მშვიდობას ვითხოვთ... მაგრამ, ყოველ ღამე გვესვრიან, ვინმემ ხომ უნდა დაგვიცვას? სანამ არ ამოგვხოცავენ, ხმას არავინ ამოიღებს?"** - ასეთია ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლების მოსახლეობის განწყობა.

25 ოქტომბერს ღამით, ინტენსიური დაცხრილვის შედეგად, სოფელ აჩაბეთში ქართული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები დაზიანდა. მოსახლეობის მტკიცებით, მათ სოფელში ხუთი ჭურვი ჩამოვარდა. ერთ-ერთი ჭურვი აჩაბეთელი გოდერძი ზოზიაშვილის სახლს მოხვდა, რის შედეგადაც სახლი მთლიანად ამორტიზირებულია.

ქართული სოფლების მკვიდრნი უკიდურესად შეშფოთებულნი არიან. გუშინ დილით მოსახლეობამ ცხინვალი-ჯავის ავტომაგისტრალი გადაკეტა. მოპიკეტეების მოთხოვნა ტრადიციული გახლდათ -შეწყდეს სროლები ქართული სოფლების მიმართულებით. მოსახლეობამ, აგრეთვე, შერეული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობისგან ცხინვალის მიერ კონტროლირებადი შეიარაღებული ფორმირებების კონფლიქტის ზონიდან გაყვანა მოითხოვა.

მსგავსი აქცია ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლების მაცხოვრებლებმა ერთი კვირის წინაც გამართეს და მხოლოდ მას შემდეგ დაიშალნენ, რაც სოფელ თამარაშენთან სამმხრივი - ქართველი, ოსი და რუსი სამხედრო დამკვირვებლების საგუშაგო გაიხსნა. 25 ოქტომბერს, გამთენიისას, ცხინვალის ე.წ. ტექსტილის დასახლებიდან ცეცხლი სწორედ ამ საგუშაგოს მიმართულებით გაიხსნა.

შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა მიხეილ ქარელმა გუშინ დაცხრილული სახლები მოინახულა და აქციის მონაწილეებს შეუერთდა. იგი ოსური შეიარაღებული ფორმირებების მიერ ცეცხლის გახსნაზე პასუხისმგებლობას კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალს მარატ კულახმეტოვს აკისრებს, მას ტენდენციურობაში ადანაშაულებს და კულახმეტოვის კონფლიქტის ზონიდან გაწვევას მოითხოვს.

რუსი გენერალი აქციის მონაწილეების მოთხოვნით თავადაც მივიდა მოპიკეტეებთან. მან მოსახლეობას უსაფრთხოებისა და ცეცხლის შეწყვეტის გარანტია ვერ მისცა. სამაგიეროდ ოსების ადვოკატობა სცადა. **"დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, ოსური მხარის მიზანი ნამდვილად არ არის ის, რომ თქვენ საკუთარი სოფლები და საცხოვრებელი სახლები დატოვოთ და აქედან გადაიხვეწოთ. ასეთი პოლიტიკა ოსურ მხარეს არა აქვს, "** - აღნიშნა კულახმეტოვმა მოსახელეობასთან შეხვედრისას.

**"ჩვენ ამის მოთმენას დიდხანს არ ვაპირებთ. დაველოდებით კიდევ რამდენიმე დღე და თუ ისევ გაგრძელდა სროლები, მაშინ საპასუხო ცეცხლს გავხსნით. ისინიც ჩვენსავით უნდა შეწუხდნენ,"** - განაცხადეს კულახმეტოვთან საუბარში აჩაბეთის მკვიდრებმა.

როგორც შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა აქციის მონაწილეებს განუცხადა, სამშვიდობო ძალების მუშაობის შედეგად ოსური სოფელი - მონასტერი იქ მოქმედი ბანდფორმირებებისგან უკვე გათავისუფლებულია. აღნიშნული ინფორმაციის გადასამოწმებლად პრეზიდენტის რწმუნებულმა, აქციის წევრებთან ერთად, სოფელ მონასტრის დათვალიერება მოითხოვა. შერეულ დელეგაციას, რომელშიც გენერალი კულახმეტოვიც იმყოფებოდა, ოსური პოზიციები დაცლილი დაუხვდა, თუმცა, როგორც ქარელი აღნიშნავს, მაინც მოხერხდა ტყეში მიმალული შეიარაღებული ოსების დაფიქსირება.

პირველი ოფიციალური კომენტარი 25 ოქტომბერს განხორციელებულ სროლებთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა.

**"ოსური მხარე დროდადრო ცდილობს, საზოგადოებას შეახსენოს, რომ ცხინვალის ხელისუფლებას გარკვეული შეიარაღება აქვს. მე იმედი მაქვს, რომ დეტალურად გაირკვევა, თუ საიდან იყო სროლა და ვინ არის ყოველივეზე პასუხისმგებელი,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ "ქორთიარდ მარიოტში" სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე.

**"მთავარია, ქართულმა მხარემ ცხინვალის რეგიონში მოსახლეობის უსაფრთხოება უზრუნველყოს, ამის შესაძლებლობა და ბერკეტები არსებობს. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული ხელისუფლება ხვდება, რომ მათი ლოგიკური დასასრული მოახლოებულია და ცდილობს, პროვოკაციების მეშვეობით გაიხანგრძლივოს არსებობა. მათი მხრიდან წამოწყებულ პროვოკაციებს არ უნდა ავყვეთ,"** - აცხადებს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხში გოგა ხაინდრავა.

ოფიციალური ცხინვალი გუშინ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვიზიტს გამოეხმაურა. არაღიარებული რესპუბლიკის ინფორმაციისა და ბეჭდვის კომიტეტის ოფიციალურ საიტზე გაჩნდა ინფორმაცია იმის, შესახებ, რომ ბარამიძე ცხინვალის რეგიონში სიტუაციის დასაზვერად ჩავიდა, რადგან **"არ არის გამორიცხული, მზადდებოდეს ცხინვალის რეგიონში ქართული ქვედანაყოფების შეჭრა". "საქართველოს ხელისუფლება, ადგილობრივი მასმედიის დახმარებით, კვლავ აგრძელებს საკუთარი მოსახლეობის დარწმუნებას იმაში, რომ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის გადაწყვეტა მხოლოდ სამხედრო გზითაა შესაძლებელი,"** - აღნიშნულია წერილში, რომლის შინაარსიც გუშინ რუსულ საინფორმაციო სააგენტოებშიც გაჩნდა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი ბარამიძემ რამდენიმე დღის წინ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის საინსპექციო მონახულების შემდეგ განაცხადა, რომ ოფიციალური თბილისი ცხინვალის ნებისმიერ პროვოკაციას ცეცხლით უპასუხებდა. თუმცა, ქართულ მხრეს საპასუხო ცეცხლი გუშინ არ გაუხსნია.

■ ■ ■

სამხრეთ ოსეთში იმ ჰუმანიტარული დახმარების გაცემა იწყება, რომელიც ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას რუსეთის ფედერაციის საგანგებო საქმეთა სამინისტროსგან საჩუქრად ერგო.

"დახმარებას სამხრეთ ოსეთის ყველა მოქალაქე მიიღებს. ჰუმანიტარული ტვირთი თანაბრად განაწილდება, თუმცა პირველ რიგში 1989-1992 წლებში დაღუპულთა ოჯახებს დავეხმარებით," - აცხადებს სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის ჰუმანიტარული კომისიის თავმჯდომარე ლევ ნანიევი.

რუსეთის საგანგებო საქმეთა სამინისტრო ცხინვალის რეგიონში ჰუმანიტარულ დახმარებებს ივლისის თვიდან ახორციელებს. ცხინვალის რეგიონისთვის ჰუმანიტარული დახმარება მოსკოვის მერიამაც გამოყო. **24 საათი**

■ ■ ■

რამდენიმე დღის წინ ოსი შეიარაღებული პირების მიერ გატაცებული ვანო ბაბუციძე გუშინ სახლში დაბრუნდა. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოფელ აჩაბეთის მკვიდრი ბაბუციძე სამი დღე დაკარგულად ითვლებოდა.

ბაბუციძის გატაცების ფაქტი აჩაბეთის მოსახლეობამ გუშინ ცხინვალი-ჯავის ავტომაგისტრალზე გამართულ აქციაზეც გააპროტესტა. ისინი კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობისგან ამგვარი შემთხვევების აღკვეთას მოითხოვენ.

როგორც გაირკვა, ბაბუციძე სოფლის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიიდან ოსმა შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს და ცხინვალის მილიციაში ჰყავდათ დაკავებული. ბაბუციძე სასტიკად ნაცემია. **24 საათი**

# მთავრობისა და პარლამენტის დაპირისპირების მეორე რაუნდი



*პარლამენტის ბიუროს წევრები მთავრობასთან კომპრომისისთვის მზად არიან.*

იური ლობოდინის ფოტო

პირველი გვერდიდან

მისივე თქმით, დათმობებზე ორივე მხარე უნდა წავიდეს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩიხში შესვლა გარდაუვალია. ამასთან, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ხაზს უსვამს, რომ ინიციატივა საკანონმდებლო ორგანოს ხელშია: მთავრობას პარლამენტში უკვე შემოტანილი აქვს საგადასახადო კოდექსის პროექტი, რომელშიც ის ვეღარაფერს შეცვლის, ხოლო თუ დეპუტატებს რაიმე არ მოეწონებათ, ალტერნატიული ვარიანტის დაყენება შეეძლებათ.

რომან გოცირიძე ადასტურებს, რომ მთავრობა და პარლამენტი რამდენიმე საკითხში ვერ თანხმდებიან. ეს არის ფიზიკურ პირთა დაბეგვრა, ბანკებთან ურთიერთობა, რკინიგზის საკითხი და სხვა. თუმცა, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე მაინც იმედიანად არის განწყობილი და ვარაუდობს, რომ კომპრომისის მიღწევა მოხერხდება. გოცირიძის ოპტიმიზმი მომდინარეობს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სურვილიდან, რომ **"ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს"**.

თუ მთავრობა და პარლამენტი პოზიციების შეჯერებას მოახერხებენ, მაშინ ახალი საგადასახადო კოდექსის განხილვას საკანონმდებლო ორგანო ამ კვირაშივე შეუდგება, წინააღმდეგ შემთხვევაში, განხილვის ვადები გადაიწევს. ამ უკანასკნელ ვარიანტს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიუღებლად მიიჩნევს, რადგან უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე მსჯელობა შემჭიდროვებულ ვადებში წარიმართება.

**"აკვიატებული არა გვაქვს, რომ მთავრობამ ჩვენი ყველა შენიშვნა აუცილებლად გაითვალისწინოს, მაგრამ არის პრინციპული საკითხები, რომლებსაც აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა დაეთანხმოს. ჩვენი და მთავრობის მთავარი ფუნქცია ის კი არ არის, რომ ერთმანეთს ცხოვრება გავუმარტივოთ, არამედ ის, რომ მოსახლეობას ცხოვრება გავუიოლოთ,"** - აღნიშნავს პარლამენტის სპიკერი. ნინო ბურჯანაძის აზრით, ახალი საგადასახადო კოდექსი ისეთი უნდა იყოს, რომ, ერთი მხრივ, აღმასრულებელ ხელისუფლებას გადასახადების ამოღების შესაძლებლობა მისცეს, მეორე მხრივ კი, მეწარმეები მათ საქმიანობაში ზედმეტი ჩარევისგან დაიცვას.

საგადასახადო კოდექსის განხილვის პროცესში, შესაძლოა, კიდევ ერთმა სირთულემ იჩინოს თავი. საქმე ისაა, რომ წინა მოწვევის პარლამენტს პირველი მოსმენით უკვე მიღებული აქვს "მრეწველების" მიერ შემუშავებული საგადასახადო კოდექსის პროექტი. ამიტომ, დეპუტატებმა არ იციან, რა მოუხერხონ მას. აღნიშნული დოკუმენტის გაწვევის შემთხვევაში, შეიქმნება ცუდი პრეცედენტი, რომელმაც მომავალში შეიძლება უარყოფით საპარლამენტო ტენდენციებს დაუდოს სათავე. მეორე გზაა ამ დოკუმენტის მეორე მოსმენით განხილვა და მისი შეგნებულად ჩაგდება, მაგრამ ეს საკმაო დროს მოითხოვს და დღევანდელი მთავრობის მიერ პარლამენტში შეტანილი კანონპროექტის განხილვას შეაფერხებს.

ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით მთავრობასთან დამოკიდებულების საკითხი უმრავლესობის გუშინდელ დახურულ სხდომაზეც მთავარ თემას წარმოადგენდა. დეპუტატების ნაწილი მოითხოვდა, რომ საკანონმდებლო ორგანოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ მკაცრი კურსი გაეტარებინა და თავისი მოთხოვნები ბოლომდე დაეცვა, მეორე ნაწილი კი მინისტრთა კაბინეტთან საერთო ენის გამონახვას ემხრობოდა და ჟვანიასთან მოლაპარაკებებზე მიმავალ კოლეგებს კომპრომისისკენ მოუწოდებდა.

# დეპუტატებს ტრეფიკინგში სდებენ ბრალს

გიორგი ასანიშვილი

ცხინვალის რეგიონში მდგომარეობის დაძაბვისა და ოსური მხრიდან ცეცხლის გახსნის ფაქტზე კომენტარს აკეთებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. იგი გაოცებულია რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელის განცხადებით, რომ "მას არ შეუძლია, ყველა და ყველაფერი აკონტროლოს".

**"თუ სამშვიდობოები ვერ ახერხებენ, რომ ცეცხლი არ გაიხსნას და ქართული სოფლები არ დაიბომბოს, მაშინ კონფლიქტის ზონაში მათი ყოფნა აზრს კარგავს. აუცილებელია, რომ მშვიდობის დარღვევის თითოეულ ფაქტზე მათ ადეკვატური რეაგირება მოახდინონ. არ შეიძლება, სამშვიდობო ძალებმა ეს პასუხისმგებლობა მოიხსნან,"** - აღნიშნავს ნინო ბურჯანაძე. მისივე შეფასებით, კონფლიქტის ზონაში ცეცხლის გახსნას გუშინ ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა და სიტუაციის განმუხტვა სავსებით შესაძლებელია.

■ ■ ■

ნინო ბურჯანაძის თქმით, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის წამებასთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაცია მას არ გააჩნია.

"კონკრეტულ გვარსა და სახელს მნიშვნელობა არა აქვს. მიუღებელია, ვის მიმართაც არ უნდა იყოს დარღვეული საპროცესო ნორმები. თუ მოლაშვილის წამების ფაქტები დადასტურდება, ეს საგანგებო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს და დამნაშავეები დაისაჯონ", - აცხადებს პარლამენტის სპიკერი.

■ ■ ■

როგორც ირკვევა, წინა და ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტში შევიდა მასალები იმის შესახებ, რომ ზოგიერთი დეპუტატი ტრეფიკინგით არის დაკავებული. პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ვასილ მაღლაფერიძემ დაჟინებით მოითხოვა გაირკვეს, რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სინამდვილეს.

■ ■ ■

გიგა ბოკერიას მოთხოვნით, 26-29 ოქტომბრის პარლამენტის პლენარული სხდომების დღის წესრიგში შევიდა კანონპროექტი "მაუწყებლობის შესახებ". დღის წესრიგში შეტანილია აგრეთვე ვასილ მაღლაფერიძის ინიციატივით შემუშავებული კანონპროექტი "უმაღლესი განათლების შესახებ". აღსანიშნავია, რომ ანალოგიური დასახელების კანონპროექტი პარლამენტში მთავრობამაც წარმოადგინა. ამიტომ, თუ მათი ძირითადი დებულებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოვა, საფუძვლად ერთ-ერთი მათგანი იქნება აღებული.

# საგადასახადო კოდექსი - მორჩენილი თავისტკივილი

პირველი გვერდიდან

**რაც შეეხება სპეციალურ ნაწილს, სადაც საუბარია გადასახადების სახეებზე, ზოგიერთი ნაწილი გადაიდო მეორე მოსმენისთვის. ბოლომდე ვერ მივაღწიეთ შეთანხმებას,"** - აღნიშნა გოცირიძემ. მისი განმარტებით, მიწის გადასახადი დარჩა ძველ რეჟიმში. ქონების გადასახადის მაქსიმალური ლიბერალიზება მოხდება, თუმცა ეს საკითხი პირველი მოსმენისას არ განიხილება. **"ურთიერთშენიშვნების 70-80 პროცენტი მოგვარებულია,"** - დასძენს გოცირიძე.

ჯერჯერობით, შეთანხმება ვერ მოხერხდა იმპორტული მანქანების დაბეგვრასთან დაკავშირებით. ეს საკითხიც მეორე მოსმენისთვის გადაიდო. სხვა დეპუტატებთან ერთად, გუშინდელი ხუთსაათიანი შეხვედრით უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარე მაია ნადირაძეც კმაყოფილი იყო, ოღონდ მას მთავრობასა და პარლამენტს შორის ურთიერთობა იმდენად ეფაქიზება, რომ გამოთქმა "კომპრომისის" გამოყენებას უფრთხის. **"მოდით, ნუ ვისაუბრებთ ასე, ეს არ ყოფილა კომპრომისი, გადავწყვიტეთ ისე, როგორც ქვეყნისთვის არის სასარგებლო,"** - ასეთია მაია ნადირაძის დასკვნა.

ნიკო ლეკიშვილის ინფორმაციით, ოთხშაბათის სხდომაზე მთავრობა ფინანსური ამნისტიის საკითხს განიხილავს. **"წარმოდგენილი სქემა პირადად ჩემთვის მოსაწონია. საუბარი ეხება როგორც ფინანსურ, ასევე საგადასახადო ამნისტიას,"** - აცხადებს ლეკიშვილი და სხვა დეტალებზე საუბრისაგან თავს იკავებს. გოცირიძეც იმავე პოზიციაზე დგას. **"ამის შესახებ კომენტარი თავად მთავრობამ უნდა გააკეთოს,"** - განუმარტა ჟურნალისტებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ. ერთადერთი, რაც რომან გოცირიძეს წამოსცდა, ის გახლავთ, რომ ამნისტიის ახალი პროექტის მიხედვით, ე. წ. მილიონიანი ზღვარი მოიშლება. გუშინდელ თათბირზე გაირკვა, რომ საგადასახადო პროექტის 25 ოქტომბერს შეჯერებულ ვარინტს მთავრობა საპარლამენტო ფრაქციას ოთხშაბათს წარუდგენს. ხოლო ხუთშაბათისთვის უნდა გაიმართოს პლენარული სხდომა, სადაც პროექტს პირველი მოსმენით განიხილავენ.

გუშინდელ სხდომას არ ესწრებოდა ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, რომელსაც, როგორც მოგეხსენებათ, შაკიკი აწუხებს. თუმცა, თუ ტკივილებზე მიდგება საქმე, ნოღაიდელზე უკეთეს დღეში არც ხელისუფლების დანარჩენი წარმომადგენლები იმყოფებიან. ფაქტია, რომ ახალმა საგადასახადო კოდესმა მთლიანად ხელისუფლებას აატკივა თავი.

## მოკლედ

### სოხუმში საქართველოს სახელმწიფო დროშები გამოფინეს

სოხუმის ფილარმონიის შენობაში, სადაც აფხაზეთის პრეზიდენტობის კანდიდატის, რაულ ხაჯიმბას მომხრეები არიან შეკრებილნი, დაუდგენელმა პირებმა ღამის საათებში საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სურათები და საქართველოს სახელმწიფო დროშები გამოფინეს. რაულ ხაჯიმბას საარჩევნო შტაბად გადაქცეულ ფილარმონიის შენობაში საქართველოს პრეზიდენტის სურათებისა და საქართველოს დროშების გამოფენის ფაქტთან დაკავშირებით, ფილარმონიის შენობაში ხაჯინბას მომხრეებთან შესახვედრად სოხუმის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ნოდარ ხაშბა, თავად ხაჯიმბა და უშიშროების მინისტრი მიხეილ ტარბა მივიდნენ. ნოდარ ხაშბამ მომხდარი ქართული მხარის პროვოკაციად შეაფასა.

"ამ პროვოკაციის უკან საქართველოს ხელისუფლება დგას, რომელიც აფხაზებს შორის დაპირისპირებისა და სისხლისღვრის გაღვივებას ცდილობს," -განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ნოდარ ხაშბამ მომხდარის კომენტირებისას. მომხდართან დაკავშირებით, სოხუმის ფილარმონიის შენობაში პრეზიდენტობის კანდიდატ რაულ ხაჯიმბას მხარდამჭერთა 700-კაციანი აქტივი შეიკრიბა**. ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ სამხედრო-სავალდებულო სამსახურში საშემოდგომო გაწვევის აქტიური ეტაპი დაიწყო. ყველა ახალგაზრდა, ვინც გაწვევას ექვემდებარება, ვალდებულია წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტებში გამოცხადდეს. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, საშემოდგომო გაწვევის პროცესი 12 ოქტომბრიდან დაიწყო, თუმცა ეს პერიოდი საორგანიზაციო საკითხებს და წვევამდელებისათვის შეტყობინებათა გაგზავნას დაეთმო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 28-29 ოქტომბერს ქალაქ სოჭში გაიმართება დსთ-ს ქვეყნების სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭოს 52-ე სხდომა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს დელეგაცია საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბადრი ბიწაძის ხელმძღვანელობით. სხდომაზე განიხილავენ ოპერატიული ინფორმაციების გაცვლასთან დაკავშირებულ საკითხებს, შეაჯამებენ 2004 წლის მუშაობის შედეგებს, დამტკიცდება 2005 წლის სამოქმედო პროგრამა. **მედია-ნიუსი**.

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სოხუმში რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯარისკაცებსა და მოძრაობა "ამცახარას" წევრებს შორის მომხდარი ჩხუბის შედეგად, "ცისფერჩაფხუტიანები" სამხედრო ჰოსპიტალში მოხვდნენ. კონფლიქტის ზონაში განლაგებულ სამშვიდობო ძალების ჯარისკაცებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ამცახარას" აქტივისტებს შორის ჩხუბი "ცისფერჩაფხუტიანთა" შტაბის წინ მოხდა, რომელიც მოსკოვის სამხედრო ოლქის სანატორიუმ "სოხუმშია" განთავსებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასტუმრო "მარიოტში" ეუთოს ეგიდით გაიმართა სემინარი, რომელიც სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებს ეძღვნებოდა. სემინარს დაესწრნენ ეუთოს უმაღლესი კომისარი როლფ ეკეუსი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, პარლამენტის წევრები და საქართველოში არსებული ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები.სემინარის ძირითადი თემა იყო საქართველოში ეროვნული უმცირესობის ინტეგრაციის საკითხში მასმედიის, განათლების და კულტურის როლი.

ეუთოს უმაღლესი კომისრის როლფ ეკეუსის განცხადებით, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებმა საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად რომ იგრძნონ თავი, ამისთვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, განსაკუთრებით კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მათთვის ქართული ენის შესწავლა გახდეს ხელმისაწვდომი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსული ტელეკომპანია "ნტვ"-ს მთავარმა პროდიუსერმა ალექსანდრ ლევინმა ჟურნალისტური წარუმატებლობა უწოდა ტელეკომპანიის ეთერში გასულ დოკუმენტურ ფილმს "მიშა", რომელიც საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ეხებოდა. როგორც ლევინმა რადიოსადგურ "ეხო მოსკვისთან" ინტერვიუში განაცხადა, ფილმი ეთერში გასვლის წინ კი ნახა, მაგრამ ეს ერთი დღით ადრე მოხდა და ფილმის გადაკეთება ველარ მოესწრებოდა. "თემა, თავისთავად საინტერესო იყო, რადგან სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები გამწვავდა. სალაპარაკო ამ თემაზე ბევრი იყო, თუმცა იმას, როგორც ეს მოხდა, საერთოდ გაჩუმება სჯობდა", - აღნიშნა პროდიუსერმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში, სადაც რაულ ხაჯიმბას სარჩელის განხილვა განახლდა, უკვე მისცეს ჩვენება დე-ფაქტო ხელისუფლების უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა მიხეილ თარბამ და ბესლან ბეიამ. მათ, ფაქტობრივად, დაადასტურეს, რომ ცესკომ "საპრეზიდენტო" არჩევნების შედეგები პოლიტიკური ზეწოლის შედეგად გამოაცხადა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის ყოფილმა ვიცე-სპიკერმა ვახტანგ ყოლბაიამ და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილმა პირველმა მოადგილემ რუდიკ ცატავამ ორი ფრაქცია - "ახალი აფხაზეთი" და "დაბრუნება" ჩამოაყალიბეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის თბილისში ვიზიტის საკითხის დამუშავება. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის მოადგილის ბორის მალახოვის თქმით, ვიზიტი რუსი მინისტრის ამიერკავკასიაში ვიზიტის ფარგლებშია გათვალისწინებული, მაგრამ თარიღი მოგვიანებით დაზუსტდება. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფარუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ოთარ ცეცხლაძე დახვრეტას ითხოვს

პირველი გვერდიდან

**- რისთვის აღმოჩნდით საკანში?**

- სამართლიანი და უანგარო მუშაობისთვის. ხულოს სამოცდაათამდე სოფელი რომ ჩამოიაროთ, ერთი ადამიანი არ იქნება ისეთი, ვინც იტყვის, რომ ერთ ფიცარზე მაინც მქონდა ინტერესი, არათუ კუბომეტრებზე და ხით დატვირთულ მანქანებზე.

**- როგორი მდგომარეობა იყო ხე-ტყის ჭრასთან დაკავშირებით ხულოს რაიონში თქვენი გამგებლობის დროს?**

- წინა წლებთან შედარებით, ეს პრობლემა მინიმუმამდე იყო დაყვანილი. რევიზია სისტემატურად ტარდებოდა და ამ მინიმუმის აღმოფხვრასაც ვცდილობდით. ბოლო დღეებში ხულოში ამოსული იყვნენ გარემოს დაცვის სამმართველოს თანამშრომლები, რომლებმაც ეკოლოგიის სამმართველოში გააგზავნეს ინფორმაცია ხე-ტყის უკანონო ჭრასთან დაკავშირებული კონკრეტული ფაქტების შესახებ. რაც შეეხება ხე-ტყით დატვირთულ იმ მანქანას, რომლისთვისაც უკანონოდ ვზივარ, მოგახსენებთ, რომ ხულოს, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის რაიონის მშენებარე თუ სარემონტო სკოლებისთვის მასალის მისაწოდებლად სპეციალური საინიციატივო ჯგუფი არსებობს. სწორედ ამ საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, ბიზნესმენი ჯამბულ ბოლქვაძე იყო იმ ხე-ტყით დატვირთული მანქანის მეპატრონე. ეს მანქანა ხუთშაბათს დავაკავეთ სათანადო დოკუმენტაციის არქონის გამო. პარასკევს მითხრეს, რომ ეს სკოლის მასალა იყო, მაგრამ მაინც არ გავუშვი, რადგან მეპატრონეს არ გააჩნდა ტყის მოსაჭრელი ბილეთების საკმარისი რაოდენობა. შაბათს ჩამოვედი ლევან ვარშალომიძესთან შესახვედრად, მაგრამ მთავრობის თავმჯდომარემ ვერ მოიცალა, რადგან თურქ ბიზნესმენებს მასპინძლობდა. კვირას შევხვდი კობა ხაბაზს და სხვა პარლამენტარებს. ხულოში, ფაქტობრივად, ორშაბათამდე არ ვიმყოფებოდი. ორშაბათს დილით კი, მოგეხსენებათ, რაც მოხდა.

**- იყო თუ არა ზემდგომი ორგანოებიდან ზარები ხე-ტყით დატვირთული მანქანის გაშვების მოთხოვნით?**

- იყო, მაგრამ ვისგან, ამას ჯერ არ დავასახელებ.

**- არსებობს ინფორმაცია, რომ გამგებლად მუშაობის პერიოდში ხულოს პოლიციის მუშაკებისაგან ზეწოლას განიცდიდით.**

- მაქსიმალურად ხელს მიშლიდა ხულოს პოლიციის უფროსი ედნარ ჩიტაძე და სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ჯაყელი, რომლებიც ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ ჩემზე. ამის შესახებ საუბარი მქონდა შს მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროსთან დავით ღლონტთან, მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეებთან. ჩემს დაკავებდე ერთი კვირით ადრე საქმის კურსში ჩავაყენე შს მთავარი სამმართველოს ამჟამინდელი უფროსი გიორგი პაპუაშვილიც, რომელიც ხულოში ჩამოსვლას და საქმეში გარკვევას დამპირდა. ის მართლაც ჩამოვიდა ჩვენთან, მაგრამ ხულოს პოლიციამ შეცდომაში შეიყვანა.

**- აქ როგორ გეპყრობიან?**

- მეზობელ საკნებში "ბაბუინები" სხედან და ისინი ცდილობენ ჩემზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენას.

**- სასამართლო პროცესზე განაცხადეთ, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობაზე თანახმა ხართ...**

- სასამართლოს შემდეგ გამომძიებელი თვალით არ მინახავს. გამომძიებელი არაფერს ეძებს, რადგან საძებარი, მათი აზრით, არაფერია და როცა ეტყვიან, მაშინ გამიშვებენ. მიუხედავად გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნისა, ჩემ მიმართ არავითარი საგამოძიებო მოქმედება არ მიმდინარეობს. გამოძიებისთვის მინიჭებული სამი თვე იმას არ ნიშნავს, რომ დროის ეს მონაკვეთი ნარზე იკოტრიალო.

**- საუბრობენ იმაზეც, რომ მთავრობის თავმჯდომარესთან ლევან ვარშალომიძესთან გქონდათ საუბარი ხულოში არსებული ხე-ტყის უკანონო ჩეხვის შესახებ. ეს საუბარი თქვენს დაკავებასთან რაიმე კავშირში ხომ არ არის?**

- დარწმუნებული ვარ, ბატონ ლევანს წინასწარ რომ სცოდნოდა ჩემი დაკავების შესახებ, არ მისცემდა მათ ამის საშუალებას, სანამ ჩემს დანაშაულში არ დარწმუნდებოდა.

**- არსებობს ინფორმაცია, რომ თქვენი დაკავება თბილისიდან არის ორგანიზებული..**

- თბილისში წასვლა საჭირო არ არის, ადგილზე არიან ამის ჩამდენი ძალები. ეს ძალები არ ემორჩილებიან ლევან ვარშალომიძეს. არის რაღაც წყალქვეშა დინებები, რომელთა არსებობის შესახებ მთავრობის თავმჯდომარემ არ იცის.

**- რა შეგიძლიათ თქვათ თქვენი კაბინეტიდან ამოღებული თანხისა და ჩანთების შესახებ?**

- ჩემს კაბინეტში აღმოჩენილი ფული სკოლების მშენებლობისა და გარემონტებისთვის იყო განკუთვნილი. მინისტრთა საბჭომ (არ ვიცი, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად) ბათუმის პორტისა და სარფის საბაჟოებს მშენებარე სკოლებისთვის გარკვეული თანხის გამოყოფა დაავალა. ამის გაკონტროლება კი რაიონის გამგეობას დაევალა. სწორედ ამიტომ იყო ეს თანხა ჩემს სეიფში. უკანონო ხე-ტყესა და იმ ფულს შორის არანაირი კავშირი არ არის. თუ იმ ფულიდან ერთი თეთრი მაინც იქნება არამიზნობრივად დახარჯული, ყველაფერზე პასუხს ვაგებ.

დაკავებამდე ერთი დღით ადრე ჩემთან ჩამოსული იყო ქვემო თხილვანის სკოლის დირექტორი, სოფლის გამგებელთან ერთად, და დაახლოებით 1 000 ლარი გავეცი. მე ვიცი, რომ სიყალბეზე ხელი არ მომიწერია და არც მოვაწერ. ასევე იყო საუბარი პრეზიდენტის მიერ გაცემულ 40 ჩანთაზე. მე, ოთარ ცეცხლაძე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, თუ იქიდან ერთი ჩანთა მაინც სკოლისა იყო, მაშინ მე დახვრეტას ვითხოვ. ეს ჩანთები და ქუდები ამ ზაფხულში ამოიტანა ერთ-ერთმა ფირმამ "ყაზბეგმა" ან "კოკა-კოლამ" და მათზე ფირმის სარეკლამო წარწერა, რასაკვირველია იქნება. ჩანთები პატარა ზომისაა, ბავშვის სათამაშოები ჩავა მხოლოდ, მასში ერთი წიგნიც არ ჩაეტევა. ეს არ არის მოწაფის ჩანთა. ისინი სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულთათვის საპრიზოდ იყო განკუთვნილი. მათი ნაწილი სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილე ბავშვებს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ნარიმან ჯორბენაძემ დაურიგა. ეს ან არ იცის აჭარის შს მთავარი სამმართველოს უფროსმა, ან უნდოდა ეჩვენებინა, რომ პედაგოგმა და ლექტორმა კაცმა მოწაფეს ჩანთა მოვპარე. ეს ჩემთვის ამაზრზენია.

**- თქვენი მაგიდის ერთ-ერთ უჯრაში ასლან აბაშიძის ფოტოსურათიც აღმოაჩინეს, საიდან?**

- დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რომ ის მაინცადამაინც ვიღაცამ შემომიგდო. ჩემამდე ეს კაბინეტი შოთა აბაშიძის იყო და იქ სხვა "ბაბუინებიც" მოღვაწეობდნენ, რომელთაც, ალბათ, ჰქონდათ ეს კალენდარი. ხულოს გამგებლად დანიშვნის შემდეგ კაბინეტში "დეზინფექცია" არ ჩამიტარებია, ამიტომ, ალბათ, სადღაც იყო და ჩხრეკისას გამოჩნდა.

**- ფიქრობთ, რომ საბოლოოდ გაწირული ხართ თუ კიდევ გაქვთ რაიმეს იმედი?**

- ჩემი აქ ყოფნა სამართლიანობისადმი უპატივცემულობაა. დარწმუნებული ვარ, რომ გამათავისუფლებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიცი, რასაც ვიტყვი ხვალ და ზეგ. მე არა ვარ ვიღაც შარახვეტია. იმედი მაქვს, სამართალი იზეიმებს.



ასე დააპატიმრეს შუახევის გამგებელი.

■ ■ ■

შუახევის გამგებელი 24-ე საკანში ზის. ნოდარ ქარცივაძე გამოძიებით უკმაყოფილოა და შეთხზულ სცენარზე საუბრობს.

- ჩვენი დაკავება პაპუაშვილის მიერ შეთხზული და შემდეგ განხორციელებული ფარსია. ის დევნის აჭარის ადგილობრივ კადრებს და, საერთოდ, ფეხებზე ჰკიდია ადამიანის უდანაშაულობა. ამიტომაც სიმართლის დადგენისთვის არც კი იბრძვის. ხე-ტყე ადიგენიდან მოდიოდა, ჩამოვიდა ხულოში და სამი დღე იდგა. ჩვენ არ გავატარეთ ეს მანქანა, მაგრამ ზემდგომებმა გვთხოვეს, რომ გაგვეტარებინა ისინი.

**- კონკრეტულად ვინ გთხოვათ?**

- ამ საკითხს არ გავახმაურებ, რადგან სასამართლო დღისთვის მჭირდება. ისე კი, ყველამ იცოდეს, რომ ხე-ტყის მაფიას ხელს უწყობენ გარკვეული პირები და პრეზიდენტი საბოლოოდ დარწმუნდება იმაში, რომ აჭარაში ადგილობრივი კადრების მიმართ ზეწოლა ხდება. პაპუაშვილს ნუ ჰგონია, რომ აჭარაში "პაპუასები" არიან, მას რომ პასუხი მოეთხოვება, ამას საზოგადოება უახლოეს პერიოდში დაინახავს.

■ ■ ■

როგორც აჭარაში ამბობენ, პირველად ოთარ ცეცხლაძემააფრიალა საქართველოს ერთიანობის დროშა ხულოს რაიონში. ხულოს გამგებელი ღორჯომში სტუმრად ჩასული პრეზიდენტის საპატივცემულოდ გაშლილი სუფრის თამადა იყო. ის ჯერ კიდევ რევოლუციამდე ხულოში ჩასულ გოგა ხაინდრავასთან და რამდენიმე მხარდამჭერთან ერთად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა ყოფილი დიქტატორის წინააღმდეგ. დღეს ის იმედის თვალით შეჰყურებს საკნის კედელზე მის მიერ გაკრულ მიხეილ სააკაშვილის სურათს (რის გამოც მასზე ფიზიკური ზეწოლაც სცადეს მეზობელ საკანში მყოფმა "ბაბუინებმა"). პრეზიდენტისა და სიმართლის გამარჯვების იმედზე დარჩენილი გამგებლები კრიმინალების ბედს იზიარებენ და კვლავ ოთხ კედელში გამომწყვდეულები განაგრძობენ ცხოვრებას.

# სამხედრო დანაშაულთა ქრონიკა და შედეგები პოსტრევოლუციურ საქართველოში

პირველი გვერდიდან

მისამართით საჯაროდ გამოთქვამდა აჭარის კრიზისის დღეებში. არსებობს ინფორმაცია, რომ გენერალი გოგი კუპრეიშვილს საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუხებლობასაც დაჰპირდა, თუმცა, საბოლოო ჯამში, დაპატიმრებას ვერც კუპრეიშვილი გადაურჩა.

საპატიმროში იმყოფება უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული სამსახურის ყოფილი უფროსი გენერალი ლევან კენჭაძე, რომელსაც გამოძიება იარაღის უკანონო ვაჭრობას, უფრო ზუსტად, უშიშროების მინისტრის ყოფილ მოადგილეს გიგი უგულავას თუ დავესესხებით, "იარაღის ჩამოწერასა და გაქრობას" ედავება. ორიოდე კვირის წინ იარაღის უკანონო ვაჭრობის ბრალდებით დააკავეს საარტილერიო პოლკის მეთაური პოლკოვნიკი დიასამიძე, დაბოლოს, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოქმედი ქართულ სამშვიდობო ბატალიონის ყოფილი მეთაური, პოლკოვნილი მიხეილ ქებაძე, რომლის დაპატიმრება ნამდვილ სკანდალად იქცა.

ქართველ მშვიდობისმყოფელთა ყოფილ სარდალს, უშიშროების სამსახურის ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ გასულ პარასკევს 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მეორე დღეს კი, საგამოძიებო იზოლატორში გადაყვანილი ოფიცერი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. მიხეილ ქებაძე, რომელიც თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს, აცხადებს, რომ მისთვის "გაუგებარი დარჩა, როგორც დაპატიმრების, ისე გათავისუფლების მიზეზი."

მაგრამ, პოლკოვნიკ ქებაძის ხმაურიანმა დაპატიმრებამ და მისმა მოულოდნელმა გათავისუფლებამ საზოგადოების წარმომადგენლებიც გვარიანად დააბნია. თუ ყოფილი სარდლის მიმართ მტკიცებულებები არადამაჯერებელი იყო, რატომ გამოიტანა მათზე დაყრდნობით სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების გადაწყვეტილება? ან რა მოხდა ისეთი ერთი დღის განმავლობაში, რამაც სასამართლოს გადაწყვეტილება რადიკალურად შეცვალა? პასუხი ამ შეკითხვაზე არ ჩანს.

## რა კრიმინალი იმალება საუტილიზაციოდ გამზადებული საბრძოლო მასალის უკან?

გასულ კვირას კი, საქართველოს უშიშროების სამინისტროს მუშაკებმა, რომლებსაც სპეცოპერაციაზე ნიღბიანი მებრძოლების გარდა რამდენიმე ტელეკომპანიის ჟურნალისტიც ახლდათ, დაჭრილი და ჯართში ჩასაბარებლად გამზადებული საზენიტო ქვემეხები და ჭურვები დედოფლისწყაროს სამხედრო ბაზის საწყობში "აღმოაჩინეს." ტელეკომპანიების მიერ გავრცელებულ კადრებს უმალვე მოჰყვა სახელმწიფოს უმაღლესი პირების კომენტარი. თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ, რომლის უშუალო დაქვემდებარებაშიც, სხვათა შორის, ზემოხსენებული ბაზა იმყოფება, განაცხადა: "ვინც სამხედრო ტექნიკას ჰყიდდა, ქვეყნის ღალატში ედება ბრალი და მწარედ ინანებს." ანალოგიური იყო უშიშროების მინისტრის გამოხმაურებაც. ვანო მერაბიშვილი დარწმუნებულია, რომ მოქმედი საბრძოლო ტექნიკა ჯართად ჩამოიწერა და თანაც მაშინ, როცა "სამხრეთ ოსეთში სიტაუაცია დაიძაბა და ქართულ ჯარს იარაღი ჰაერივით სჭირდებოდა." უშიშროების მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელია, ჩვენთან სატელეფონო საუბარში შეეცადა, კვალიფიკაცია მოეძებნა ღალატის ამ ვერსიისთვის: **"თუ უმაღლესი პოლიტიკური პირების ან აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირების დონეზეა ეს გაადწყვეტილება მიღებული, მაშინ უკვე ღალატიც შეიძლება გამოიკვეთოს."**

ახლა კი უფრო კონკრეტულად: რუსეთის არმიის დანატოვარი ზენორმატიული, ანუ საბრძოლოდ გამოუსადეგარი შეირაღებისა და საბრძოლო მასალების უტილიზაციისა და დაშლის შემდეგ, მათი რეალიზების შესახებ განკარგულება თავდაცვის სამინისტროში მომზადდა. საფუძვლად კი იქცა წინა ხელისუფლების დროს უშიშროების საბჭოს ექსპერტთა დასკვნა, რომელსაც ყველა პირველმა პირმა დაუჭირა მხარი. უტილიზების პროგრამა, საქართველოს ხელისუფლების თხოვნით, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ 400 ათასი დოლარის ფარგლებში დააფინანსა.

უშიშროების საბჭოს ლიცენზიით კი, სამხედრო პროფილის სამეცნიერო დაწესებულება "გამა-ცენტრის" სპეციალისტებს უტილიზაციისა და გადამუშავებისათვის გადაეცათ რამდენიმე ათასი საარტილერიო ჭურვი და 122 ერთეული კს-19 ტიპის, საბჭოთა წარმოების 100 მილიმეტრიანი ქვემეხი, რომელიც ექსპლუატაციაში 50 წლის განმავლობაში იმყოფებოდა. მაგრამ რაკი ლიცენზიის გადაწყვეტილებას წინა ხელისუფლების დროს მოეწერა ხელი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილმა უფროსმა, გენერალმა გივი იუკურიძემ, 4 თვის წინათ სთხოვა უშიშროების საბჭოს, ხელახლა შეესწავლათ საკითხის კანონიერება.

გივი იუკურიძე: **"კომისიამ კიდევ ერთხელ გამოიტანა დასკვნა, რომ ეს გამოუსადეგარია, ზენორმატიულია, ყველანაირი ექსპლუატაციის პირობები დარღვეულია და ამიტომ მიზანშეწონილია გადეცეს საუტილიზაციოდ."**

მაგრამ უშიშროების სამინისტროში აცხადებენ, რომ ეუთო-ს პროგრამა არ ითვალისწინებდა კს-19 ტიპის საზენიტო ქვემეხების უტილიზაციას და "ძაღლის თავიც" სწორედ იქაა დამარხულია, თუ როგორ შეიტანეს ზენორმატიული შეიარაღების სიაში ამგვარი ტექნიკა.

ბათუ ქუთელია: **"რაც შეხება ეუთო-ს პროგრამას, ის ითვალისწინებდა მხოლოდ საბრძოლო მასალების და არა ქვემეხების უტილიზებას. აქედან გამომდინარე, საჭიროა, დადგინდეს, რამდენად სამართლიანად ჩამოწერა საბრძოლო ტექნიკა იმ უწყებამ, ვის პასუხისმგებლობასაც ის ექვემდებარებოდა და, შემდეგ: რამდენად სამართლაინად იყო გაცემული ლიცენზია მათ დაჭრაზე და ჯართად გაყიდვაზე."**

უშიშროების მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელია აღნიშნავს, რომ ამ საქმის ბოლომდე მისაყვანად, ანუ დანაშაულის კატეგორიის დასადგენად, ჯერ კიდევ უამრავი სამუშაოა ჩასატარებელი. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები დარწმუნებულნი არიან, რომ საქმე გვაქვს ღალატთან, რაც დამოუკიდებელ ექსპერტებში გაოცებას იწვევს.

"მოღალატეები და ღალატი" - ეს სიტყვები, ბოლო ხანს, სულ უფრო ხშირად ისმის საქართველოს ხელისუფლების განცხადებებში. მაგრამ სასამართლო ხელისუფლებას და საზოგადოებას, როგორც ეს პოლკოვნიკ ქებაძის შემთხვევაში გამოჩნდა, სულ უფრო უჭირს ამგვარი დასკვნების გაზიარება, საქმის რეალური ვითარებიდან გამომდინარე.

# შუალედური არჩევნები სენსაციების გარეშე

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ საქართველოს ოთხ საარჩევნო ოლქში - დიდუბეში, კრწანისში, გორსა და ზესტაფონში მაჟორიტარული არჩევნები გაიმართა. ცესკო-ს წინასწარი მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობა 65 350 ამომრჩეველმა მიიღო, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 36,3 პროცენტს შეადგენს. აქვე იმასაც დავძენთ, რომ მოსახლეობის ინტერესი ამ არჩევნებისადმი საკმაოდ დაბალი იყო და ბევრი ამ ციფრმა ერთობ გააკვირვა. მით უფრო, რომ მმართველ პოლიტიკურ გუნდში იმასაც შიშობდნენ, რომ არჩევნებზე არათუ ერთი მესამედი, ერთი მეხუთედიც კი არ მივიდოდა. ამიტომაც იყო, რომ უმრავლესობამ სასწრაფოდ, რეგლამენტის უხეში დარღვევით, მიიღო შესწორება საარჩევნო კანონში, რომლის "წყალობითაც", ასეთი ტიპის არჩევნებში ბარიერი გაუქმდა.

ამის მიუხედავად (თუკი საოლქო საარჩევნო კომისიების მონაცემებს ვენდობით), მოსახლეობას იმდენი პოლიტიკური თვითშეგნება ეყო, რომ არჩევნებზე მაინც მივიდა. ამით საქართველოს პრეზიდენტიც კმაყოფილი იყო, რომელმაც ამაყად განაცხადა, რომ საარჩევნო უბნებზე ხალხი იმაზე ბევრად მეტად აქტიურობდა, ვიდრე ყველას ეგონა.

**"ხალხს ცვლილებები უნდა. ხალხი ხედავს, რომ ამ ცვლილებებს ჩვენ ვახორციელებთ და ამიტომ არის აქტივობა უფრო მაღალი, ვიდრე ველოდით. გამიკვირდა, როცა ხალხი ამ შუალედურ არჩევნებზე მაინც მოვიდა,"** - განაცხადა პრეზიდენტმა

სამაგიეროდ, ლეიბორისტულმა პარტიამ ხელისუფლება არჩევნების ტოტალურ გაყალბებაში დაანაშაულა და საგაფიცვო კომიტეტების შექმნა დაიწყო, რომლებიც, როგორც პარტიის თავკაცი შალვა ნათელაშვილი იმუქრება, ხელისუფლების გადაყენების მოთხოვნით, მთელი საქართველოს მასშტაბით საპროტესტო აქციების ორგანიზებას უზრუნველყოფენ. მან საზოგადოებას არჩევნების შედეგების ალტერნატიული ვარიანტი წარუდგინა, რომლის თანახმადაც, დიდუბისა და კრწანისის საარჩევნო ოლქებში მისი პარტიის კანდიდატებმა - პაატა ჯიბლაძემ და სოსო შატბერაშვილმა გაიმარჯვეს, თუმცა, როგორც ლეიბორისტები ირწმუნებიან, ხელისუფლებამ "კარუსელებისა" და სიებში მკვდარი სულების შეყვანით, მათი ხმები გააყალბა. გუშინვე შალვა ნათელაშვილმა მიხეილ სააკაშვილს "საერთაშორისო კრიმინალი" უწოდა და გაერო-ს გენერალურ მდივანს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალისთვის მისი გადაცემისკენ მოუწოდა. "ლეიბორისტთა" ლიდერის თქმით, **"სააკაშვილთან ცივილიზებული პოლიტიკური მეთოდებით ბრძოლა შეუძლებელია და მისი ადგილი ციხეშია."**

რაც შეეხება არასამთავარობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა დასკვნებს: 24 ოქტომბერს ჩატარებულ შუალედურ არჩევნებში არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" დამკვირვებლებმა მცირე დარღვევები დააფიქსირეს. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის თამარ ჟვანიას განცხადებით, დიდუბის საარჩევნო ოლქის N 20 საარჩევნო უბნის კომისიამ 50 ბიულეტენს საარჩევნო უბნის ბეჭდის ნაცვლად დაარტყა "კანდიდატი მოხსნილია"-ს აღმნიშვნელი ბეჭედი, ხოლო N13 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველს პენსიონერის მოწმობით მიაცემინეს ხმა. გორის საარჩევნო უბანზე კომისიამ "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელს არ უჩვენა სიის დანართი; საარჩევნო უბნის თავმჯდომარის შვილი, პარლამენტის წევრი, უკანონოდ იმყოფებოდა უბანზე და დამკვირვებელს ემუქრებოდა.

თამარ ჟვანიას განცხადებით, 24 ოქტომბრის შუალედურმა არჩევნებმა, წინა არჩევნებისგან განსხვავებით, უკეთ ჩაიარა, თუმცა 28 მარტის არჩევნებისდროინდელი სიები იქნა გამოყენებული.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ ნონიკაშვილის თქმით, წინასწარი მონაცემებით, დიდუბის რაიონში "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" კანდიდატმა თემურ ჭეიშვილმა გაიმარჯვა. გუშინ, დღის პირველ ნახევარში ოფიციალურად ჯერაც არ იყო ცნობილი, თუ ვინ "დაეპატრონა" დეპუტატის მანდატს კრწანისის საარჩევნო ოლქში (სადაც, ჩვენი ინფორმაციით, რამდენიმე სერიოზულ დარღვევას ჰქონდა ადგილი). თუმცა გუშინ საღამოსთვის ყველაფერი თავის ადგილზე დადგა - გამარჯვებულად, ასევე წინასწარი მონაცემებით, ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე გამოცხადდა. რაც შეეხება გორის საარჩევნო ოლქს, იქ, წინასწარი მონაცემებით, პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" წარმომადგენელმა ჯუმბერ პატიაშვილმა გაიმარჯვა, რომელსაც მხარს სახელისუფლებო პარტია უჭერდა. ზესტაფონის რაიონმა კი მაჟორიტარად უალტერნატივო კანდიდატი (რაღა თქმა უნდა, "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი) თეიმურაზ ცერცვაძე აირჩია.

## საქართველოს პრეზიდენტს
## ბატონ მიხეილ სააკაშვილს
## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
## ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს
## საქართველოს პრემიერ-მინისტრს
## ბატონ ზურაბ ჟვანიას

*თბილისი, 12.10.2004*

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა საქართველოს მთავრობამ პარლამენტში წარადგინა ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი - "დაზღვევის შესახებ" კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ.

შემოთავაზებული კანონპროექტის მიხედვით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში რეგისტრირებულ და შესაბამისი ორგანოების მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო და/ან გადაზღვევის ორგანიზაციას შეუძლია დააფუძნოს საქართველოს ტერიტორიაზე წარმომადგენლობა (ფილიალი), რომელსაც ექნება უშუალოდ მზღვეველის საქმიანობის უფლება.

აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით ჩვენმა ასოციაციამ მიმდინარე წლის ივლისში უკვე მიმართა საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს, რათა მომხდარიყო კანონპროექტის საჯარო განხილვა, თუმცა აღნიშნულ მიმართვას შედეგი არ მოჰყოლია.

**დასანანია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ სადაზღვევო ინდუსტრიისათვის და ეკონომიკისათვის მთლიანობაში ასეთი მნიშვნელოვანი კანონპროექტები მომზადდა სადაზღვევო ინდუსტრიის მონაწილეობისა და ყოველგვარი საჯარო განხილვის გარეშე, სავარაუდოთ ერთი კონკრეტული უცხოური კომპანიის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.**

ჩვენი აზრით:

1. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეზღუდვებს და ბარიერებს უცხოური დაზღვევის და გადაზღვევის კომპანიებისათვის აწარმოონ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირების საშუალებით საქმიანობა. მათ აქვთ შეუზღუდავი უფლება დააფუძნონ საქართველოში სადაზღვევო ორგანიზაციები 100%-იანი წილით. წამყვან უცხოურ კომპანიებთან დიალოგიდან ჩვენ ვიცით, რომ **არსებული ლიბერალური რეჟიმი სრულად აკმაყოფილებს სოლიდურ კომპანიებს, რომელთაც გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმები შეიძლება ჰქონდეთ საქართველოში**.

2. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ:
კანონპროექტში ჩადებული ზედამხედველობითი მექანიზმები არ მისცემს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს საშუალებას ეფექტიანად განახორციელოს თავისი ფუნქციები უცხოური სადაზღვევო კომპანიების ფილიალების მიმართ. კანონპროექტის ამოქმედებით საქართველოს სახელმწიფო დე იურე ამბობს უარს საკუთარ ტერიტორიაზე დაიცვას მოქალაქეთა და მეწარმეთა ინტერესები და დე ფაქტო ანდობს აღნიშნულს სხვა ქვეყნების (ოცდაათი სხვადასხვა ქვეყნის) მარეგულირებელ ორგანოებს. ამასთან უაღრესად გართულდება სადაზღვევო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა.

3. **შემცირდება საგადასახადო შემოსავლები სადაზღვევო ინდუსტრიიდან:**
უცხოური კომპანიების ფილიალები დე ფაქტო არ გადაიხდიან მოგების გადასახადს, რადგან ყოველთვის ნახავენ მოგების შემცირების საშუალებას სათაო ოფისებში შესრულებული სამუშაოების გამოყენებით.
ასევე ფილიალები არ გადაიხდიან ჩვენი კანონმდებლობის მიერ დაწესებულ 4% - იან გადასახადს საზღვარგარეთ გადარიცხულ დაზღვევის და გადაზღვევის თანხებზე.

4. **კანონპროექტი სერიოზულად შეაფერხებს ინვესტირებას საქართველოში იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრირებულ სადაზღვევო ორგანიზაციებში,**. დღეს, როცა ხელისუფლების კურსი მიმართულია ქვეყანაში საინვესტიციო კაპიტალის შექმნისკენ, კანონპროექტის რეალიზების შემთხვევაში მოსალოდნელია საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების უდიდესი ნაწილის უცხოურ სადაზღვევო (სათაო) ორგანიზაციებში პირდაპირი გადინება. Gგარდა უშუალო უარყოფითი საინვესტიციო და ფისკალური ეფექტისა, ეს საბოლოო ჯამში ხელს შეუშლის სადაზღვევო აქტივების საქართველოში ინვესტირების ეკონომიკური მექანიზმების და ტრადიციების ჩამოყალიბებას.

5. კანონპროექტი უარყოფითად იმოქმედებს საქართველოში იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრირებული სადაზღვევო ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობაზე, რადგან ფილიალებისთვის ყველა თვალსაზრისით იქმნება გაცილებით უფრო მომგებიანი რეჟიმი. **ინდუსტრიაში შემცირდება სამუშაო ადგილები,** შედეგად კი შემცირდება ბიუჯეტის შემოსავლები საშემოსავლო გადასახადებიდან და სოციალური შენატანები.

**ხაზგასმით უნდა ავღნიშნოთ, რომ ქვეყანაში მსხვილი უცხოური სადაზღვევო კომპანიების მოზიდვის წინაპირობას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობასთან ერთად, წარმოადგენს სადაზღვევო ბაზრის განვითრების ხელშეწყობა. კერძოდ, მოქალაქეთა სოციალური დაცვის მიზნით, საერთაშორისო პრაქტასთან სრულ შესატყვისობაში ჯანმრთელობის, სიცოცხლის და საპენსიო დაზღვევის განვითარებისთვის საგადასახადო სტიმულების შენარჩუნება და დანერგვა. ვთვლით, რომ ეს მოსაზრება აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნას ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებისას. ასეთი პოლიტიკის გატარება საშუალებას იძლევა აქცენტი გაკეთდეს სოციალური უსაფრთხოების და საფინანსო ბაზრის გრძელვადიან განვითარებაზე და არა ცალკეული პრივილიგირებული სადაზღვეო კომპანიის მიერ ბაზრის ''ნაღების მოხსნაზე''.**

ჩვენი აზრით, მოცემული კანონპროექტის მიღება მკვეთრად შეასუსტებს მომხმარებლის დაცვის სახელმწიფო და არასახელმწიფო მექანიზმებს, შექმნის მნიშვნელოვან უთანაბრობას სადაზღვევო ბაზარზე და წარმოქმნის ბარიერს ქართული სადაზღვევო ინდუსტრიის და მთლიანად საფინანსო ბაზრის განვითარებისათვის.

იმედი გვაქვს, რომ საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტი არ მიიღებენ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას და საფუძვლიანად შეისწავლიან ამ საკითხს. ჩვენის მხრივ მზად ვართ მივიღოთ აქტიური მონაწილეობა აღნიშნული საკითხის პროფესიულ და საჯარო განხილვაში.

პატივისცემით,

**დევი ხეჩინაშვილი**
საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის
გამგეობის თავმჯდომარე

**ეკატერინე იაშვილი**
სადაზღვევო კომპანია "ალდაგი"

**ალექსანდრე ტულუში**
საერთაშორისო სდაზღვევო კომპანია
"იმედი L International"

**რამაზ კუკულაძე**
სადაზღვევო კომპანია
"ბრიტანეთი - კავკასია"

**გიორგი კვირიკაძე**
"საქართველოს საპენსიო და
სადაზღვევო ჰოლდინგი"

**დავით მაცაბერიძე**
სადაზღვევო კომპანია "სელბი"

# მთავრობას თბილი ზამთრის იმედი აქვს

ნიკა გილაურის პროგნოზით, გასულ წლებთან შედარებით, ენერგეტიკული თვალსაზრისით, წელს ბევრად უკეთესი ზამთარი იქნება. ეს პროგნოზი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა გუშინ, პარლამენტის ენერგეტიკის დარგში არსებულ დარღვევათა შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გააკეთა.

გილაურისთვის აშკარაა, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ენერგოსისტემაში "ვარდნის პროცესი შეჩერდა". ჰესებში მიმდინარეობს გაჩერებული აგრეგატების რეაბილიტაცია; ენგურჰესზე, რიონჰესზე და გუმათჰესზე ჩატარებულია აღდგენითი სამუშაოები, გამრიცხველიანების პროცესი კი კვლავ გრძელდება. **"ყოველივე ეს იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ წელს ბევრად უკეთესი ზამთარი იქნება, ვიდრე გასულ წლებში. გენერაციის გამომუშავება გაცილებით გაიზრდება, რაც დენის იმპორტის ხარჯებსაც შეამცირებს,"** - განაცხადა გილაურმა.

ერთი სიტყვით, გართულებული ენერგოვითარება რამდენიმე კვირის წინ მომხდარ დივერსიათა ციკლს, თავად ეს დივერსიები კი - უკვე ლიკვიდირებულ დივერსანტებს დაბრალდა.

თუმცა, სხდომაზე გაირკვა, რომ პარლამენტარებს მინისტრის ოპტიმიზმის ნაკლებად სჯერათ და ენერგეტიკაზე იმ სიგნალების თანახმად მსჯელობენ, რომლებიც რეგიონებიდან მოდის. როგორც გაირკვა, კახეთის მთელ რიგ რაიონებს დენი მხოლოდ ღამის საათებში მიეწოდება. თუმცა, იქვე ისიც ითქვა, რომ ეს დენის საფასურის გადახდასაც უკავშირდება.

დეპუტატები დღემდე მოითხოვენ მთავრობისგან, რათა მან პრიორიტეტად "ხანძრების ქრობა" კი არა, საბაზისო სადგურების ამუშავება მიიჩნიოს. თუმცა, საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე გია ნაცვლიშვილი ენერგეტიკის მინისტრის პოლიტიკის მიმართულებებს სწორს უწოდებს, მაგრამ დასძენს, რომ მალე კომისია აღნიშნული პოლიტიკის შედეგებით დაინტერესდება.

იქვე, დეპუტატებმა გილაურს მოსახლეობის სრული ინფორმირება მოსთხოვეს. ისინი მიიჩნევენ, რომ მათთვის დაწესებული გრაფიკების თაობაზე ქვეყნის ყველა რეგიონის მოსახლეობამ, გაზეთებისა და ტელევიზიების საშუალებით, სრული ინფორმაცია უნდა მიიღოს.

გუშინვე დაიძრა "თბილგაზის" საკითხიც. "24 საათი" უკვე წერდა, რომ "გაზპრომი" "თბილგაზისთვის" გაზის გაძვირებას აპირებს. პარლამენტის ენერგეტიკის პრობლემების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ეს გარდაუვალი იქნება. ამ შემთხვევაში იგი ფიქრობს, რომ ერთადერთი გამოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტიდან "თბილგაზის" სუბსიდირება იქნება, რამაც 2007 წლამდე, ანუ მანამდე უნდა გასტანოს, ვიდრე ბაქო-თბილისის-ერზერუმის გაზსადენით თურქეთში აზერბაიჯანის გაზის ტრანსპორტირება დაიწყება.

გილაურის ინფორმაციით, "თბილგაზის" სარემონტო სამუშაოებისათვის სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ასიგნებებიდან "თბილგაზს" გამოყოფილი აქვს 3,5 მლნ ლარი. მიმდინარეობს საუბარი იმაზეც, რომ დამატებით "თბილგაზს" კიდევ მილიონი ლარი გამოეყოს. აღნიშნული თანხა სარემონტო სამუშაოებსა და გამრიცხველიანებას მოხმარდება.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ხადორჰესის ამუშავების თაობაზე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური და ჰესის ჩინელი ინვესტორები დეტალებს სამშაბათის შეხვედრაზე განიხილავენ. გილაური აცხადებს, რომ უნდა შეიცვალოს ჩინურ მხარესთან სამი წლის წინ გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც მომხმარებელს ავალდებულებს ჰესზე გამომუშავებული ძვირი ელექტროენერგიის შესყიდვას. წინააღმდეგ შემთხვევაში ინვესტორთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობით მილიონი ლარის ოდენობის თანხის გაღება სახელმწიფოს ეკისრება. გილაურის ინფორმაციით, პირვანდელი შეთანხმებით ჩინური მხარე ჰესზე გამომუშავებული ელეტროენერგიის ტარიფიდან თავის წილს 5,53 ცენტს ითხოვდა. გილაური აცხადებს, რომ პერმანენტული კონსულტაციების შედეგად ჩინელები დათმობაზე წავიდნენ და 5,53 ცენტი 3,5-მდე შეამცირეს. გარდა ამისა, ინვესტორები სახელმწიფო გარანტიებსაც აღარ ითხოვენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროკომისია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტისთვის მეორე პროექტის განხორციელებას იწყებს, რომელიც საბაჟო კანონმდებლობისთვის კატალოგის შექმნასა და შესაბამისი ნორმატიული აქტების და კანონპროექტების შემუშავებას ითვალისწინებს. ევროკომისიის წარმომადგენლის ადრიანა ლონგონის ინფორმაციით, პროექტი მომავალ 10 თვეზეა გაწერილი. სპეციალური ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული კანონპროექტები ექსპერტიზას ქართულ-ევროპულ საკონსულტაციო ცენტრში GEPLAC გაივლის. ევროკომისიამ ანალოგიური პროექტი გასულ წელს "ტასისის" მეშვეობით დააფინანსა. ახალი პროექტის ღირებულება 700 000 ევროა. **პრაიმ-ნიუსი**

# "საქართველოს რკინიგზა" ზედმეტ ქონებას ელევა

### ერთ-ერთი პირველი სტადიონი "ლოკომოტივი" იქნება

*"საქართველოს რკინიგზა", უცხოელ ექსპერტებთან ერთად, საკუთარი ქონების აღნუსხვას იწყებს. დეტალური ინვენტარიზაციის შემდეგ, რკინიგზის ხელმძღვანელობა მიიღებს გადაწყვეტილებას ამ ქონების მომავალ ბედზე. ყველაფერზე, რაც რკინიგზისთვის არაპროფილურია, დღევანდელი მეპატრონე უარს აცხადებს და მისგან გათავისუფლება სურს. აღსანიშნავია, რომ საწარმოს ეს სურვილი ძალიან ახლოს არის ეკონომიკური განვითარების მინისტრის ჩანაფიქრთან.*

ეთერ მამულაშვილი

დაზუსტებული ნუსხა იმისა, თუ რა ქონების მფლობელია "საქართველოს რკინიგზა", დღეს არ არსებობს. შესაბამისად უცნობია რკინიგზაზე დამაგრებული ქონების რეალური ღირებულებაც. ქონების გადასახადი, რასაც დღემდე ხსენებული უწყება ბიუჯეტში რიცხავს, მიახლოებით გათვლებს ეფუძნება და, როგორც რკინიგზაში ვარაუდობენ, ეს ციფრი რეალური ქონების ღირებულებას ბევრად ჩამორჩება. ყოველწლიურად საქართველოს რკინიგზა, ქონების გადასახადის სახით, ბიუჯეტში საშუალოდ 500-600 ათას ლარს რიცხავს. თუმცა მიმდინარე წლის 9 თვეში რკინიგზას ქონების გადასახადი მხოლოდ 91 ათასი ლარი აქვს გადახდილი.

უცნობია, ასევე, ამ სახელმწიფო საწარმოს საწესდებო კაპიტალის მოცულობა, რადგან ეს მონაცემი ექვსი წლის წინანდელია და დღევანდელთან საერთო არაფერი აქვს. 369 მილიონი ლარით განისაზღვრა რკინიგზის საწესდებო კაპიტალი, როცა ის კერძო იურიდიულ პირად - შპს-დ დაფუძნდა 1998 წელს, მაგრამ დღეს ამ ორგანიზაციაში ვარაუდობენ, რომ რკინიგზის ქონების დეტალური ინვენტარიზაციის შემდეგ ეს ციფრი, სულ მცირე, გასამმაგდება. **"როგორც წესი, ნებისმიერი კომპანიის საწესდებო კაპიტალი თითქმის ყოველ წელს იცვლება, იზრდება ან მცირდება. ამ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, რომ "საქართველოს რკინიგზის" საწესდებო კაპიტალი გაზრდილი იქნება, რადგან ძალიან ბევრი ორგანიზაცია, რომელიც ჩვენს ბალანსზე იმყოფება, დღემდე არ არის შესული საწესდებო კაპიტალში,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს "საქართველოს რკინიგზის" კორპორაციული მართვის დირექტორმა შოთა ქელდიშვილმა.

ხსენებული საწარმოს საწესდებო კაპიტალის კორექტირების შემდეგ, დღეს არსებული ციფრი რომ სერიოზულად შეიცვლება, ამას რკინიგზის ბალანსზე მყოფი ორგანიზაციების რაოდენობაც ადასტურებს. მაგალითად: ხსენებული საწარმოს საწესდებო კაპიტალში შესული არ არის რამდენიმე ბაგა-ბაღი, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, არასაცხოვრებელი ფართები და ათეულობით უფუნქციოდ დარჩენილი და რკინიგზისთვის აბსოლუტურად გამოუსადეგარი შენობა-ნაგებობა. მეტიც, როგორც შოთა ქელდიშვილი ამბობს, ამ ცოტა ხნის წინათ აღმოაჩინეს, რომ რკინიგზის ერთ-ერთი ფილიალის ბალანსზე აღრიცხულია რამდენიმე ფერმა და სავაჭრო ფარდული.

ქონება, რომელიც რკინიგზას არაფერში სჭირდება და მძიმე ტვირთად აწვება, სავარაუდოდ, კერძო საკუთრებაში გადავა. თუ რა ფორმით მოხდება ამ ქონების გასხვისება, ამაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მიიღებს.

ჯერჯერობით, არ აკონკრეტებენ, თუ რომელი ორგანიზაციის პატრონობაზე იტყვის მომავალში უარს საქართველოს რკინიგზა, თუმცა გარკვეულ მინიშნებებს აქ მაინც აკეთებენ. **"მას სამართავად უნდა დარჩეს მხოლოდ პროფილური მიმართულებები. იგივე ბაგა-ბაღი საქართველოს რკინიგზას დღეს არაფერში სჭირდება, ისევე, როგორც - საავადმყოფო და სტადიონი "ლოკომოტივი". ჩემი, როგორც კომერსანტის ხედვაა, რომ რკინიგზას უნდა ჰქონდეს მხოლოდ ის, რაც მომგებიანია. "ლოკომოტივი" კი, რკინიგზის საკუთრებაში, მომგებიანი ვერასოდეს გახდება,"** - ამბობს შოთა ქელდიშვილი. სტადიონის შენახვა რკინიგზას დღეს ძალიან ძვირი უჯდება, თანაც მას საწარმოსთვის დღემდე არც ერთი თეთრი მოგება არ მოუტანია. ლოკომოტივის სტადიონი დღეს 35 მილიონ ლარად არის შეფასებული, ცოტა უფრო ნაკლები ღირებულებისაა მასზე დამაგრებული 11 ჰექტარი მიწა, ორივეს ერთად შენახვა კი "საქართველოს რკინიგზას" წელიწადში რამდენიმე ასეული ათასი ლარი უჯდება.

მას შემდეგ, როცა მკაფიოდ განისაზღვრება "მოსაშორებელი" ქონების ნუსხა, რკინიგზა ყველა შესაბამის სამსახურებთან ერთად დაიწყებს მსჯელობას იმაზე, თუ რა ფორმით მოხდება ამ ქონების რკინიგზისგან ჩამოშორება.

ამ დროისთვის ცნობილია მინისტრ ბენდუქიძის პოზიცია რკინიგზის გამოუსადეგარ ქონებასთან დაკავშირებით. **"რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს რკინიგზის გათავისუფლება ზედმეტი ქონებისგან",** - აცხადებს ბენდუქიძე, თუმცა ჯერ არ აკონკრეტებს, რა ფორმით მოხდება საწარმოს ამ ქონებისგან გათავისუფლება.

# ფინანსური და ექსპერტული დახმარება გერმანიიდან

*გერმანიის მთავრობა საქართველოს 2004-2005 წლებში დამატებით გამოუყოფს 18 მილიონ ევროს. აქედან 17 მილიონს კრედიტის და 1 მილიონს ფინანსური დახმარების სახით.*

ამ შეთანხმებას საქართველოს სამთავრობო დელეგაციამ, გერმანიის ფედერაციულ მთავრობასთან ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკებებისას, ამ რამდენიმე დღის წინათ მიაღწია.

როგორც ბონში გამართულ მოლაპარაკებებზე აღინიშნა, ევროპულ სტრუქტურებთან პოლიტიკური და სამართლებლივი მიახლოება საქართველოს პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, გერმანიის დახმარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სახსრები სხვადასხვა პროგრამების განხორციელებას მოხმარდება. მათ შორის - დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის ივანე ვახტანგიშვილის ინფორმაციით, 3.5 მილიონი ევრო, კრედიტის სახით, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბების პროგრამის განხორციელებას, ნახევარი მილიონი კი გრანტის სახით პროექტის თანმდევი ღონისძიებების დაფინანსებას მოხმარდება.

განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებს სისტემა, რომელიც სპეციალური ფონდების მეშვეობით უზრუნველყოფს ბანკებში არსებული გარკვეული ოდენობის დეპოზიტების დაზღვევას. მსოფლიო გამოცდილებით, დეპოზიტების დაზღვევა აძლიერებს ბანკებში დანაზოგთა მობილიზებას და საბანკო სისტემის სტაბილურობას. საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე ფიქრობს, რომ ამ სისტემის დანერგვა მნიშვნელოვნად აამაღლებს ბანკების მიმართ მოსახლეობის ნდობას, რაც შესაბამის ასახვას ჰპოვებს ბანკების სადეპოზიტო ბაზის ზრდაში.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის საფუძვლებისა და სამართლებრივი ბაზის შესახებ ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით, გერმანიის აღმშენებლობის საკრედიტო დაწესებულების - KFW-ს მოწვევით, ჯერ კიდევ ზაფხულში თბილისში იმყოფებოდა გერმანიის საბანკო ასოციაციის ექსპერტი დირკ კუპაი.

ივანე ვახტანგიშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ დეპოზიტების დაზღვევის მთავარი პრინციპი ყველგან ერთია, მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოებში არსებობს დეპოზიტების დაზღვევის მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოდელები.

ჩვენი ქვეყნისათვის დეპოზიტების დაზღვევის სწორი მოდელის შესარჩევად პირველ ეტაპზე აუცილებელი იყო ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება და მათი სამუშაო პროცესში ორიენტირად გამოყენება.

დეპოზიტების დაზღვევის ძირითადი პრინციპები ეროვნული ბანკის მიერ 2003 წელს ჩამოყალიბდა. გარდა ამისა, გასაანალიზებელია სხვა ქვეყნების გამოცდილება, სხვადასხვა მოდელები და საქართველოში მათი პრაქტიკული რეალიზაციის ასპექტები.

ივანე ვახტანგიშვილის ინფორმაციით, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის პროგრამის განხორციელებაში გერმანული მხარე, ფინანსურთან ერთად, ექსპერტულ დახმარებასაც გაგვიწევს.

ამასთან, საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებას სებ-ის ვიცე-პრეზიდენტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, როგორც დაზღვეული დეპოზიტების ფარგლებში დეპოზიტარების ფინანსური დანაკარგებისაგან დაცვის თვალსაზრისით, ისე ბანკებისადმი ნდობის ხარისხის ამაღლებისა და ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესების მიზნითაც.

*24 საათი*

# ბრძოლა დიდი ტბების აუზში




*მაშინ, როცა ჯორჯ ბუშსა და ჯონ კერის შორის წინასაარჩევნო ბრძოლა "ბინძურ" ხასიათს იძენს, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, იგი ქვეყნის მხოლოდ ერთ კონკრეტულ რეგიონზე ზეგავლენის მოსახდენად არის გამიზნული - ეს არის დიდი ტბების მიმდებარე შტატები.*

ნიკა თარაშვილი

მას შემდეგ, რაც მიმდინარე კვირაში წინასაარჩევნო კამპანია დასკვნით ფაზაში შევიდა, უკვალოდ გაქრა კანდიდატების უწინდელი თავშეკავებული განცხადებები. ჯონ კერიმ თავს უფლება მისცა, მოქმედ პრეზიდენტზე თავდასხმების მთელი სერია განეხორციელებინა - ბუში უარს ამბობს ამერიკელთა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციაზე, გეგმად ისახავს სამხედრო გაწვევის აღდგენას და ჩუმად პენსიების გაუქმებასაც კი ცდილობს, - ასეთმა ბრალდებებმაც გაიჟღერა დემოკრატთა კანდიდატის მხრიდან. ჯორჯ ბუში, რასაკვირველია, ყველაფერს უარყოფს და ამგვარ ბრალდებებს პანიკის დათესვის მცდელობად აცხადებს. ამავდროულად ისიც და მისი საარჩევნო მეწყვილე დიკ ჩეინიც საპასუხო იერიშზე გადადიან და ჯიუტად განაგრძობენ მტკიცებას, რომ ჯონ კერი ერის ლიდერად არ გამოდგება.

ზოგიერთი გამოკითხვით ჯორჯ ბუშმა მოახერხა დებატების შედეგად დაცემული რეიტინგის აღდგენა და ახლა ხუთი პროცენტით უსწრებს დემოკრატთა კანდიდატს. თუმცა, ეს მხოლოდ რამდენიმე გამოკითხვის შედეგებია, მკვლევართა უმრავლესობის აზრით კი ორივე კანდიდატი გამარჯვების თანაბარ შანსებს ინარჩუნებს. ნათელია, ბუშს მხოლოდ ოდნავი უპირატესობა აქვს (თუ საერთოდ აქვს ასეთი) და ყველაფერი დამოკიდებული იქნება ე.წ. მერყევი (Swing) შტატების არჩევანზე.

ამ საარჩევნო ომში მრავალი "მცირე ფრონტები" არსებობს, მათ შორის კოლორადო და ნიუ მექსიკო დასავლეთში და, რაღა თქმა უნდა, ფლორიდა სამხრეთში. მაგრამ უმთავრესი ბრძოლა მაინც დიდი ტბების მიმდებარე შტატებში გაიმართება.

აქ მდებარე შტატებიდან ყველა არ არის მერყევი: მაგალითად, ინდიანა აშკარად რესპუბლიკურია, ხოლო ნიუ იორკი და ილინოისი დემოკრატიული. ამჟამად, ჯონ კერის მიჩიგანშიც გამარჯვების დიდი შანსი აქვს. ამავდროულად, რეგიონში მდებარეობს ოჰაიო (რომელიც 2000 წელს ბუშმა მოიგო) და პენსილვანია, უისკონსინი და მინესოტა (რომლებიც 2000 წელს ალ გორმა მოიგო). ამ ოთხ შტატს ერთად 61 საარჩევნო კოლეგიის ხმა ეკუთვნის, რაც მოსაპოვებელი ხმების უმეტესობას შეადგენს და სრულიად საკმარისი იქნება ნებისმიერი კანდიდატისთვის გამარჯვების მოსაპოვებლად.

აღსანიშნავია, რომ წლევანდელი კამპანიისას ამ შტატებში კერის მომხრეებმა სერიოზული სამუშაო გასწიეს. თუ დებატებამდე ბუში აშკარად წინ იყო ოჰაიოსა და უისკონსინში, ან უკეთესი შანსები ჰქონდა მინესოტასა და პენსილვანიაში, ახლა ჯონ კერი ოთხივე შტატში უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ლიდერის პოზიციაზეა.

წინა არჩევნებზე მინესოტა და უისკონსინი - ორივე მემარცხენე ორიენტაციის შტატი - ძნელად თუ მიიჩნეოდა ბუშის მხარდამჭერად. ახლა პროვინციაში მცხოვრები ამომრჩევლის ზრდამ ორივე შტატი უფრო კონსერვატიული გახადა და ბუშს ადვილად შეუძლია მათგან ერთ-ერთის მოგება, რათა აინაზღაუროს დანაკლისი იმ შტატებში, რომელიც რესპუბლიკურიდან დემოკრატიული გახდა, როგორც, მაგალითად, ნიუ ჰემპშირი.

სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თითქმის დღე არ გავა ისე, კანდიდატები ან მათი საარჩევნო მეწყვილეები ამ შტატებში არ ჩავიდნენ. ამას გარდა აქ მობილიზებულია მედიარესურსებიც. ანალიზები ცხადყოფენ, რომ 24 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე, ანუ სატელევიზიო დებატების პერიოდში, კანდიდატთა სარეკლამო რგოლების გამშვები 10 უდიდესი სატელევიზიო ბაზრიდან 6 დიდი ტბების აუზში მდებარეობდა: გრინ ბეი, კლივლენდი, ტოლედო, კოლამბასი, გრენდ რეპიდსი და ჰარისბურგი.

არის თუ არა სწორი გავაერთიანოთ დიდი ტბების რეგიონის რვა შტატი ერთ ჯგუფად? იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყურადღებას არ გავამახვილებთ ნიუ იორკზე, მაინც დანარჩენთა შორისაც უდიდესი განსხვავებებია. დიდი ტბების რეგიონის უმეტესი ნაწილი თეთრკანიანი მოსახლეობითაა დასახლებული. მხოლოდ ნიუ იორკი და ილინოისი, ყველაზე "დემოკრატიული" შტატები არის გამონაკლისი, სადაც მოსახლეობის სამმეოთხედზე მეტი არ არის თეთრკანიანი. თუმცა, ამავდროულად, რეგიონში მრავლად შეხვდებით ახლად ჩამოსულებსაც - არაბული წარმოშობის ამერიკელებს დეტროიტში და ინდოჩინეთის წარმომადგენლებს უისკონსინსა და მინესოტაში. ამასთან ერთად, რეგიონის დიდ ქალაქებში მრავლად არიან ლათინო-ამერიკელები (უმთავრესად მექსიკიდან).

დებატების პერიოდში ჯონ კერიმ ბუშის უპირატესობა სწორედ ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის საინტერესო თემებზე საუბრით დააბალანსა. მაგალითად, ქვეყნის ინდუსტრიული გულის (როგორიც დიდი ტბების რეგიონია) მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი იყო სამუშაო ადგილების შემცირებასთან დაკავშირებული საკითხები. შტატებში, ხანდაზმული მოსახლეობის დიდი რაოდენობით კერი საუბრობდა ჯანდაცვის გაუმჯობესებაზე. ეს თემები, ტრადიციულად, დემოკრატთა პოპულარული თემები ყოველთვის იყო. ასევეა, მშვიდობისმოყვარე უისკონსინსა და მინესოტაში, სადაც ანტისაომარი განწყობა დანარჩენ შტატებთან შედარებით დიდია. იქ კერი აცხადებდა, რომ ერაყში ომის დაწყება შეცდომა იყო და ამ თემის წინ წამოწევით მათ გადაბირებას ცდილობდა.

აღსანიშნავია, რომ ბუშიც ზოგჯერ ცდილობდა ამ შტატებში ერაყის კამპანიის სათავისოდ გამოყენებას, მაგრამ პრეზიდენტი აქ თავის საუკეთესო მხარეებს ვერ ამჟღავნებდა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ დიდი ტბების მერყევი შტატები კომერციული თვალსაზირისით მემარცხენე ორიენტაციის არიან, თუმცა, ამავდროულად, სოციალურად კონსერვატიულები რჩებიან. იარაღის ლეგალიზაციის პროგრამის განხორციელება ბუშს მიეხმარება პენსილვანიის შტატის ამომრჩევლის გულის მოსაგებად, სადაც 1,3 მლნ იარაღის მფლობელია რეგისტრირებული. ამავდროულად, აბორტისა და ჰომოსექსუალური ქორწინების საწინააღმდეგო გამოსვლები მას "ცისფერ-საყელოიანთა" (მუშების) სიმპათიას მოუპოვებს. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ამ ფენას ერთ დროს "რეიგანის დემოკრატებსაც" ეძახდნენ.

შესაძლოა, სწორედ ამ ფენაზე აკეთებდა გათვლას ბუში, როდესაც დებატების მესამე რაუნდის დროს განაცხადა, რომ კერი "უკიდურესად მემარცხენე პოზიციას" იკავებს ამერიკულ პოლიტიკაში. დებულება, რომ მასაჩუსეტსელი ლიბერალი, ცნობილი ფემინისტი ცოლით, ძალიან შორს დგას ტიპური ამერიკელისგან - ალბათ, გადამწყვეტი ფაქტორი იქნება დიდი ტბების რეგიონის მოსახლეობაში წინასაარჩევნო მუშაობისას.

ასე რომ, დიდი ტბების რეგიონი, შესაძლოა, არც ისეთი კარგი გამოდგეს კერისთვის. რეგიონში მრავლად არიან ბიზნესთან დაკავშირებული პრაგმატული გუბერნატორები ორივე პარტიიდან. ჩიკაგო კი არნახულ ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის. ეს მომენტები ნაკლებად ჯდება დემოკრატთა ზოგიერთ პროტექციონისტულ დემაგოგიაში. უმუშევრობის დონესა და ეკონომიკური მაჩვენებლების შემცირებაზე საუბარი ბუშმა არ ისურვა, განაცხადა რა, რომ იგი ოპტიმისტი კანდიდატია, მაშინ როცა კერი ყველაფერს შავ ფერებში ხატავდა და ამომრჩევლებს აჩვენებდა, რომ იგი პესიმისტია.

დასასრულს, მარტივად რომ ვთქვათ, თუ დიდი ტბების ამომრჩეველიც პესიმისტურად შეხედავს თავის მომავალს, მოქმედი პრეზიდენტისთვის გამარჯვება ძალიან საეჭვო გახდება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჯორჯ ბუშის მსგავსად ოპტიმისტები აღმოჩნდებიან, რესპუბლიკელთა მმართველობა კიდევ ოთხ წელიწადს გასტანს.

# ლიტვას ეთნიკურად რუსი პრემიერ-მინისტრი არ სურს



*არჩევნებში გამარჯვების მიუხედავად, რუსული წარმოშობის მილიონერ ვიქტორ უსპასკიხს ლიტვის პრემიერ-მინისტრობა აუხდენელ ოცნებად დარჩა.*

ლიტვის შრომის პარტიამ, რომელსაც რუსული წარმოშობის ვიქტორ უსპასკიხი ხელმძღვანელობს, წინასწარი მონაცემებით არჩევნების მეორე ტურშიც გაიმარჯვა, თუმცა მის ლიდერს პრემიერ-მინისტრად არ აირჩევენ. მიუხედავად გამარჯვებისა, შრომის პარტიამ სეიმში უმრავლესობის მოპოვება ვერ შეძლო.

ლიტვის პარლამენტში სულ 141 ადგილია. პირველი ტურის შედეგად, პარტიული სიებით 70 დეპუტატი აირჩიეს. დარჩენილი 71 ადგილისათვის ბრძოლა 66 საარჩევნო ოლქში მიმდინარეობდა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, მეორე ტურში შრომის პარტიამ სულ 16 ადგილის მოპოვება შეძლო. მეორე ადგილი სოციალ-დემოკრატებისა და სოციალ-ლიბერალების კოალიციამ მოიპოვა, რომელსაც სათავეში პრემიერ-მინისტრი ალგირდას ბრაზაუსკასი და სეიმის სპიკერი არტურას პაულაუსკასი უდგანან. მათ 12 მანდატი მოიპოვეს. შემდეგ მოდიან ოპოზიციური კონსერვატიული პარტია "სამშობლოს კავშირი", ლიბერალ-ცენტრისტთა კავშირი, ექს-პრეზიდენტ როლანდას პაკსასის კოალიცია "გლეხებისა და ახალი დემოკრატიის პარტია".

აღსანიშნავია, რომ არჩევნების პირველ ტურშიც, რომელიც 10 ოქტომბერს გაიმართა, შრომის პარტიამ გაიმარჯვა და 23 მანდატი მოიპოვა. ორივე ტურის ჯამში მათ 39 ადგილი ექნებათ, სოციალ-დემოკრატთა და სოციალ-ლიბერალთა კოალიციას - 27, "სამშობლოს კავშირს" - 22, "ლიბერალ-ცენტრისტთა კავშირს" - 13, ხოლო ექს-პრეზიდენტის კოალიციას - 11.

ოფიციალური შედეგები 31 ოქტომბერს გამოქვეყნდება, თუმცა წინასწარი მონაცემებითაც ცხადია, რომ შრომის პარტია მანდატების ნახევარზე მეტს მაინც ვერ დააგროვებს. ეს კი ნიშნავს, რომ შრომის პარტია მთავრობის დამოუკიდებლად ფორმირებას ვერ შეძლებს. ამასთან დაკავშირებით, ვიქტორ უსპასკიხმა თავისი უკმაყოფილება ვერ დაფარა და განაცხადა, რომ მისი პარტია სხვა პარტიებისაგან წინადადებებს დაელოდება. როგორც ადრე ვარაუდობდნენ, ლიტვის სეიმში გარკვეული სახის კოალიციის შექმნაა მოსალოდნელი.

მმართველი კოალიციის წარმომადგენლებმა არჩევნების დასრულების შემდეგ განაცხადეს, რომ ისინი ვიქტორ უსპასკიხის ხელისუფლების სათავეში მოსვლას არ დაუშვებდნენ.

ღამით, როდესაც ხმების დათვლა დაიწყო, კოალიციის ლიდერებმა სეიმის თავმჯდომარესთან არტურას პაულაუსკასთან, ლიბერალ-ცენტრისტთა კოალიციის თავმჯდომარესთან და ვილნიუსის მერთან არტურას ზუოკასთან და კონსერვატორთა ლიდერთან ანდრიუს კუბილიუსთან კონსულტაციები გამართეს. მოლაპარაკებთა შედეგად ცნობილი გახდა, რომ ისინი პარლამენტში "ცისარტყელას კოალიციის" შექმნას აპირებენ, რომელშიც უსპასკიხი ვერ მოხვდება. "მოგვეცა შესაძლებლობა, შევქმნათ ფართო კოალიცია, რომელშიც პოპულისტური პარტიები ვერ შევლენ. შრომის პარტიას საპარლამენტო არჩევნები არ მოუგია, ტრადიციული პარტიები კი არჩევნებზე საკმაოდ წარმატებულად გამოვიდნენ", - განაცხადა ანდრიუს კუბილიუსმა.

როგორც ჩანს, ლიტველი პოლიტიკოსები წინასწარ ხვდებოდნენ, რომ შრომის პარტია გარკვეულ წარმატებას კვლავ მოიპოვებდა. პრემიერ-მინისტრმა ალგირდას ბრაზაუსკასმა ჯერ კიდევ ხმების დათვლისა და ოთხი პარტიის ლიდერებთან კონსულტაციების დაწყებამდე ლიტვის ნაციონალურ ტელევიზიასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ არჩევნებში გამარჯვებულ შრომის პარტიასთან კოალიციის შექმნის ვერანაირ შესაძლებლობას ვერ ხედავს. "სავარაუდოდ, შრომის პარტიასთან კოალიცია არ შედგება. ამგვარ შესაძლებლობას მე ვერ ვხედავ. შრომის პარტიამ არჩევნები აშკარად წააგო. მეშვიდე გრძნობით ვგრძნობ, რომ მათთან კოალიცია არ შედგება", - სრულიად დარწმუნებულმა განაცხადა ბრაზაუსკასმა. დღის განმავლობაში მან პირობა დადო, რომ პარლამენტში მოხვედრილ ნებისმიერ პარტიასთან თანამშრომლობის მზადყოფნის თაობაზე ოფიციალურ განცხადებას გააკეთებდა.

არჩევნების მეორე ტურში, თითოეულ საარჩევნო ოლქში პარლამენტში მოსახვედრად ორ-ორი კანდიდატი იბრძოდა. მათ შორის გაიმარჯვებდა ის, ვინც, ამომრჩეველთა დასწრების მიუხედავად, ხმათა უბრალო უმრავლესობას დააგროვებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამომრჩეველთა დასწრება რეკორდულად დაბალი იყო. საარჩევნო უბნებზე 30 პროცენტზე ცოტა მეტი ამომრჩეველი გამოცხადდა, რაც პირველ ტურთან შედარებით 5 პროცენტით დაბალი მაჩვენებელია. პოტენციური ამომრჩევლების ნახევარზე მეტის გამოუცხადებლობამ, გარკვეულწილად, თავისი შედეგები გამოიღო.

თავის მხრივ ის, რომ ვიქტორ უსპასკიხი საპარლამენტო უმრავლესობას ვერ მოიპოვებს და პრემიერ-მინისტრი ვერ გახდება, თავად მისი ბრალიცაა. არჩევნებამდე მან კატეგორიულად განაცხადა, რომ ექს-პრეზიდენტ პაკსასთან ბლოკში გაერთიანებას არ აპირებდა. ერთადერთ დასაყრდენად მას კაზიმირა პრუნსკენეს კოალიცია ესახებოდა, რომელსაც სეიმში ხუთი ადგილი აქვს. თუმცა, ეს ხმათა უმრავლესობის მოსაპოვებლად საკმარისი არაა. უსპასკიხი, რომელიც ადრე პრემიერ-მინისტრის პოსტზე პრეტენზიას აცხადებდა, ამჯერად მზად არის, მეორე პლანზე გადავიდეს. სავარაუდოდ, მთავრობის მეთაურის თანამდებობა კვლავ ალგირდას ბრაზაუსკასის ხელში დარჩება.

## მოკლედ

**ლიტვა.** ვილნიუსის საოლქო სასამართლომ ლიტვის ყოფილი პრეზიდენტი როლანდას პაკსასი მთლიანად გაამართლა. პაკსასს სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნებაში ედებოდა ბრალი, რისი დამტკიცების შემთხვევაშიც, მას სამ წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა.

როგორც სასამართლოს განაჩენშია ნათქვამი, საქმეში არავითარი მტკიცებულება არ არსებობს იმის დასადასტურებლად, რომ პაკსასი დამნაშავეა. სასამართლოს აზრით, არსებობს მხოლოდ "გარემოებათა დამთხვევა", რაც ექს-პრეზიდენტ პაკსასის ბრალეულობაზე არ მიუთითებს. **ინტერ-ფაქსი**

■ ■ ■

**პალესტინა.** გუშინ დილით ღაზას სექტორის სამხრეთში ისრაელის მიერ განხორციელებული საჰაერო დარტყმების შედეგად 12 პალესტინელი დაიღუპა და ათეულობით დაშავდა. წინა საღამოს ისრაელის 30-ზე მეტმა ტანკმა და ბულდოზერმა პალესტინელ ლტოლვილთა "ჰან-იუნისის" ბანაკი ალყაში მოაქცია, ხოლო გამთენიისას ისრაელის ვერტმფრენებმა რამდენიმე ბანაკზე სარაკეტო დარტყები განახორციელეს.

როგორც ოფიციალური თელ-ავივი იუწყება, მორიგი საომარი ოპერაციის მიზანი პალესტინის ტერიტორიიდან ებრაული დასახლებების დაბომბვის თავიდან აცილებაა. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, ექსტრემისტებმა ღაზის სექტორიდან ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით 20-ზე მეტი რაკეტა გაუშვეს. პალესტინელი "ბოევიკები" ამ ფაქტს არც უარყოფენ და აცხადებენ, რომ დაბომბვები გასულ ხუთშაბათს ქალაქ ღაზაში რადიკალური დაჯგუფება "ჰამასის" ერთ-ერთი ლიდერის მკვლელობის საპასუხოდ განხორციელდა. ისრაელის პარლამენტში პრემიერ-მინისტრ არიელ შარონის წინადადებამ, რომელიც ღაზის სექტორიდან ისრაელის ჯარების გამოყვანას ითვალისწინებს, ქნესეთში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ნიშანდობლივია, რომ ღაზას სექტორში ოპერაცია სწორედ შარონის გეგმის განხილვის წინ დაიწყო. რელიგიური პარტიის - "შასის" სულიერმა ლიდერმა პარლამენტს უკვე მოუწოდა მხარი არ დაუჭირონ შარონის გეგმას. **24 საათი**

[illegible]



უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

# ახლო ხედით

შეიძლება ცოტათი გამოსწორდეს, ან ეგეც არა, მაგრამ მთავრობა ისეთი რამეა, სულ უნდა ლანძღოო.

ძნელი მისახვედრი არ არის, ვისთან მექნებოდა ეგეთი ლაპარაკი.

როგორც იქნა, ჩემს ბოდბისხეველ ბიძაშვილსაც გავახსენდი. უფრო სწორად, მე კი არა, ჩვენი მთავრობა გაახსენდა.

იმით დაიწყო, რომ ყველა ერთიაო, მსუქანი იქნება თუ გამხდარი, მაღალი თუ დაბალიო. თავიდან, ესე იგი, ახალი როა და ისიც შორიდან, შეიძლება სხვადასხვანაირად ჩანდეს, მაგრამ ახლოდანო?! აი, ამ კითხვა-ძახილის ნიშანივით შემომაჩერდა და მერე ის ძველისძველი ანეკდოტიც მოაყოლა:

თედოს სასამართლოში დაუძახეს. მოწმედ. გაუპატიურების საქმეზე. აბა, როგორ იყოო, მოსამართლემ. რა ნახეო.

როგორ და... მოვდივარ ვენახიდან დაღლილი. შემომაბინდდა. გოგიაანთ წყაროს გამოვცდი და შორიდანვე დავინახე, კაცოო! მიხოს ბროწეულის ძირში წაუქცევია ვიღაც დედაკაცი და... თედომ ერთი კი გააპარა თვალი დარბაზისკენ და პირდაპირ თქვა - ამასა და ამას უშვრებოდაო. მოსამართლემ შეუსწორა, ეგრე კი არა, უნდა თქვა, სექსუალური კავშირი ჰქონდაო.

მიყვება ახლა ჩემი ბიძაშვილი ამ ანეკდოტს და უცებ მახსენდება, რომ ჩვენს გაზეთში სასამართლოს საქმეებზე სხვები მუშაობენ. თუ დაწერა მომიწევს, მცირე კონსულტაციას არავინ დამამადლის.

ყვება თედო თავიდან. გონებაში ერთთავად მოსამართლის ნათქვამი სიტყვები უტრიალებს, არ დამავიწყდესო. მოვდივარ ვენახიდან და გოგიაანთ წყაროს აქეთ, კარგა შორიდანვე ჩანს, მიხოს სექსუალური კავშირი აქვს ვიღაც დედაკაცთან. - წინადადება დაასრულა თედომ, შვებით ამოისუნთქა და განაგრძო: - ახლოს მივედი, კაცო, და... - არც აცივა, არც აცხელა და ისევ წეღანდელივით არ დაახეთქა?! - ამასა და ამას უშვრებოდაო.

ეგრე, ჩემო ბიძაშვილო, მთავრობის საქმეც ეგრეა, შორიდან შეიძლება ფარშევანგის ბოლოსავით მოგეჩვენოს, ახლო კი ის არი, რაც არი.

თუმცა, რაღა ჩემი ბიძაშვილი, ისიც, აი, ის, ლიტერატურაში მეორე "მეს" რომ ეძახიან, ბავშვობიდანვე ხომ მწვიტინა იყო, ახლა ამ ჩემს ბიძაშვილს აჰყოლია და ერთად არ მაწვებიან?

მე კი რაღაც გული არ მიშვრება. ცხოვრებაში პირველად ავირჩიე მთავრობა, ახლა მოვდგე და ვლანძღო, გინდა საკუთარი შვილი მიცემია.

არადა, ვატყობ, თანდათან მიჭირს თავის დაცვა, ხან რას გამახსენებენ, ხან - რას.

- ფურცელაძის ოცდაორში დაკარგული საბუთების ცნობას იძლევიან. ჯერ ერთი, ეგეთი ცნობის გაცემა აბსურდია. საბუთი ან დაკარგულია, ან არა. ცნობა კი არა, უნდა განაცხადო, ესა და ეს საბუთი დავკარგეო. აი, ამ განცხადებაში ათ ლარს გთხოვენ.

ბოდბისხეველს ახლა ჩემი მეორე "მე" აჰყვა:

- დოდო აბაშიძის ქუჩაზე იმის ცნობას იძლევიან, რომ ნარკომანი არა ხარ. დაგათვალიერებენ, ნაჩხვლეტები ხომ არ გატყვია და ცნობაც მზად არის. იქნებ ვიყნოსავ? იქნებ ელესდეს აბებს ვყლაპავ? ნაჩხვლეტები რანაირად მექნება?

მოკლედ, ორცეცხლშუა ვარ. 202-ის წამყვანს ხომ არ დავემგვანები. აი, დიდი რომ არის, ყარაჩოხელის თუ კინტოს ტანისამოსი რომ ჩაუცვამს და უნივერსიტეტის ბაღში გულსაკლავად გაჰყვირის - მოდით, მამკალით, ხალხოო!..

ეს ჩემი ბიძაშვილი კი არ ჩერდება. ამას წინათ ერთმა ჩემმა ნაცნობმა გურულმა ხუმრობით მითხრა, გურულების გამოსწორება არ იქნება, გურული უნდა გაასწოროო. გურულებისა რა გითხრა, მაგრამ ჩვენს მთავრობაზეა ზედგამოჭრილიო.

სამსახურში, მეზობლებში, ნაცნობ-მეგობრებში წინა მთავრობის მაგინებლის სახელი დავიგდე. პროფესია პროფესიაა, მაგრამ ჩემიც ხომ გესმით...

- ამ ზაფხულს გონიოში რომ ბრძანდებოდი, - ეს ჩემი მეორე "მე" იკბინება, - იქ ერთი კარგი ბიჭი გაგაცნეს. თემურ გორაძე. მთელ აჭარაში პირველმა მაგან ააფრიალა დღევანდელი სახელმწიფო დროშა. ბაბუს შეიარაღებული ბანდა რომ მიუვარდა, პირველი ეგ გადაუდგა. უკვე დაგავიწყდა, უმუშევარი რომ დატოვეს და შეპირებულ კრედიტზეც უარი უთხრეს ბანკში?

- ნეტა რა თავს იდებ, შენ არ იყავი, ამას წინათ პრეზიდენტის ბებიაბაბუაზე წერილი რომ გამოაცხვე? - ვა! ბოდბისხევშიც კითხულობენ "24 საათს"?

მე ვიყავი და იმის შემდეგ კარგა დროც გავიდა. თანდათან ვბრაზდები კიდეც. ეგრეა, როცა შენს თავმოყვარეობას შეეხებიან... ოთხი ფურცელი, გაზეთის ორი სვეტი და ცოტაოდენი მელანი სულ ტყუილად დავხარჯე.

ადრე ცუდ ამბებს ფრთხილად, შეპარვით აგებინებდნენ კაცს. ახლა, როგორც ჩანს, საერთოდ აღარაფერს ეუბნებიან. არც გამგებელმა, არც მერიის სამსახურმა, არც დეპუტატმა არც არაფერი იციან და არც გაუგონიათ, პრეზიდენტის ბებია-ბაბუას აქეთ-იქიდან გზა რომ მოუასფალტეს. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ გარშემო როგორც იყო, ისევე მინგრეულ-მონგრეული რომ დატოვეს? ეს ხალხი - გამგებელსა და გზის დამგებს ვგულისხმობ - ალბათ, არც გაზეთს კითხულობს. მაგრამ, ეტყობა, მჟავანაძე-ბრეჟნევის დრო ბრუნდება - ზემოთ მყოფებს თვალისჩინივით უფრთხილდებიან, ემანდ ცუდი ამბავი არავინ შეატყობინოსო. ისინიც "ვრემიათი" თუ გაიგებენ, როგორ ბედნიერ ქვეყანაში ცხოვრობს ხალხი. ანდა ვცდები და მჟავანაძე-ბრეჟნევის კი არა, შევარდნაძის სტილში მუშაობენ - წერეთ და იკითხეთო!

ამ ჩემმა ბიძაშვილმა და იმან, ლიტერატურაში მეორე "მეს" რომ ეძახიან, მაინც მიაღწიეს თავისას. ამტეხეს.

ამტეხეს და ასფალტისა და გზების თემას ბარემ წყლის თემასაც მივაყოლებ.

იმ ასფალტთან ერთად, სად იყო, სად არა, გველეშაპიც გამოჩნდა. ზუსტად ისე, ზღაპრებში რომ არის - წყალს დარაჯობს. დასალევის მოგროვებას რის ვაი-ვაგლახით ვასწრებთ, აი, აბაზანა და ეგეთი რამეები კი სულ ტყუილად გვაქვს. ადრე ეს გველეშაპი, ეტყობა, რაღაც საინჟინრო მოსაზრებით, ალასანიებთან რომ ჭაა, იქ იჯდა. როგორც ჩანს, იქიდან გამოაგდეს და ახლა ჩვენსას შეეჩვია - აბა, რა ქნას, სადმე ხომ უნდა უდარაჯოს წყალს. ორი მსახური ჰყავს, ლათინური T-ს მაგვარი რკინის ჯოხი უჭირავთ. ჩაყოფენ ჭაში, დაატრიალებენ და ნახევარ ვედრაში და იქნებ უფრო შორსაც თბილი სიტყვებით იხსენიებენ პარტიასა და მთავრობას.

არა! სასამართლოს წესებში მაინცდამაინც ვერ ვერკვევი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თედომ სულ ტყუილად მიიღო შენიშვნა მოსამართლისგან - სხვადასხვა ადგილიდან ყველაფერი მართლაც სხვადასხვანაირად ჩანს, უფრო სწორად კი, როგორც არის, ზუსტად ისე, განსაკუთრებით კი ახლოდან. მსხვილი პლანით და ყოფით დონეზე ისევ ძველებურად, ნატურალურად ხმარობენ ხალხს.


## განცხადება
### აშშ საელჩო, თბილისი, საქართველო
### ორდღიანი ღია აუქციონი

2004 წლის 6-7 ნოემბერს, აშშ საელჩო თბილისში აწყობს ორდღიან ღია აუქციონს.

დღე 1: 2004 წლის 6 ნოემბერს, შაბათს აუქციონზე წარმოდგენილი იქნება მხოლოდ სხვადასხვა ტიპის ნახმარი საოჯახო ავეჯი და მოწყობილობა.

დღე 2: 2004 წლის 7 ნოემბერს, კვირას აუქციონზე წარმოდგენილი იქნება მხოლოდ სხვადასხვა ტიპის ნახმარი კომპიუტერული ტექნიკა და ავტომობილის სათადარიგო

ნაწილები. აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" ნებისმიერი გარანტიის გარეშე. მყიდველი საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელია აუციონზე გამოტანილი ნივთების შემდგომ განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს. მსურველთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება დილის 9:00-დან 11:00 საათამდე. აუქციონი დაიწყება დილის 11:00 საათზე. აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:

ლილო, რუსთაველის ქუჩა 4. აშშ საელჩოს საწყობის ტერიტორია.

**ცნობებისათვის დარეკეთ : 989967 ან 989968, შიდა 4201.**


# რას გადაწყვეტს სასამართლო...

თამარ დვალი

*სათნოების სახლი "კათარზისი" აღმაშენებლის 121 ნომერშია განთავსებული. ეს შენობა მათ 1991 წელს ბალანსიდან ბალანსზე გამსახურდიას პირადი განკარგულებითა და მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილებით გადაეცათ. 1991 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უარით უპასუხა ქალაქის მერიას, რომელიც "კათარზისისთვის" შენობის ჩამორთმევას ითხოვდა. როგორც ასოციაცია "კათარზისის" პრეზიდენტმა ზაურ ალადაშვილმა გვითხრა, 1993 წელს მერიამ კვლავ დააყენა იგივე საკითხი და ისე, რომ არ დალოდებია მინისტრთა კაბინეტის რეაქციას, თავისი დადგენილებით დაისაკუთრა შენობა. "კათარზისის" წარმომადგენლები შენობის კვლავ ბალანსიდან ბალანსზე გადაცემას ითხოვენ. მერია კი 10 წლის ვადით უზურფრუქტის წესით გადაცემას სთავაზობს. ხვალ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებულ დავას უზენაესი სასამართლო განიხილავს.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*აქ ყოველდღიურად 335 ადამიანი იკვებება.*

სათნოების სახლი "კათარზისი" ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან, 1989 წლიდან ფუნქციონირებს. აქ ყოველდღიურად 335 ადამიანი იკვებება, 160 მწოლიარეს ყოველდღიურად მიეწოდება ცხელი სადილი, 1500-მდე მოქალაქე აფთიაქით, სტომატოლოგიური, სადღეღამისო ფსიქოლოგიური თუ სარეაბილიტაციო სამსახურით სარგებლობს. გარდა ამისა, სათნოების სახლში ფუნქციონირებს ინვალიდთა თეატრი, ხანდაზმულთა ხალხური, საოპერო თუ საესტრადო გუნდები.

**"1996 წელს ქალაქის მერია, ეყრდნობა რა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას ადრე გასხვისებული შენობა-ნაგებობების ქალაქისთვის დაბრუნების შესახებ, მიმართავს მესამე ცდას: ისაკუთრებს შენობას და სათნოების სახლს ასახლებს იქიდან. მითითებული ბრძანებულება არ ეხება კულტურის, ჯანდაცვისა და საგამომცემლო საქმის დაწესებულებებს. სათნოების სახლი, როგორც დამფუძნებელი დოკუმენტებით, ისე ფაქტობრივი საქმიანობით ჩამოთვლილთაგან ყველა სფეროს მოიცავს, მაგრამ მერიას ეს არ აინტერესებდა. გამაოგნებელია მერიის ქმედება, რასაც მან თავისი გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიმართა: ძალოვნებმა ხანდაზმულები ძალით გამოიყვანეს სათნოების სახლიდან. მსოფლიოს 30-მდე ქვეყანამ და ყველა წამყვანმა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ ადეკვატურად შეაფასა თბილისის მერიის ეს ქმედებები და წერილობით მიმართა მას. ამით დასრულდა სათნოების სახლის შენობისათვის ბრძოლის ღია ფორმა და მან მანევრული ხასიათი მიიღო: ორი წლის განმავლობაში თბილისში მომუშავე ორგანიზაციები უარს უთვლიდნენ სათნოების სახლს დახმარებაზე, რადგანაც მერიისაგან შესაბამისი განკარგულება ჰქონდათ მიღებული. მერიისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკები შენობას უცხო ქვეყნების საელჩოებს სთავაზობდნენ. ერთ ხანს შენობა საპრივატიზაციო ნაგებობათა ნუსხაში იყო შეტანილი. ქალაქის მერიამ გაასხვისა შენობის სარდაფი, იგი იჯარით კომერციულ ორგანიზაციას გადასცა,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ზაურ ალადაშვილმა. მისივე თქმით, მერიის წარმომადგენლები შენობაში სათნოების სახლის არსებობას ემხრობოდნენ, მაგრამ აცხადებდნენ, რომ თვით შენობა მუნიციპალიტეტს უნდა დაბრუნებოდა საკუთრებაში. ამის მიზეზად ისინი ერთ ფაქტს ასახელებდნენ, არ ვიცით, ხვალ "კათარზისი" რას მოიმოქმედებს: კაზინოს გახსნის, სხვა დაწესებულებას, თუ საერთოდ გაასხვისებს შენობასო. ალადაშვილი კი აცხადებს, რომ კათარზისს შენობის გასხვისება არ შეუძლია: **"ბალანსიდან ბალანსზე გადაცემა საკუთრებაში გადაცემას არ ნიშნავს და ვერც შენობის ფუნქციას შეცვლის. შენობის გადაცემის დოკუმენტებში გარკვევით არის მითითებული გადაცემის მიზანი,"** - აცხადებს იგი.

"კათარზისის" პრეზიდიუმი და მრჩეველთა საბჭო შენობის უზურფრუქტით გადაცემის შემთხვევაში, სამ მოთხოვნას აყენებდა: უზურფუქტი ყოფილიყო უვადო და უსასყიდლო მანამდე, სანამ ორგანიზაცია საწესდებო მიზნებს ასრულებს. (მისი პროექტები საზოგადოებისათვის აუცილებელი და გადაუდებელია); სათნოების სახლს მიეღო გარანტიები, რომ უზურფრუქტის პერიოდში შენობა არ გასხვისდებოდა გაყიდვის გზით;

შენობის მოვლა-პატრონობა იქცეოდა მერიისა და "კათარზისის" საერთო ზრუნვის საგნად.

**"მერია ჩვენს სამივე წინადადებას დათანხმდა. მაშინ, როდესაც დაიწყო საჭირო დოკუმენტებზე მუშაობა, შეიცვალა ხელისუფლებაც. ქალაქის ახალი ხელმძღვანელობა შენობას ათწლიანი უზურფრუქტის ფორმით, ნაგებობებზე საერთო ზრუნვის გარეშე გვთავაზობს. ამასთან, მერიის კომპეტენტურ მუშაკთაგან არავის არ აღმოაჩნდა დრო და სურვილი განემარტა, რა უდევს საფუძვლად ამგვარ შემოთავაზებას. ჩვენი მოთხოვნაა, შენობა დარჩეს ბალანსიდან ბალანსზე, ისე როგორც ადრე გადმოგვეცა. ან მოგვცენ გარანტია, რომ 10 წლის განმავლობაში შენობას არ გაასხვისებენ. თუკი მერია სხვა დამატებით შენობებსაც გამოგვიყოფს, ჩვენ შეგვიძლია, ასობით ადამიანი დავაპუროთ,"** - აღნიშნა ალადაშვილმა.

27 ოქტომბერს უზენაესი სასამართლო "კათარზისის" სარჩელს განიხილავს. მერიის თანამშრომლები აცხადებენ, რომ მათ სასამართლო პროცესი ორჯერ მოიგეს და მიუხედავად ამისა, "კათარზისს" თანამშრომლობას მაინც სთავაზობენ.

**"მერია თანახმაა "კათარზისს" შენობა უზურფრუქტის წესით, 10 წლის ვადით გადასცეს. მათ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და ამ შენობის საკუთრებაში გადაცემა ითხოვეს, რაც დაუშვებელია. პირველ ინსტანციასა და საოლქო სასამართლოში ჩვენ მოვიგეთ. თუკი ეს ასოციაცია მასზე დაკისრებულ ვალდებულებას კარგად შეასრულებს, მაშინ შესაძლოა, ეს ვადა კიდევ გაუგრძელდეს. რაც შეეხება მათ მოთხოვნას, რომ ხელშეკრულებაში შენობის გასხვისების საკითხი განისაზღვროს, ალბათ, ამაზეც მოვილაპარაკებთ,"** - განაცხადა ქალაქის მთავრობის იურიდიული სამსახურის უფროსმა ნიკა სისაურმა.

# ვის მივმართოთ, როცა კორპუსში მილი გასკდება

*მრავალსართულიანი კორპუსების მოსახლეობა დღემდე ვერ შეეგუა იმ ფაქტს, რომ ყოფილ სახლმმართველობებს მემკვიდრე "სერვისცენტრებისთვის" ძველი ფუნქციები არ უანდერძებია. თანაც, კორპუსების მობინადრეებს "სერვისცენტრის" დამაიმედებელი სახელწოდებაც აბნევს და ამბობენ, რომ არ იციან, მაგალითად, როცა კორპუსში სასმელი წყლის მილი დაზიანდება, დახმარებისთვის ვის მიმართონ.*

ნანა ქადაგიშვილი

**"თვეზე მეტია, ჩვენს კორპუსში სასმელი წყლის მილი გასკდა. წყალი სარდაფში ჩადის და შენობის საძირკველს აზიანებს. დახმარებისთვის რომელ უწყებას არ მივმართეთ, მაგრამ ისიც კი ვერ გვითხრეს, ხელოსანი საიდან მოგვეყვანა. ვეუბნებოდით, ფულს გადავიხდით, ოღონდ, ვინმე გამოგვიგზავნეთო, მაგრამ "წყალკანალმა" სახლმმართველობისკენ მიგვითითა, აქ კი განგვიცხადეს, ჩვენ ხელოსანი არ გვყავს და ვერც იმას გეტყვით, სად მოძებნოთო,"** - მოსკოვის გამზირზე მდებარე ერთ-ერთი კორპუსის მაცხოვრებელთა გასაჭირი უცხო არც სხვა რაიონების კორპუსების მობინადრეებისთვის არის.

ასეთ შემთხვევებში მოქალაქეები, ჩვეულებისამებრ, "სერვისცენტრებს" მიმართავენ ხოლმე, მაგრამ უშედეგოდ. მოსახლეობა დღემდე ვერ შეეგუა იმ ფაქტს, რომ ყოფილ სახლმმართველობებს მემკვიდრე სერვისცენტრებისთვის ძველი ფუნქციები არ უანდერძებია. თანაც, კორპუსების მობინადრეებს "სერვისცენტრის" დამაიმედებელი სახელწოდებაც აბნევს. **"აბა რისი სერვისცენტრი ხართ, თუ არანაირი მომსახურება არ შეგიძლიათ,"** - ასეთი პრეტენზიები ხშირად ისმის "სერვისცენტრების" სატელეფონო ხაზზე.

**"კორპუსების მოსახლეობა მიჩვეული იყო, რომ რამე რომ გაუჭირდებოდა, სახლმმართველობა ყველაფერში ეხმარებოდა. ახლაც ასე მოითხოვენ. ვერ ავუხსენით, რომ დღეს კორპუსები მათი (კოლექტიური) საკუთრებაა და თვითონვე უნდა მიხედონ. სერვისცენტრებს მხოლოდ მოსახლეობასა და გამგეობა-დასუფთავების სამსახურს შორის შუამავლობა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადასახადის ამოღება ევალება,"** - თავს იმართლებენ "სერვისცენტრებში". თუმცა, დაბნეული მოსახლეობისთვის მაინც ძნელი მისახვედრია, "სერვისცენტრებს"... "სერვისცენტრი" რაღატომღა ჰქვია და როცა კორპუსში სასმელი წყლის მილი გაუსკდება, დახმარებისთვის ვის მიმართოს.

**"მომსახურების ცენტრებში უფრო ჭკვიანი ხალხი რომ მუშაობდეს, საქმეს ისე მოაწყობდა, თვითონაც სარგებელს ნახავდა და მოსახლეობაც კმაყოფილი იქნებოდა. აიყვანდნენ დამლაგებლებს, ხელოსნებს. მოსახლეობა მომსახურების საფასურს გადაიხდის. გარეუბნებში თუ არა, შედარებით შეძლებულ რაიონებში მაინც,"** - აცხადებს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ხელმძღვანელი დათო იოსელიანი. "სერვისცენტრებს" მისი რჩევა ჭკუაში სულაც არ უჯდებათ. **"მოსახლეობა ნაგვის გატანის საფასურს არ იხდის და სხვა რამისას გადაიხდის? ამასაც სულ ძალით ვახდევინებთ. როცა რაიმე ცნობის აღება დასჭირდებათ, მანამ არ ვაძლევთ, სანამ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საფასურის ნაწილს მაინც არ გადაგვიხდის,"** - ფუნქციების გაფართოების იდეას უიმედოდ უყურებენ სერვისცენტრებში.

ასეთ სიტუაციაში გამოსავლის მოძებნა კი ქალაქის მთავრობის ვალია. პრობლემის მოგვარება თბილისის ყოფილმა მერმა მამასახლისის ინსტიტუტის შემოღებით სცადა. ეს იდეა მაშინ საკრებულოშიც მოიწონეს და მისი განხორციელების ფორმაზე კარგა ხანს დავობდნენ კიდეც. წლევანდელ ზაფხულს რამდენიმე რაიონის "სერვისცენტრებმა" მამასახლისობის კანდიდატებიც კი შეარჩიეს, მაგრამ ეს იდეა მისი განხორციელების დაწყებისთანავე ჩაკვდა, რადგან საკრებულოში ახალი იდეა გაჩნდა. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ხელმძღვანელმა დავით იოსელიანმა საბინაო ამხანაგობების შექმნის წინადადება წამოაყენა. ანუ ამხანაგობის წევრებს, რომელთაც კორპუსის პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა დაევალებათ, ერთი ან რამდენიმე კორპუსის მობინადრეები საკუთარი რიგებიდან შეარჩევენ. თუმცა, წელს არც ამ ამხანაგობის შექმნა მოხერხდა, რადგან ბიუჯეტში შესაბამისი თანხა ვერ გამოიძებნა. იოსელიანი იმითი გვამშვიდებს, რომ მომავალი წლისთვის აღნიშნული პრობლემის მოგვარება ქალაქის მერმა ითავა.

# ქალი მოაზროვნე, მგრძნობიარე არსებაა

*"გენდერული საკითხების განვითარებისთვის სათემოსა და საზოგადოებაში," - ძირითადად ამ საკითხზე მსჯელობდნენ სამუშაო კონფერენციაზე საერთაშორისო ებრაელ ქალთა ფონდი "ლეას" წარმომადგენლები, ქართველი და უცხოელი ექსპერტები, დიპლომატები. კონფერენციას საპატიო სტუმარიც ჰყავდა - ებრაელ ქალთა საერთაშორისო საბჭოს ხელმძღვანელი ქალბატონი სარა ვინკოვსკი.*

ნინო ბერელიძე

ამ ტიპის შეხვედრა პირველი პრეცედენტია სამთავრობო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობის ფორმატში ისეთ პრობლემაზე, როგორიც არის ქართველ, ებრაელ და სხვადასხვა ეთნიკური სათემოს წარმომადგენელ ქალთა შესაძლებლობების გაზრდის მხარდაჭერა. განსაკუთრებით, ქალთა პროფესიული განათლება, სიღარიბესთან ბრძოლა, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა, ქალის როლი სხვადასხვა სარწმუნოების კონფესიებში და ა.შ.

**"განვითარებულ ქვეყნებში ქალები ლიდერობისათვის იბრძვიან, მაგრამ ინდოეთსა და ალბანეთში ქალებს არავითარი უფლებები არ გააჩნიათ. ისინი ყველაზე დაბალ ფენას წარმოადგენენ საზოგადოებაში. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში უმთავრესი პრობლემა ტრეფიკინგი და ცუდი სოციალური პირობებია. ამ ყველაფრის თავი და თავი განათლების დაბალი დონეა. ჩვენს ორგანიზაციას 49 ფილიალი აქვს სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში, საზოგადოება "ლეას" სახით. მთავარი მიზანი, რასაც ვემსახურებით ისაა, რომ აქტიურად და ერთად დავიცვათ ქალებმა ჩვენი ინტერესები, უმთავრესი კი კაცებთან თანასწორუფლებიანობის პრინციპია. გვინდა მამაკაცებს გავაგებინოთ, რომ ქალი მოაზროვნე, მგრძნობიარე არსებაა,"**- აღნიშნა სარა ვინკოვსკიმ.

ფოსტა

# ქალაქში ეზოები უნდა შემოიღობოს

ჩემი ქვეყნისა და ჩემი თბილისის სიყვარული იმ პატარა ეზოდან იწყება, რომელიც მთაწმინდაზე - ბესიკის ქუჩაზე მდებარეობს. იქიდან მოდის ჩემი მეხსიერების საწყისი და ახლა რომ ვუკვირდები, ადამიანის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუტი მხოლოდ ოჯახი და სკოლა კი არა, ეზოც არის. სინამდვილეშიც ასე იყო - თუკი ქართველ კაცს თავისი ტოლერანტობით შეუძლია, რომ თავი მოიწონოს, ეს, ალბათ, იმ ეზოების დამსახურებაც არის, სადაც ერთად ვიზრდებოდით ქართველი, რუსი, ებრაელი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ბერძენი, ასირიელი, ქურთი, ესპანელი, პოლონელი და, ვინ მოთვლის, კიდევ ვინ.

ყველა მეზობელი თავს მოვალედ თვლიდა, რომ ეზოში მყოფი ბავშვებისთვის ყურადღება მიექცია. ამიტომაც იყო, რომ მუდმივი ყურადღების ქვეშ მყოფ ბავშვებს ნაკლები მიდრეკილება გვქონდა ცუდის ქმნისაკენ, ცუდის თქმისგანაც თავს ვიკავებდით და უფროსისა და ქალის პატივისცემაც ბავშვობიდანვე ძვალსა და რბილში გვქონდა გამჯდარი. ეზო დიდისთვისაც ინსტიტუტი იყო. ეზოში მყოფი კაცი, რომელიც მეზობლებისა და ბავშვების გარემოში ყოფნას ანგარიშს უწევდა, თავის მოქმედებასა და სიტყვა-პასუხში ცდილობდა, მოზომილი ყოფილიყო, გარშემო მყოფთა თვალში ღირსეულ რაინდად გამოჩენილიყო, ეს კი მოზარდებისათვის ყოველთვის საუკეთესო მაგალითი გახლდათ.

ეზოს მოშლამ მიგვიყვანა დღევანდელ უცერემონიო და მოურიდებელ დამოკიდებულებამდე ახალგაზრდების მხრიდან უფროსებისა და ქალების მიმართ და მათ სიტყვა-პასუხში ასე მოჭარბებულ საკუთარი დედ-მამის გინებამდე. ამიტომ არის საჭირო იმ ფენომენის, იმ აღზრდის აკადემიის აღდგენა, რომელსაც ქალაქური ეზო ერქვა. საჭიროა, ეზოები შემოიღობოს და, სამეზობლოს სახით, მას პატრონი გაუჩნდეს. სადაც პატრონია, იქ წესრიგიცაა და სისუფთავეც, მით უმეტეს, რომ ამჟამინდელი ქალაქის თვითმმართველობა ამ წამოწყების მხარდამჭერია და ზოგ შემთხვევაში შეიძლება ფინანსურადაც დაეხმაროს ეზოს ამხანაგობებს.

*ივანე ჩოლოყაშვილი*

# ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტი კომენტარებს არ აკეთებს

*ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის თავმჯდომარე ჟორჟეტ დურიე და მონიტორინგის კომიტეტის სხვა წევრები ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილს შეხვდნენ. გადაწყვეტილება მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციამ მას შემდეგ მიიღო, რაც არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარემ ნანა კაკაბაძემ უცხოელ ექსპერტებს, ოფიციალური შეხვედრისას, სულხან მოლაშვილის საქმის მასალები და პატიმრის თხოვნა გადასცა.*



*ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის თავმჯდომარე და კომიტეტის სხვა წევრები კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ. მათი დასკვნა წლის ბოლოსთვის გამოქვეყნდება.*

ევროსაბჭოს ექსპერტებს გადაეცათ პატიმრობაში მყოფი კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის წერილი, რომლითაც მან არასამთავრობო ორგანიზაციებს, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებს, დამოუკიდებელ პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს მიმართა.

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე თავს პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნევს და აცხადებს, რომ "მისი პატიმრობა არ არის კერძო შემთხვევა და ქვეყანაში 21-ე საუკუნის ტირანიის დამკვიდრების უსუსურ და არაადამიანურ მცდელობას უკავშირდება". წერილში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილია მისი პოლიტიკური მკვლელობის ორგანიზება, რომელიც მიზნად ისახავს მის ხელთ არსებული მამხილებელი მასალების განადგურებას სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის - პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის გზით. **"პარლამენტის და მთავრობის წევრებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, პოლიტიკური პატიმრების წამების ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენიათ. სწორედ ამიტომ, თავს ვალდებულად ვთვლი, დავაიმედო ისინი, რომ მეც ვფლობ კორუფციის ისეთი საინტერესო ფაქტების შესახებ ინფორმაციებს, რომლებიც არა მარტო დააინტერესებს მთავრობისა და პარლამენტის ზოგიერთ წევრს, არამედ საფუძველიც კი შეიძლება გახდეს მათი "ვარდებით" მოფენილი პოლიტიკური კარიერის დასასრულისა,"** - წერს მოლაშვილი. სხვათა შორის, სულხან მოლაშვილი მთავრობის ზოგიერთი წევრის საეჭვო საქმიანობის შესახებ კომპრომატების გამოქვეყნებით დაპატიმრებამდეც იმუქრებოდა.

ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის წევრები სულხან მოლაშვილს რამდენიმე საათის მანძილზე ესაუბრებოდნენ. პატიმართან შეხვედრიდან გამოსულმა ჟორჟეტ დურიემ განაცხადა, რომ მათ მიიღეს დეტალური ინფორმაცია უშუალოდ პატიმრისგან. მისივე განცხადებით, ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტი სულხან მოლაშვილის საქმეს კონტროლზე აიყვანს და გამოაგზავნიან ექსპერტს, რომელიც მოლაშვილის სასამართლო პროცესს დაესწრება.

გარდა სულხან მოლაშვილისა, ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან შეხვედრა მოითხოვა შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმაც. ყოფილი მინისტრის თხოვნა ევროსაბჭოს ექსპერტებს არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" წარმომადგენელმა ნანა კაკაბაძემ გვიან გადასცა და უცხოელ ექსპერტთა სამუშაო დღის გრაფიკში ეს შეხვედრა ჩასმული არ იყო. ამიტომ ჯერჯერობით უცნობია, მოახერხებენ თუ არა ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციის წევრები კობა ნარჩემაშვილთან შეხვედრას. სულხან მოლაშვილთან შეხვედრის დასრულების შემდეგ უცხოელი ექსპერტები ორთაჭალის საპყრობილეს ესტუმრნენ, სადაც შეხვდნენ ყოფილ მაღალჩინოსან პატიმრებს.

ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის თავმჯდომარე და კომიტეტის სხვა წევრები კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ. მათი დასკვნა წლის ბოლოსთვის გამოქვეყნდება და მასში საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის მხრივ არსებული სიტუაცია დეტალურად იქნება განხილული. თუმცა, საერთაშორისო ექსპერტები მათი ვიზიტის შედეგებს ჟურნალისტებისთვის დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე მაინც შეაჯამებენ.

*24 საათი*

# იძებნება თბილისის მერიის ჩინოსანი

*ცოტა ხნის წინ, თბილისის მერიასთან არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების "თბილშუქნიშნის" გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დანიშნული, 27 წლის ლევან მგალობლიშვილი დღეს უკვე სისხლის სამართლის დამნაშავეა და მასზე გამოცხადებულია ძებნა.*

მგალობლიშვილი მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის საგამოძიებო ნაწილის მიერ სსკ-ის 239-ე მუხლით ხულიგნობაშია ეჭვმიტანილი და, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მას სამიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

როგორც გამოძიებით გაირკვა, ლევან მგალობლიშვილმა ფეხის არეში დაჭრა თელავის რაიონის სოფელ გულგულაში მცხოვრები თეიმურაზ კირიაკოვი და სოფელ კონდოლის მკვიდრი ივანე დარახველიძე. ორივე მათგანი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც სასწრაფო ოპერაციები გაუკეთდათ.

თავად შემთხვევა თბილისში, ახვლედიანის ქუჩაზე, მგალობლიშვილის სახლის წინ მოხდა. 22 ოქტომბერს მერიის მიერ დაქირავებული მუშები გზაზე ქვაფენილს აგებდნენ. იმისათვის, რომ კირიაკოვს და დარახველიძეს "თბილშუქნიშნის" გენერალური დირექტორის ეზოზე დამატებით ბარდიური გაეკეთებინათ, მისმა დედამ მუშებს 30 ლარი გადაუხადა. სწორედ ამ დროს სახლში დაბრუნდა მგალობლიშვილი (ამ ეტაპზე უცნობია, ნასვამი იყო თუ არა). როგორც ჩანს, იგი აღაშფოთა იმან, რომ მუშებმა ფაულის აღება გაბედეს და 30 ლარის უკან წართმევა მოინდომა. კირიაკოვმა და დარახველიძემ გაწეული შრომის ანაზღაურების საფასურის დაბრუნებაზე უარი თქვეს და კონფლიქტიც ამით დაიწყო. როგორც საავადმყოფოში დაკითხული დაზარალებულები აღნიშნავენ, მგალობლიშვილი მოულოდნელად სახლში გაიქცა, იარაღი გამოიტანა და ორივე მუშა ფეხში დაჭრა. კონფლიქტში სხვა მუშებიც ჩაერთნენ, რომლებმაც გენერალურ დირექტორს იარაღი წაართვეს და მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციაში ჩააბარეს. თავად მგალობლიშვილი კი მაშინვე მიიმალა.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის სამსახურის უფროსის გიორგი ნაცვლიშვილის განცხადებით, გამოძიებამ უკვე დაადგინა, რომ მგალობლიშვილს იარაღის ტარების უფლება არ ჰქონდა. ამჟამად დგინდება, ვის ეკუთვნოდა მისთვის ჩამორთმეული "მაკაროვის" სისტემის იარაღი და ჰქონდა თუ არა შენახვის უფლება. არ არის გამორიცხული, რომ მოგვიანებით მგალობლიშვილს იარაღის უკანონო შენახვა-შეძენის ბრალდებაც მიემატოს. გენერალური დირექტორის საქმეს ამძიმებს ისიც, რომ იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და პოლიციაში დღემდე არ ცხადდება.

"თბილშუქნიშნის" გენერალურ დირექტორს არც მერის და ვიცე-მერის პროტექციის იმედი უნდა ჰქონდეს. ზურაბ ჭიაბერაშვილმა და ბიძინა ბრეგაძემ სამართალდამცველებს მიმართეს და მგალობლიშვილის მკაცრი დასჯა მოითხოვეს.

**"მართალია, მგალობლიშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არის დანიშნული, მაგრამ ვერაფრით შევეგუებით ჩვენს გვერდით ასეთ ადამიანებს. იგი კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს,"** - ამბობენ მერიის წარმომადგენლები. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "შუქნიშნის" გენერალური დირექტორის მიერ დაზარალებული მუშების მკურნალობის ხარჯებს თბილისის მთავრობა საკუთარ თავზე აიღებს.

*24 საათი*

# დაკავებულია მრეწველობის ყოფილი მინისტრი

*თბილისის პროკურატურამ რამდენიმე დღის წინ დააკავა შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენელი, მრეწველობის ყოფილი მინისტრი ვოვა კერესელიძე. მას უკვე ბრალიც წაუყენეს და სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობაც შეუფარდა, თუმცა, ეს ამბავი ჟურნალისტებისთვის რატომღაც გასაიდუმლოებული გახდა. თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და სახელმწიფოსთვის გადასახადების დამალვაში ბრალდებული მრეწველობის ყოფილი მინისტრი გუშინ საღამოს ორთაჭალის საპყრობილეში გადაიყვანეს.*

თბილისის პროკურორის, გიორგი ღვინიაშვილის განცხადებით, მას ბრალად ედება მრეწველობის სამინისტროს ბალანსზე მყოფი შენობის უკანონო პრივატიზება, უნივერმაღის აქციების უკანონოდ შეძენა და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ზარალის მიყენება. პროკურატურის ბრალდებით, მან სახელმწიფო ბიუჯეტს 40 ათასი ლარის ზიანი მიაყენა.

მრეწველობის ყოფილი მინისტრი ვოვა კერესელიძე იარაღის ბიზნესით იყო დაკავებული და მან თავის დროზე პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ იარაღით ვაჭრობის ექსკლუზიური ნებართვაც მიიღო. შენობა, რომლის უკანონო პრივატიზებაშიც მას ადანაშაულებენ, იარაღით მოვაჭრე მაღაზია "დიანაა". სხვათა შორის, ვოვა კერესელძე ბოლო პერიოდში ატეხილი სკანდალის ობიექტთან "დელტასთანაც" იყო დაკავშირებული. თუმცა, გამოძიება "დელტას" მიერ განადგურებულ მილიონობით იარაღთან ვოვა კერესელიძეს, ჯერჯერობით, არ აკავშირებს. ვოვა კერესელიძის სახელი პირველად თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილის ნიკუშა კეკელიძის დროს, ხოლო შემდეგ, თავდაცვის ყოფილი მინისტრის ძმის, საზოგადოება "თანადგომის" პრეზიდენტის გურამ თევზაძის მკვლელობის დროს ამოტივტივდა. მართალია, მისი გვარი ამ მკვლელობებთან არ დაკავშირებულა, მაგრამ ითქვა, რომ ის ჩაბმული იყო იარაღის ბიზნესთან დაკავშირებულ სერიოზულ მაქინაციებში, ანუ, ვოვა კერესელიძე საქართველოში, ფაქტობრივად, იარაღის ბიზნესის მონოპოლისტი იყო.

*24 საათი*

# ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი თავს დამნაშავედ არ ცნობს

*შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა გუშინდელი ღამეც უშიშროების სამინისტროს იზოლატორში გაატარა. გუშინ გამოძიებას იგი ეჭვმიტანილის სახით უნდა დაეკითხა, თუმცა, თავად დაკავებული დუმილის უფლებას იყენებს და ერთადერთი, რასაც ამბობს, ის გახლავთ, რომ თავს დამნაშავედ არ სცნობს.*

გუშინწინ თბილისში სპეციალურად ექსპრეზიდენტის მეუღლის დაკრძალვაზე ჩამოსული შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, საღამოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა გენერალურ პროკურატურაში თითქმის ერთი წლის წინათ აღძრული სისხლის სამართლის საქმის საფუძველზე დააკავეს.

საბაჟო წესების დარღვევა და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება ის ბრალდებები გახლავთ, რომლებსაც კობა ნარჩემაშვილს, მისი მინისტრობის დროს განუბაჟებელი მანქანების რეგისტრაციაში გატარებისა და ვარდების რევოლუციის დღეებში ცრემლმდენი გაზის ბალონების აზერბაიჯანიდან შემოტანისთვის, სავარაუდოდ, დღეს წაუყენებენ - სწორედ დღეს იწურება დაკავებიდან მისთვის ბრალის წარდგენამდე სამართალდამცველი ორგანოებისთვის განსაზღვრული 48-საათიანი ვადა.

ნარჩემაშვილის ადვოკატების მტკიცებით, გენერალურ პროკურატურას შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის დაკავების არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, რადგანაც ნარჩემაშვილი გამოძიებას არასოდეს დამალვია.

**"აზერბაიჯანიდან ტვირთის შემოტანის გამო იგი 10 თვის წინ უკვე იმყოფებოდა დაკითხვაზე და სრული ახსნა-განმარტებაც მისცა გამოძიებას, რაც შეეხება განუბაჟებელი მანქანების გახმაურებულ საქმეს, ამის გამო გამოძიებას არც ერთხელ არ მიუმართავს ყოფილი მინისტრისთვის"**, - ამბობენ ნარჩემაშვილის ადვოკატები.

როგორც ცნობილია, ნარჩემაშვილის ერთ-ერთი ბრალდება - განუბაჟებელი მანქანების უკანონო რეგისტრაცია, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის სერიოზული ზარალის მიყენებას გულისხმობს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი გახლდათ გუშინ გენერალურ პროკურატურაში კობა ნარჩემაშვილის სახლებზე წამოწყებული საუბარი. სავარაუდოდ, კობა ნარჩემაშვილის დაუმთავრებელი სახლი დიღმის გზაზე და საცხოვრებელი ბინა საბურთალოზე, ვაზისუბნის ქუჩაზე, იმ ქონების ნუსხაში მოხვდება, რომელთა ჩამორთმევასაც პროკურატურა სასამართლოსგან მოითხოვს. ამასობაში თავად ყოფილმა მინისტრმა, რომელიც თავს დამნაშავედ არ ცნობს, ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრა მოითხოვა.

*24 საათი*

*მოკლედ*

## სასჭელაღსრულების დაწესებულებებში ჩხრეკები გრძელდება

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა და იუსტიციის სამინისტროს სპეცრაზმის წევრებმა რუსთავის N 1 და N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აკრძალული ნივთების ამოსაღებად ჩხრეკა ჩაატარეს. რუსთავის N 1 დაწესებულებიდან, სადაც 800-მდე პატიმარი იხდის სასჯელს, ხუთი დანა, ერთი მობილური ტელეფონი, ხუთი ცალი მობილური ტელეფონის დამტენი, ოთხი "შტირი", სამი სახრახნისი, ბანქოს 16 დასტა, ოთხი ცალი მაკრატელი, შვიდი ჩანგალი, ბრტყელტუჩა, ჩაქუჩი, ხერხი, რკინის 13 ნაჭერი, ერთი ლიტრი ალკოჰოლური სასმელი "ბრაგა" და შვიდმეტრიანი ელექტროსადენი ამოიღეს. რუსთავის N 2 დაწესებულებიდან კი, სადაც 900 პატიმარი იხდის სასჯელს, ორი მობილური ტელეფონი, 14 მობილური ტელეფონის დამტენი, ოთხი ბრტყელტუჩა, 45 ცალი ნახმარი ერთჯერადი შპრიცი, 21 ჩანგალი, შვიდი მაკრატელი, ნაჯახი და სხვა აკრძალული ნივთები ამოიღეს.

გუშინვე გახდა ცნობილი, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის N 7 მკაცრი დაწესებულებიდან გაქცევა სცადა წყალტუბოელმა დავით ვეფხვაძემ.

მას ქურდობისთვის, ყაჩაღობის მცდელობისთვის და იარაღის უკანონოდ ტარებისთვის 10 წელი აქვს მისჯილი. პატიმარმა გასაქცევად სატვირთო ავტომანქანის საბარგული გამოიყენა, რომელიც საყოფაცხოვრებო ნაგავით იყო დატვირთული. დავით ვეფხვაძე კოლონიის თანამშრომლებმა ავტომანქანის შემოწმებისას აღმოაჩინეს.

პატიმარი სასჯელს 2011 წელს ამთავრებდა, მაგრამ გაქცევის მცდელობისთვის მას სასჯელი დაემატება.

*მედია-ნიუსი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი ............

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ............

საკონტაქტო ტელეფონი ............

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# პოლიტიკური კორექტულობა და განათლების რეფორმა

ნანა გოგოლაშვილი
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*შეხვედრა სახელმწიფო უნივერსიტეტში.*

მართალია, "პოლიტიკური კორექტულობის" ცნება, უპირველეს ყოვლისა, ენობრივ ფენომენს წარმოადგენს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ენისა და აზროვნების ურთიერთკავშირის აუცილებლობას, ცხადი გახდება, რომ ეს ცნება ადამიანთა პილიტიკური და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისების ერთიანობას, განწყობას, გარკვეულ ქმედებებსა, და, ხშირად, ცხოვრების წესსაც გულისხმობს. ვიდრე "პოლიტიკური კორექტულობის" ცნება გაჩნდებოდა, არსებობდა რეალური პოლიტიკური მოძრაობებისათვის დამახასიათებელი აზროვნების წნეხი, რომელსაც სახელწოდება არ ჰქონდა, ე.ი. ამ ცნებას გარკვეულწილად აკლდა რეალურად არსებობის საფუძველი, იმის გამო, რომ ეს ფენომენი კი არსებობდა, მაგრამ სახელწოდების არქონის გამო ვერ ხერხდებოდა მისი ფაქტებთან მიმართებაში გამოყენება. მას შემდეგ, რაც 90-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩნდა სიტყვა "პოლიტიკური კორექტულობა", ნათელი გახდა, თურმე რა საჭირო ყოფილა ამ ცნებასთან დაკავშირებული ფაქტების ერთიანი სახელწოდების საფარქვეშ მოქცევა. ფრაზა: "თქვენ არა ხართ პოლიტიკურად კორექტული" თავდაპირველად ნიშნავდა: "თქვენ არასწორად აზროვნებთ", "თქვენ არასწორი ცნობიერება გაქვთ". როცა ვინმე ამბობდა: "მე პოლიტკორექტული ვარ"-ო, ამით იმის თქმა უნდოდა, რომ სწორად აზროვნებდა და ვილაცის თვალსაზრისს არ იზიარებდა.

ბოლოს და ბოლოს, "პოლიტიკური კორექტულობის" ცნება იქცა იარაღად იმ მეამბოხე უმცირესობის ხელში, რომელმაც დაიწყო ბრძოლა საკუთარი აზროვნების წესის დასამკვიდრებლად. ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს უმცირესობათა კოალიციები, რომელთა წევრებიც საკუთარ თავს "მსხვერპლად", "დაზარალებულად" ან "შეურაცხყოფილად" აცხადებენ. ეს ადამიანები ჩივიან, რომ მათ ჩაგრავენ, ანგარიშს არ უწევენ მათ აზრს, და, ამრიგად, დისკრიმინირებული არიან.

პოლიტკორექტულობა სხვადასხვა სახით იჩენს ხოლმე თავს ტოტალიტარული და დემოკრატიული საზოგადოების იდეოლოგიებში. ცნობილია, რომ "სხვაგვარად მოაზროვნეთა" პოლიტკორექტული ჯგუფები საბჭოურ იდეოლოგიას მთელი მისი არსებობის მანძილზე ებრძოდნენ; ისინი იყვნენ ყველგან: პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში. ამ ნამდვილად "მსხვერპლთა ჯგუფებს" სახელმწიფო თავისი იდეოლოგიით აიძულებდა, საკუთარი პოლიტიკური აზროვნების ჰარაკირი გაეკეთებინა.

საქართველო, ამ მხრივ, გამონაკლისი არ ყოფილა. ქართველ მეცნიერთა და ხელოვანთა თაობებმა ტოტალიტარული იდეოლოგიის წნეხის ქვეშ შეინარჩუნეს და დღემდე მოიყვანეს ქართული მეცნიერება და ხელოვნება; ბევრი მათგანი კი ტრაგიკულად წავიდა ამ ქვეყნიდან.

დემოკრატიული, ღია სამოქალაქო საზოგადოებაში ზეჯგუფურ ადამიანურ ღირებულებებს ხშირად უპირისპირდება პოლიტკორექტული ჯგუფების აზროვნება, რაც ამ უკანასკნელთა აზრით, იმას ნიშნავს, რომ ამ ჯგუფებს მიღმა მდგომი ადამიანები, რომლებიც მათ თვალსაზრისებს უპირისპირდებიან, საკუთარი ჰეგემონიისკენ მიისწრაფვიან. ასეთი ჯგუფების შექმნას ყველა სახელმწიფოში თავისი მიზეზები და საფუძველი გააჩნია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში შავკანიანთა და ინდიელთა პოლიტკორექტული ჯგუფები აცხადებენ, რომ უნივერსალური, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება "თეთრკანიანი ჰეტეროსექსუალი მამაკაცის" მიერ მოგონილი ხრიკი იყო, რომლის საშუალებითაც მას სურდა, საკუთარი კულტურული ჰეგემონია დაემკვიდრებინა. ამ ვიწრო ჯგუფების ლოგიკა ასეთია: თუ "თეთრკანიანი მამაკაცის" აზრით, ლოგიკის კანონები ყველასთვის ერთნაირად მოქმედებს, განა ამით იგი საკუთარი აზროვნების წესს უნივერსალურად არ აცახდებს? განა ამით იგი არ ახდენს იმ ჯგუფების დისკრიმინაციას, რომლებიც ლოგიკურად არ აზროვნებენ, და, შესაძლოა, სურვილიც არა აქვთ ამისა?"

პოლიტკორექტული ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ამგვარი იმანენტური ანტიუნივერსალიზმი, რა თქმა უნდა, აზროვნების დეფიციტს იწვევს, ხელს უშლის პლურალისტურ ურთიერთობებს და საზოგადოებაში ქმნის მუდმივ საფრთხეს, რომ ეს ურთიერთობები, შესაძლოა, მტრულ ჯგუფურ სეპარატიზმში გადაიზარდოს.

ამრიგად, პოლიტკორექტულობა ღია სამოქალაქო საზოგადოებაში დახურულ იდეოლოგიურ სისტემას წარმოადგენს, რომელიც წინასწარ, თითქმის მექანიკურად უჭერს მხარს რომელიმე პარტიკულარულ თვალსაზრისს, და ამით, ზოგადსაკაცობრიო, ზოგადეროვნული, ზოგადსამართლებრივი და ზოგადკულტურული იდეების წინააღმდეგ გამოდის.

პოლიტკორექტულობა არ წარმოადგენს რაიმე კოდიფიცირებულ მოძღვრებას. იგი ვერ დაადგენს, რომელი თვალსაზრისია სწორი და რომელი - არა, რადგან არ გააჩნია თეზისების მკაცრი რეპერტუარი, იგი მუდმივ მოძრაობაშია, და, იმ ქარივით მოუხელთებელია, პოლიტიკური და სოციალური პრობლემის შეხლა-შემოხლის დროს რომ ამოვარდება ხოლმე.

სამწუხაროდ, საქართველოში განათლების რეფორმა იქცა იმ ლაკმუსის ქაღალდად, რომელმაც დაგვანახა, რომ პოლიტკორექტულობა მსოფლმხედველობის ნორმაციას არ წარმოადგენს და, რომ იგი ადამიანის სულის მდგომარეობაა. სწორედ ამის გამო პოლიტკორექტული აზროვნება განსაკუთრებით აუტანელი ხდება ინტელექტუალურ სფეროში, როდესაც საქმე უნივერსიტეტის მეცნიერებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ეხება. მეცნიერებაც და ხელოვნებაც ხომ იმ პრინციპს ეფუძნება, რომ არ შეიძლება ყველამ ყველაფერი ერთნაირად კარგად აკეთოს! სწორედ იმიტომ, რომ ყველას ერთნაირად კარგად არ შეუძლია მეცნიერულად აზროვნება, ხატვა, ძერწვა, სიმღერა და ა.შ., არსებობს მეცნიერება და ხელოვნება. ეს ის სფეროებია, რომელთა შესახებაც ადამიანთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ამას თავად ასე კარგად ვერ გააკეთებდა. ამის გაფიქრება, შესაძლოა, გულდასაწყვეტიც იყოს, მაგრამ, რაკი ადამიანთა უმრავლესობის ფსიქიკა მხოლოდ შურს არ შეიცავს, როგორც წესი, მათ სიხარული ალავსებთ ხოლმე იმის დანახვაზე, რასაც თავად ვერ გააკეთებდნენ. და, რაც უფრო რთულია საქმე, მით უფრო დიდია აღფრთოვანება იმით, რის გაკეთებაც სხვებს არ შეუძლიათ. სამწუხაროდ, პოლიტკორექტულად მოაზროვნე მეცნიერებისა და პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფს ეს თვისება არ აღმოაჩნდა, როდესაც რეფორმატორთა ერთმა ჯგუფმა საზოგადოებრიობას განათლების რეფორმების პროექტი შესთავაზა. ამ ჯგუფმა ძალზე რთული საქმე იტვირთა, რომელსაც გულშემატკივრობა და შეფასება, პირველ რიგში, სწორედ უნივერსიტეტის მეცნიერებისაგან და პროფესორ-მასწავლებლებისაგან სჭირდებოდა: ეს რთული საქმე ხომ სწორედ ჩვენი გაპარტახებული და კორუმპირებული განათლების სისტემის შეცვლასა და განახლებას ეხება?!

განათლების რეფორმის იდეა მთელი თავისი ნაკლითა და ღირსებით, სწორედ იმით არის მომხიბლავი, რომ იგი გვთავაზობს იმ გარდაქმნებს, რომელმაც უნდა მოიცვას ჩვენი სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები. ასეთი პერსპექტივა იმედს გვისახავს, რომ გაჩანაგებული და დარბეული უნივერსიტეტის ნაცვლად, ადრე თუ გვიან, ჩვენც გვექნება თანამედროვე ტექნიკითა და ბიბლიოთეკებით აღჭურვილი უნივერსიტეტი, როდესაც ამ უნივერსიტეტში პრესტიჟული I კორპუსის მსგავსად, ყველა კორპუსი ერთნაირად კეთილმოწყობილი და გამთბარი იქნება, როდესაც ერთ აუდიტორიაში ერთდროულად ოთხი ლექტორი არ ჩაატარებს ლექციებს, როდესაც II კორპუსის აუდიტორიებში აღარ იქნება ჩამტვრეული კარ-ფანჯრები, როდესაც იქ შესულ სტუდენტებსა და ლექტორებს აღარ დახვდებათ შამპანურისა და ლუდის ცარიელი ბოთლები, როდესაც დარცხვენილი და შემცბარი უცხოელი სტუმრები საპირფარეშოს სუნზე გაუყვებიან იქითკენ მიმავალ გზას, როდესაც და კიდევ ბევრი როდესაც... იქნება მაშინ.

სწორედ, განათლების რეფორმის პროექტში წამოიჭრა ერთ-ერთი ყველაზე ემპირიული საკითხი: ქართულმა უნივერსიტეტმა უნდა აღზარდოს კადრები, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ მსოფლიოს მოწინავე მეცნიერებს და სპეციალისტებს. ამისათვის კი, უნივერსიტეტში არ უნდა სწავლობდნენ სტუდენტები, რომლებიც ფულს იხდიან იმაში, რომ არ ისწავლონ, ცდილობენ მატრიკულში ჩადებული დოლარებით "ეზიარონ" მეცნიერების სიკეთეს და არ იციან სწავლისა და მეცნიერების ფასი. დიახ, უნივერსიტეტში ის სტუდენტები უნდა მოდიოდნენ, რომლებსაც ესმით: მეცნიერება იმის გამო არ არის ელიტარული, რომ მას ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა ვერ ეუფლება; იგი ელიტარული და უნივერსალურია იმით, რომ მეცნიერული ცოდნა მხოლოდ მსოფლიოში გაფანტულ მაღალპროფესიონალი კოლეგების ხვედრია; და კიდევ: სტუდენტმა უნდა იცოდეს, რომ უნივერსიტეტი არ შეიძლება მისი კარიერისტული ლტოლვისათვის ტრამპლინი იყოს. სიმპტომატურია, რომ სწორედ ამგვარი კარიერისტული ვნებათაღელვით შეპყრობილმა და ხელმოცარულმა სტუდენტებმა გაიხადეს განათლების რეფორმა საჯილდაო ქვად.

ვიმედოვნებდით, რომ ამ სტუდენტთა ისტერიის ფონზე, უნივერსიტეტის მეცნიერთა და პროფესორ-მასწავლებელთა კრიტიკა, რომელიც განათლების რეფორმის იდეას უნდა გამოეწვია, რაციონალური და ობიექტური იქნებოდა იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია საღი განსჯისა და კეთილგონიერების ფარგლებში. ვფიქრობდით, რომ ამ კრიტიკის საფუძველი იქნებოდა საპირისპირო, არგუმენტირებული მტკიცებულებების მოყვანის მცდელობა, რაც ესოდენ აუცილებელია ჭეშმარიტების ძიების პროცესში და, რაც კარლ პოპერმა ფალსიფიკაციის სახელით მონათლა. ეს მეთოდი მდგომარეობს შეცდომების სისტემატურ ძიებაში და აქედან მიღებული დასკვნების შეფასებაში. მართებულია ის, რაც ფალსიფიკაციის ამგვარ მცდელობას წინააღმდეგობას გაუწევს, რადგან ნებისმიერი ახალი იდეის ავტორი დაინტერესებულია, თავად ეძებოს არა მხოლოდ ის, რაც მის იდეას გაამართლებს და დაამკვიდრებს, არამედ ისიც, რაც ამ იდეის სისუსტეს გამოავლენს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას აუცილებლად სხვები გააკეთებენ.

როგორც შემდეგში აღმოჩნდა, რეფორმის პროექტის ავტორები ამ "სხვებში" სწორედ უნივერსიტეტის მეცნიერებსა და პროფესორ-მასწავლებლებს გულისხმობდნენ, პროექტის ავ-კარგიანობის შეფასებაც პირველ რიგში, სწორედ მათ მიანდეს, რაკილა მიაჩნდათ, (და სამართლიანადაც), რომ განათლების რეფორმის აუცილებლობის მოთხოვნა და მისი მხარდაჭერა სწორედ ამ ადამიანების პრეროგატივა უნდა ყოფილიყო; განათლების რეფორმაში პირველებს სწორედ მათ უნდა დაენახათ ის ჭეშმარიტება, რასაც საზოგადოების სხვა წევრები ვერ დაინახავდნენ.

რა თქმა უნდა, ქართულ საზოგადოებრიობას შესწევს უნარი, განსაჯოს, რა გონივრულია და რა - არა და რეფორმასთან დაკავშირებით მანაც დაიწყო ჭეშმარიტების ძიება. მაგრამ რაკილა საზოგადოებრიობა განათლების რეფორმის ობიექტურად შეფასებას სწორედ მეცნიერებისა და პროფესორ-მასწავლებელთა მხრიდან მოელოდა, უნდოდა გაეგო, რას იტყოდნენ ეს ადამიანები, როგორ დაინახავდნენ რეფორმას პერსპექტივაში, რა არგუმენტებს წამოაყენებდნენ მის სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ და საზოგადოებრიობა სახტად დარჩა, როდესაც დაინახა, რომ რეფორმის გარშემო ატეხილ აურ-ზაურში უნივერსიტეტის მეცნიერთა პოლიტკორექტული ჯგუფი გამოიკვეთა, რომელმაც სხვათა შორის, მონოპოლია აიღო ხელში, და ისე, რომ არ დაინტერესებულა ამ დაწესებულების პროფესორ-მასწავლებელთა დიდი უმრავლესობის აზრით, გადაწყვიტა, რომ "კარგი" ან "უკეთესი" რეფორმის შესახებ საკითხი მისთვის მოხსნილია და არაკორექტულად ითვლება. "კორექტული კანონი" არის ის, რასაც მეცნიერთა და პროფესორ-მასწავლებელთა ეს ჯგუფი დაადგენს და რაკი განათლების რეფორმის ხარისხის საკითხი თავისთავად აღარ არსებობს, ამ ჯგუფის წევრთა მთელი აზროვნება ერთ სიტყვიერ დევიზზე დავიდა: "ჩვენ ჯერ აქა ვართ, ჩვენ ჯერ კიდევ ვარსებობთ!" საგონებელში ჩავარდნილი საზოგადოება დაიბნა, რადგან დაინახა, რომ კრიტიკოსთა ამ აშკარად პოლიტკორექტული ჯგუფის წევრთა მიზანს განათლების რეფორმის იდეაში ჭეშმარიტების ძიება კი არა, ის რწმენა შეადგენდა, რომ მათ უფლება აქვთ, ამ რეფორმის ავტორების საქციელიდან გამომდინარე, თავი შეურაცხყოფილად იგრძნონ. გრძნობების გაზომვა ხან ხერხდება და ხან არა. სუბიექტური გრძნობები ყოველთვის ჭეშმარიტია. მათ ვერაფრით შეებრძოლები; არც მათი გადარწმუნების მეთოდი არსებობს. ვინც ამ გრძნობას შელახავს, თავიდანვე განწირულია. უდანაშაულობის პრეზუმფციას გრძნობები და თანაც პოლიტკორექტული, არ ცნობენ. სამწუხაროდ, ჭეშმარიტ გრძნობას ვერ განასხვავებ სიტყვებით გამოხატული გრძნობისაგან. ვინმე დამნაშავეა თუ არა, ამას მხოლოდ "შეურაცხყოფილის" თვალსაზრისი გამოხატავს. და ამ დროს საკუთარი ჭეშმარიტების მტკიცებულებას სწორედ ეს გრძნობა წარმოადგენს.

პოლიტკორექტულ მეცნიერთა და პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფმაც რეფორმის მესვეურებს სწორედ ამგვარი გრძნობების საფუძველზე გამოუტანა განაჩენი, თანაც არა საპირისპირო არგუმენტებითა და სამართლიანი კრიტიკით, არამედ მუშტებით, ხმლითა და მახვილით. გრძნობათა მოზვავების შედეგად გამოტანილი განაჩენის თანახმად კი, აღმოჩნდა, რომ განათლების რეფორმის ერთ-ერთი ავტორი - სოროსის მიერ შემოგზავნილი ჯაშუში და ერის მოღალატეა, მეორე - იეღოველია და ქართულ მართლმადიდებლობას ებრძვის, მესამე ავტორი მეტისმეტად პირქუშია და თითქმის არასოდეს არ იღიმება, მეოთხე - კი, პირიქით, გამუდმებით იღიმება, და თანაც, ერთობ მორცხვად და საეჭვოდ. და რაკი რეფორმის ავტორების ამგვარი ხედვა ადამიანთა ერთი ჯგუფის ინტერესთა ორგანიზებულ დამცავ საშუალებად იქცა, თავად ამ ჯგუფში დაიწყო შეჯიბრი, კამათში ვინ უფრო მეტ მგრძნობიარობას გამოავლენდა. ეს მგრძნობიარობა განსაკუთრებით გამძაფრდა პროექტის ისეთ პუნქტებთან დაკავშირებით, როგორიცაა თანამდებობებზე დაწესებული ასაკობრივი ცენზი და ტრადიციული მისაღები გამოცდები, რაც ყოველგვარ პრივილეგიებთან გამოთხოვების მაუწყებელი იყო (მაგალითად, ამ ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა საჯაროდ ისიც კი განაცხადა, რომ თუ მას კათედრის გამგეობიდან გადააყენებდნენ, მის სპეციალობაში ასპირანტებს ველარავინ აღზრდიდა, რითაც დელიკატურად მიგვანიშნა ქართული უნივერსიტეტის უპერსპექტივო მომავალზე!).

პოლიტკორექტული ჯგუფის წევრების ტაქტიკა ასეთია: ისინი თავდაპირველად გვაფრთხილებენ, რომ სულაც არ არიან რეფორმის წინააღმდეგი... და, მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ ჩვენს დარწმუნებას, თუ როგორ არაეროვნულ და საშიშ მოვლენასთან გვაქვს საქმე. სინამდვილეში, "შეურაცხყოფილთა" და "მგრძნობიარეთა" პრეტენზიების დაფარული არსი ასეთია: როდესაც რეფორმის პროექტის ავტორები ამტკიცებენ, რომ უნდა გავითვალისწინოთ ამ სფეროში მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება, განა ამით ისინი საკუთარი აზროვნების წესს უნივერსალურად არ აცხადებენ? განა ამით ისინი იმ ადამინთა ჯგუფის დისკრიმინაციას არ ახდენენ, რომელიც ლოგიკურად არ აზროვნებს, და შესაძლოა, არც აქვთ ამის სურვილი?

ამ ლოგიკის თანახმად, ისინი ზუსტად ჯდებიან პოლიტკორექტული იდეოლოგიის ჩარჩოებში და კონკრეტულად ამ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად გვთავაზობენ საბჭოური განათლების სისტემაში დარჩენას. ეს კი ინკვიზიტორული თვალსაზრისის წნეხის ქვეშ მოქცევას ნიშნავს, რაც ბევრად უფრო სახიფათოა, ვიდრე მკაცრი ცენზურის მიერ დაწესებული სანქციები.

მაშ, როგორ უნდა დავადგინოთ განათლების რეფორმის ჭეშმარიტი არსი? რაკილა მეცნიერების ფუნქცია, აზროვნების წესისა და კვლევის მეთოდების მიუხედავად, ჭეშმარიტების ძიებაა, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ჭეშმარიტების კრიტერიუმს, ამ შემთხვევაშიც, მეცნიერება წარმოადგენს. იგი ფუნქციონირებს მანამ, ვიდრე ინარჩუნებს თავის უნივერსალურ ობიექტურობას, როგორც მიზანს. საკმარისია, მეცნიერებამ ეს მიზანი დაკარგოს და იმის მტკიცება დაიწყოს, რომ მეცნიერთა მცირე ჯგუფებს თავისი ჭეშმარიტება გააჩნიათ, იგი უმალ დაასამარებს საკუთარ თავს. მეცნიერებაში მხოლოდ ერთი მარტივი წესი მოქმედებს: მისთვის სასურველია ნებისმიერი ახალი იდეა, ოღონდ იმ პირობით, რომ ყოველ ახალ იდეას კრიტიკა ესაჭიროება მანამ, ვიდრე სხვა, უფრო პროგრესული იდეა არ შეცვლის მას. განათლების რეფორმასთან დაკავშირებით ჯერ არ გაჩენილა ასეთი იდეა, მაგრამ რაკილა არ არსებობენ აბსოლუტური ჭეშმარიტებები, თავის მხრივ, არც განათლების რეფორმის იდეა არ შეიძლება იყოს საბოლოო და უცდომელი; შესაბამისად, ამ სფეროშიც არ შეიძლება არსებობდნენ საბოლოო და უცდომელი ავტორიტეტები.

სამართლიანობა მოითხოვს, ისიც აღვნიშნოთ, რომ პოლიტკორექტული ჯგუფის წევრებს რეფორმის წინააღმდეგ ბრძოლაში არაერთგვაროვანი მოტივაცია გააჩნიათ, რაზედაც მათი ზნეობისა და გამოცდილების სტატისტიკა მიგვანიშნებს. ამრიგად, ამ ჯგუფის ერთ ნაწილს შეადგენენ ადამიანები, რომელთაც კარგად უწყიან მაღალზნეობის ფასი და, თვით უკიდურეს გაჭირვებაშიც კი არ წასულან იმ კომპრომისზე, რასაც კორუფციის ფერხულში ჩაბმა ჰქვია. ამ ადამიანებს უბრალოდ ვერ დაუღწევიათ თავი საბჭოური იდეოლოგიის მარწუხებისათვის და მსოფლიო გლობალიზაციის ეპოქაშიც ამ იდეოლოგიით დამახინჯებული განათლების სისტემაში დარჩენას გვთავაზობენ.

მით უფრო დასანანია, რომ ამ ადამიანებმა, განათლების რეფორმასთან დაკავშირებით, თავიანთი გულწრფელი, თუმცა ჟამგადასული თვალსაზრისების გამოხატვით, იმ ჯგუფის ადამიანთა წისქვილზე დაასხეს წყალი, რომელთა ზნეობრივმა თამასამაც, მათი სამეცნიერო ტიტულების მიუხედავად, მეტისმეტად დაბლა დაიწია, და, რომელთა წყალობითაც, ქართული უნივერსიტეტის სახელს დაუკავშირდა მისთვის სრულიად უკადრისი და საძულველი სიტყვა: კორუფცია.

რა თქმა უნდა, რეფორმასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში მოღვაწე ამ ჯგუფსაც აქვს თავისი "ფილოსოფია", მაგრამ ეს ცნება ბევრ ისეთ "ჭეშმარიტებას" შეიცავს, რომელსაც არ შეიძლება რაიმე ჰქონდეს ისეთ მაღალ სფეროებთან, როგორიც ზნეობა, მეცნიერება და განათლებაა.

ჩვენ კი, ამ რეფორმის გულშემატკივრებსა და უშუალო მონაწილეებს, ისღა დაგვრჩენია, მის ჭეშმარიტებაზე კამათი იმ დრომდე გადავდოთ, ვიდრე განათლების სფეროში მიღწეული შედეგებით კმაყოფილებას არ ვიგრძნობთ.

## ბაზრობიდან ფესტივალებამდე



ხელოვნება ღრეობის ნაცვლად

B2

## ძალადობა თუ ძალით ძალადობა?



ის, რაც რეპს აცოცხლებს, მაშ ასე - ძალადობა

B3

## "დინამო" მიწაზე დაეშვა




"დინამომ" საკუთარ კარში ერთბაშად 5 გოლი გაუშვა

B4

მოგზაურობა

# "რომელი რწმენისაც არ უნდა იყოთ"

ლია თოფურია
ვაშინგტონიდან

თუ ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარე და თავი ვაშინგტონში ამოყავი, აუცილებლად მოგინდება ამ ქალაქის ერთ-ერთი მთავარი სიამაყე - წმინდა პეტრეს და წმინდა პავლეს სახელობის ეროვნული საკათედრო ტაძარი ნახო, ან უბრალოდ - კათედრალი, როგორც ვაშინგტონელები უწოდებენ. ამისათვის კი ქალაქის ცენტრში უნდა გახვიდე, რომელიც ცენტრი კია, მაგრამ რატომღაც მაინც მწვანეშია ჩაფლული.

ტაძარი შემაღლებულ ადგილზე დგას და მისი შპილები ქალაქის ყველა კუთხიდან მოჩანს. მეც მათკენ მივემართები. გავიარე ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უბანი, რომელსაც ჩემთვის გაუგებარი სახელი - კალორამა ჰქვია და სადაც ისეთი კოპწია და ლამაზი, კოლონიალური სტილის სახლები (არა ჩვენთვის ჩვეული გაგებით "კოლონია", არამედ ამერიკულით - "დასახლება") და ულამაზესი, მოვლილი გაზონებია, რომ ძალიან მტკივნეული პარალელის გამო, რატომღაც ტირილი მინდება.



გავდივარ ვისკონსინ-ავენიუზე და ვუახლოვდები გრანდიოზულ ნაგებობას, რომელიც მსოფლიოში ცნობილ ყველა ტაძარს რაღაცით ჩამოჰგავს, განსაკუთრებით - პარიზის ნოტრდამს, მხოლოდ აქ მასშტაბებია სხვა, ამერიკული. ჯერ კიდევ ჯორჯ ვაშინგტონმა, აშშ-ს პირველმა პრეზიდენტმა ჩაიფიქრა, ქვეყნის დედაქალაქში დიდებული ტაძარი აგებულიყო "მთელი ქვეყნის საკეთილდღეოდ." 1893 წელს კონგრესმა მიიღო დადგენილება მშენებლობის ფონდის დაფუძნების შესახებ, 1907 წელს კი პირველი ქვის ჩადების საზეიმო ცერემონია შედგა. ამ დღეს სიტყვით თეოდორ რუზველტი გამოვიდა. ამერიკელები მიყვებიან სევდიან ისტორიას - მშენებლობისათვის შესაწირი ფული პირველს პატარა, ავადმყოფ გოგონას შეუტანია, რომელიც მალე გარდაიცვალა. ამ პირველს შემდეგ მრავალი სხვა მოჰყვა. თითოეულის ავტორი უკვდავყოფილია ტაძრის კედლებზე. ნაგებობის საზეიმო გახსნა 1976 წელს მოხდა, საბოლოოდ კი იგი 1990 წელს დასრულდა. ტაძარი აგებულია გოთურ სტილში, არქიტექტორ ჰუბერტ ფრომანის მიერ და ჯვრის ფორმა აქვს. იგი სიდიდით მეექვსეა მსოფლიოში. აქ მდებარეობს ვაშინგტონის ეპარქიის ეპისკოპოსის რეზიდენცია. შენობას რამდენიმე შესასვლელი აქვს, რომელთა თაღებზე მშვენიერი ქანდაკებები წვრილი ბადეებით დაუფარავთ (ალბათ, ჩიტების შიშით). ტაძრის მთავარ შესასვლელთან წარწერა შემომეგება: "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, რომელი ეროვნების და რწმენისაც არ უნდა იყოთ!" აქ ერთი ძალიან დიდი და რამდენიმე პატარა დარბაზია, სადაც ხშირად წირვა-ლოცვა ერთდროულად მიმდინარეობს. მეტიც, აქ სხვა კონფესიების ღვთისმსახურებაც ტარდება. ღვთაებრივი ორღანი გუგუნებს, მართლაც ფანტასტიკური აკუსტიკაა. ვერა და ვერ მოვწყდი ამ თაღების, ჩუქურთმებისა და ქანდაკებების სამეფოში, ფერადი ვიტრაჟების სხივებში ხეტიალს. და კარგადაც მოვიქეცი. ასეთ სცენას შევესწარი: კათოლიკე პადრე სტუმრებს შეეგება - მართლმადიდებელ მღვდელს და იუდეველ რაბინს, გადაეხვია და სამივე ძალიან თბილად, მხიარულად საუბრობდა. მრავლისმთქმელ სცენას თითქოს რაღაც აკლდა, მაგრამ მაინც მშვენიერი სანახაობა იყო... ლიფტით ავდივარ ტაძრის შპილზე (ზღვის დონიდან 206 მეტრი - ვაშინგტონის ყველაზე მაღალი წერტილი). ირგვლივ დავდივარ, ამ მრგვალ კედლებზე ტაძრის მთელი ისტორია ძალიან თვალსაჩინოდ გამოუფენიათ, ფანჯრებს გისოსები აქვს (ყოველი შემთხვევისთვის). აქედან ულამაზესი ხედია - ვაშინგტონის მონუმენტი, კაპიტოლიუმი, ლინკოლნის მემორიალი, ბერძნული ეკლესია, თეთრი სახლი... დაბლა ვეშვები. ჩემთვის მთელი აღმოჩენა იყო ტაძრის სარდაფი. ქვის კიბეები თითქოს კატაკომბებში ჩადის და უცებ... სუვენირების და წიგნების მყუდრო მაღაზიაში აღმოჩნდები, სადაც ყველა რელიგიის შესახებ იპოვი ლიტერატურას, აგრეთვე, ყველაფერს - ამერიკის ისტორიის შესახებ. შეგიძლია, შენთვის საინტერესო წიგნით ხელში დიდ, ფუმფულა სავარძელში მოკალათდე და იკითხო და იკითხო. ასეც მოვიქეცი და იქვე, მსოფლიოში უგემრიელესი ნაყინიც (ასე მარწმუნებენ ნამდვილი ვაშინგტონელები) გეახელით...









# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ლალი როსება
"პრემიერა"
რეჟისორი: დიმიტრი ღვთისიაშვილი
დას: 20:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"კიდევაც დაიზრდებიან"
ავტორი და რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი
დას: 19:00 სთ.

**აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლი**
ახალგაზრდების შემოქმედება
ლელა თელია, მაკა შალიკაშვილი, გიორგი მეგრელიშვილი
ქართული და რუსული პოეზია, რომანსი
დას: 16:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ქალი კატა"
დას: 19:30; 22:00 სთ.

"ფარენჰეიტი 911"
დას: 14:00; 16:30 სთ.

**რუსთაველი**
"მეფე არტური"
დას 14:30; 17:00; 19:30 სთ.

"ევროტური"
დას: 12:00; 22:00 სთ.

## გამოფენები

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ძველი თბილისი სახვით ხელოვნებაში"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თბილისური შემოდგომა
(ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

**TMS**
ფოტოგამოფენა "ჩინეთი 55"

**"ქარვასლა"**
"რისკიანი მოგზაურობა - ქართველი მიგრანტები ნიდერლანდებში"
ფოტოგამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# ბაზრობიდან ფესტივალებამდე

### ხელოვნება ღრეობის ნაცვლად

ვერა ნეფარიძე

*კონკრეტულად როგორი უნდა იყოს "თბილისობა?", - არავინ იცის. არ იციან ზუსტად მათაც, ვინც სახელდახელოდ სხვა ღირებულებებზე გადაწყობილი ზეიმი შემოგვთავაზა. ხელისუფალთ არ სურთ ისეთი "თბილისობა", როგორსაც წლების განმავლობაში ვმართავდით და არც ისეთი, როგორიც ორი დღის წინათ ვიზეიმეთ. მათ სურთ რაღაც სხვა - სახელოვნებო ფესტივალი, რომელიც ევროპის ქალაქებთან კიდევ უფრო დაააახლოებთ.*



თუკი ორგანიზატორებს ვერწმუნებით, წლევანდელი მცდელობა მაინც მოკრძალებული ყოფილა; ერთგვარი ექსპერიმენტი, რომელიც მენტალიტეტის რღვევისკენ წარმატებულ ნაბიჯად მიითვალეს. და მეტიც, ის განსხვავება რაც წლევანდელსა და მის წინამორბედ "თბილისობებს" შორის არსებობდა, მნიშვნელობით რევოლუციაზე დიდ მიღწევადაც მიიჩნიეს (ეს ყველაფერი ორგანიზატორებთან კერძო საუბრებიდან გავარკვიეთ). იმის მიუხედავად, თუ როგორ ჩაიარა პირველმა ყოველწლიურმა აღმოსავლეთ ევროპის არტ-ექსპომ და რამდენად კმაყოფილია ჩვენი საზოგადოება ღონისძიებით, ის განსხვავება, რაზეც ზემოთ არის საუბარი, სწორედ ამ ღონისძიების დამსახურება იყო. თორემ, "არტ-ექსპოს" თუ არ ჩავთვლით, თბილისში ბევრი რამ ძველებურად იყო: ვერ მოვიშორეთ ფონოგრამა, რესპუბლიკის მოედანზე კვლავინდებურად "ფონოგრამშიკები" მღეროდნენ, "წვიმის მუსიკოსები" დუმდნენ, თბილისობას კი თბილისელებზე მეტად, რბილად რომ ვთქვათ, კვლავინდებურად არათბილისელები აღნიშნავდნენ. "არტ-ექსპო" იყო ძირითადი ძალა, რამაც იტვირთა მისია, შეცვლილიყო ტრადიციული ზეიმის აქცენტები: ბაზრობებიდან ხელოვნებამდე.

ამ ალიაქოთში, რაც თან სდევდა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ზეიმს, სამწუხაროდ, ღირებული თითქოს ჩაიკარგა. მათ შორის, ალბათ, ყველაზე საწყენი ბელგრადელი თანამედროვე მოცეკვავეების წარმოდგენა Hurry Up!-ის ფართო საზოგადოებამდე ვერმიტანაა. ხარვეზი მეტად პრიმიტიული იყო: ელემენტარულად არ არსებობდა კულტურულ ღონისძიებათა პროგრამა და არც მისი ფართო საზოგადოებისთვის გასაცნობად შეწუხებულა ვინმე. ხარვეზის მიუხედავად, ბელგრადელი მოცეკვავე მსახიობები (ქორეოგრაფი - სვეტლანა ჯუროვიჩი) სამეფო უბნის თეატრის სცენიდან მოგვითხრობდნენ კაცობრიობის სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე, რაც თანამედროვე მსოფლიოში მომხდარ მოვლენებზე აისახება. "არტ-ექსპოს" ფარგლებში ამავე თეატრის სცენა კიდევ ორჯერ დაიკავეს თანამედროვე მოცეკვავეებმა - ლიტვიდან და უნგრეთიდან. აირა ნაგინევიჩიუტეს (ლიტვა) დასის სანახაობა საგრძნობლად ცოცხალი იყო; ამას გარდა, წარმოდგენაზე მოსულ მცირერიცხოვან სტუმართაგან, ალბათ, ბევრი (ყველა თუ არა) კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ბალტიისპირელი მოძმე ერი სულ სხვა განზომილებაშია არა მხოლოდ პოლიტიკურ ასპექტში, არამედ თანამედროვე ხელოვნების სფეროშიც. სხვათა შორის, თბილისში წარმოდგენილი დადგმა - Processus, შარშან ლიტვაში საუკეთესოდ აღიარეს. წლევანდელი "არტ-ექსპოს" ბოლო იმპორტი თანამედროვე ცეკვის ხელოვნებიდან უნგრელი ქორეოგრაფის მარტა ლადჯანსკის "ა მი მადრე" იყო. ამ უნგრელ ქორეოგრაფს თურმე კარგად იცნობენ ევროპაში. 1996 წელს დამწყებმა ქორეოგრაფმა ჩამოაყალიბა თანამედროვე ცეკვის თეატრი KOMPmANIA, 2000 წელს კი, სადებიუტო ნამუშევრისთვის პირველი პრიზითაც დაჯილდოვდა. უნგრელი ქორეოგრაფი თბილისს თავისი ახალი დადგმით ეწვია; "ა მი მადრე" ბუდაპეშტელი მაყურებლის შემდეგ (პრემიერა 8-9 ოქტომბერს გაიმართა), თბილისელებმა იხილეს. საბოლოოდ, შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ "არტ-ექსპომ" ამ სპექტაკლების სახით ყველაზე კარგი ღონისძიებები შესთავაზა ჩვენს საზოგადოებას. რასაც ვერ ვიტყვით მუსიკალურ მხარეზე. თუმცა, პირველ ჯერზე მოგვიწევს ამას დავსჯერდეთ.





ვახო ბესელიას ფოტოები

"არტ-ექსპოზე" ორი დღის განმავლობაში დაახლოებით ათი ქვეყნიდან ასზე მეტი სტუმარი მონაწილეობდა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ "ნოა-ნოაში" (სადაც ყველა სტუმარი, მასპინძელი და ღონისძიების მუდმივი დამსწრე საზოგადოება შეიკრიბა), გამართული აღმოსავლეთ ხელოვნების მონაცემთა ბაზის პრეზენტაციამ ძირითადად სტუმარ-მასპინძლური ურთიერთობების ნიშნით ჩაიარა და ძალიანაც რომ გდომოდა, კარგად ვერ მიხვდებოდი რა ხდებოდა სცენაზე. თუმცა, საგანგებოდ შექმნილი ვებსაიტი ხომ ტყუილად არ შექმნილა. ამიერიდან "არტ-ექსპოს" ამერიკული (რომელსაც წარმოადგენს ორგანიზაცია კომპანია Mariposa Artes, Inc.) და აღმოსავლეთ ევროპის ოფისების თანამშრომლობის შედეგებსა და მიმდინარე პროექტებსაც სწორედ ამ ვებსაიტზე - www.mariposaartes.com შეგვიძლია გავეცნოთ. "ნოა-ნოაში" კვირა საღამოს ორგანიზატორებმა - აიშა დი დევისმა (ამერიკის ოფისის წარმომადგენელი) და ვანიკო თარხნიშვილმა (აღმოსავლეთ ევროპის ოფისის ხელმძღვანელი), ოფიციალურად დაასრულეს პირველი "არტ-ექსპო". ღონისძიების მნიშვნელობაზე და შედეგებზე მონაწილეები ერთდღიანი შესვენების შემდეგ (გუშინ ისინი მასპინძლებმა ქალაქგარეთ გაასეირნეს), კიდევ ერთხელ დღეს ისაუბრებენ.

# ომი და მშვიდობა ორ ნაწილად

თამაზ ხარაიშვილი
*ოზურგეთიდან*

ოზურგეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი" მერილენდის უნივერსიტეტთან არსებული IRIS center-ის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს "წინაპრები და შთამომავლები ბავშვთა უფლებების სადარაჯოზე". ამ პროექტის შესაბამისად ოზურგეთის "ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის" საგამოფენო და საკონცერტო დარბაზებმა არაერთ შთამბეჭდავ ღონისძიებას უმასპინძლა და მსმენელ-დამთვალიერებელთა შორის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მისი თემა დღეისთვის ძალზე აქტუალური და პრობლემატური გახლდათ - "ბავშვთა უფლებები ქართულ მხატვრობასა და პროფესიულ მუსიკაში". ექსპონატებში წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან არსებული საკვირაო სკოლის მოსწავლეების ფოტონამუშევრები, რომლებშიც განსხვავებული იყო ბავშვთა უფლებების დეკლარაციის ცალკეული ფუნდამენტალური დებულებები. ექსპოზიცია განიყოფოდა 2 ნაწილად: "წინაპრები" - ქართველი მხატვრები და "შთამომავლები" - ნორჩი ფოტომოყვარულები და სრულიად არ ქმნიდა შეუსაბამობას ცნობილი ქართველი მხატვრების ნიკო ფიროსმანის, მერაბ ბერძენიშვილის, ზურაბ ნიჟარაძის, დიმიტრი ერისთავის, თამარ აბაკელიას, თემო გოცაძის, ნოდარ მალაზონიას, ივანე ვეფხვაძის, მამია ახობაძისა და გურამ თიკანაძის ფოტოშედევრების გვერდით ახალბედა ფოტომოყვარულთა ნახელავი, რადგან მათ აკავშირებდათ საერთო სულისკვეთება -მიუსაფარი, ოჯახურ სითბოსა და მზრუნველობას მოკლებული ბავშვების სულიერი მდგომარეობა და მისი გამომწვევი ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი რამ - ომი, რომელიც არავის ინდობს, რომელიც ერთნაირად უსწორდება დიდსა და პატარას, ძლერსა თუ უმწეოს.

ღონისძიების მეორე ნაწილი დაეთმო ცნობილი ქართველი მუსიკოსის, კომპოზიტორ გია ყანჩელის ნაწარმოების "ნათელი სევდა" მოსმენა-განხილვას. რეკვიემი, რომელიც შეიქმნა ფაშიზმზე გამარჯვების მე-40 წლისთავთან დაკავშირებით, კომპოზიტორმა მიუძღვნა მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლ ბავშვებს. ღონისძიებამ ნათლად დაანახა სტუმრებს, რომ ომი საკაცობრიო ტკივილი და პრობლემაა, რომელსაც, დროისა და სივრცისაგან განურჩევლად, ერთნაირად მძიმე და მტკივნეული შედეგები მოაქვს კაცობრიობისათვის, რომ ომი ყველა ბოროტების: სიკვდილის, სილატაკის, შიმშილის, ობლობის, განუკითხაობის, ძალადობისა და ყველა უბედურების წყაროა. როგორც თავად კომპოზიტორი აღნიშნავს, მუსიკა აბსტრაქტული ხელოვნებაა და ტკივილს, სიხარულს, სილამაზეს, სიკეთეს ან ბოროტებას მარადიულ, უსასრულო დროში უნდა ასახავდეს... მართლაც, ყანჩელის მუსიკამ განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, გამაოგნებელი შთაბეჭდილება დატოვა მსმენელზე. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძაფრებდა ვიზუალური ფონი, დოკუმენტურ ისტორიულ კადრებზე აგებული ვიდეო-კოლაჟი, რომელიც თან გასდევდა ფონად ყანჩელის ამ შესანიშნავ ნაწარმოებს. დარბაზში კიდევ ერთხელ გაცოცხლდა მეორე მსოფლიო ომის, აფხაზეთის ომის, თბილისის სამოქალაქო ომის, ცხრა აპრილისა და ბესლანის ტრაგედიების ამსახველი კადრები. კიდევ ერთხელ გაცნობიერდა, რომ არავითარი კატაკლიზმები არ ღირს ბავშვის თუნდაც ერთ ცრემლად და, მით უმეტეს, ტკივილად.

არაჩვეულებრივ სიჩუმეში ჟღერდა მუსიკა, რომელსაც ეხმაურებოდა ომების ექო ეკრანიდან. როგორც ყანჩელი ამბობს, მისთვის მაყურებლის შეფასების საუკეთესო კრიტერიუმი სწორედ დარბაზში ჩამოვარდნილი "შემზარავი სიჩუმეა"; ამ "შემზარავმა სიჩუმემ" კიდევ ერთხელ ცხადლივ დაანახა ყველას, რომ არ არსებობს სულიერ და ხორციელ მშვიდობაზე უფრო აღმატებული საოცნებო რამ.

# ქართულ მწერლობას რადიკალიზმი სჭირდება

თამარ სუხიშვილი

ჩვეული პარასკეობები კაფე "პარნასში" ამჯერად ორშაბათობამ შეცვალა, თუმცა მხოლოდ ერთჯერადად. გარკვეულ გარემოებათა გამო, გასულ კვირას (გასულ პარასკევს) დანიშნული გაზეთ "პარნასის" პრეზენტაცია ორშაბათისთვის გადაიდო. გუშინ სულ ახლახანს დაარსებული ლიტერატურული გაზეთის მეორე ნომერი ვიხილეთ. გუშინდელ პრეზენტაციაზე გამოჩნდა, რომ გაზეთმა "პარნასმა", რომლის პირველი ნომერიც ერთი თვის წინ გამოვიდა, უკვე მოიპოვა თავისი მკითხველიც და კრიტიკოსებიც. ერთნი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ლიტერატურული გაზეთი "პარნასი" მეტ-ნაკლებად ასახავს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს და მეორენი, რომლებიც თვლიან, რომ ამ 32-გვერდიანი გაზეთის არსებობა იმას ჰგავს, 32 ფინჯან ყავაში ნახევარი კოვზი შაქარი რომ ჩაყარო (თუმცა, ყველაფრის გათვალისწინებით, ეს ნახევარი კოვზიც საქმეა)... ერთი კია, "პარნასის" მეორე ნომრის გამოსვლას ორივენი ელოდნენ - მკითხველიც და კრიტიკოსებიც.



ბაადურ ბალარჯიშვილი, კოტე ყუბანეიშვილი, არჩილ ქიქოძე, პაკო სვიმონიშვილი, გიორგი ბუნდოვანი, ნესტან კვინიკაძე, თემურ ჩხეტიანი, დალილა ბედიანიძე... - ამ ავტორთა ნაწერებს შეგიძლიათ გაზეთ "პარნასის" ფურცლებზე გაეცნოთ. აქვე წაიკითხავთ ბექა ქურხულის მოთხრობასაც, რომლის კრებულის პრეზენტაციაც ამასწინათ გაიმართა კაფე "პარნასში". ეს მოთხრობა ამ კრებულში არაა შესული. რუბრიკით "დებიუტი" წარმოდგენილია თაკო ბუილიშვილის კინომოთხრობა "ბებიაშენი" და "წითელი ბუშტი". რუბრიკა "ინტერვიუ" ამჯერად კინორეჟისორ გიო მგელაძეს მასპინძლობს. სხვათა შორის, სულ მალე მაყურებელი გიო მგელაძის ახალ ფილმს ("მიწის მუშები სარებში") იხილავს. ამჯერად რეჟისორი მკითხველის ამპლუაში წარმოგვიდგება და ლიტერატურაზე საუბრობს. მიმდინარე მოვლენათა შეფასებისას საკმაოდ პირდაპირი და კრიტიკულია: "მთლიანობაში ჭაობია. სულ მეგონა, რომ კრიზისი გაივლის, მაგრამ... დღეს, მე მგონი, ქართულ მწერლობას ჟანგბადივით სჭირდება რადიკალიზმი, რომელიც დაანგრევს დასანგრევს..."

გაზეთის ე.წ. უცხოენოვან ჩანარში, შეგიძლიათ წაიკითხოთ ლელა სამნიაშვილის ლექსების ინგლისური თარგმანები, შოთა იათაშვილის პოეზია რუსულად (ილია კუკულინის, ვლადიმერ სარიშვილის, ანა გრიგის თარგმანები) და მიხო მოსულიშვილის სამი მინიატურა ინგლისურ ენაზე.

რედაქტორის რეკომენდაციას თუ გავითვალისწინებთ, ძალიან საინტერესოა თეონა დოლენჯაშვილის მოთხრობა "ფიდაი, ანუ ამინა სამიდან ხუთამდე", რომელიც პირდაპირ ეხმიანება ტერორიზმის თემას. ეს თემა პოეზიაშიც გრძელდება ლელა სამნიაშვილის ლექსით - A Poem of a Chechen Girl ("ჩეჩენი გოგონას ლექსი").

დაბოლოს, 14 ოქტომბერს გრიგოლ ორბელიანის დაბადებიდან 200 წლისთავთან დაკავშირებით, რუბრიკაში "პორტრეტი" დაბეჭდილია ანდრე კარბელაშვილის სტატია "ცნობილი პოეტი უცნობ ამპლუაში", რომელიც პოეტის ცხოვრების ნაკლებად ცნობილ დეტალებს აშუქებს; მაგალითად, იმას, თუ როგორ გაიყვანეს საქართველოში პირველი ტელეგრაფის ხაზი თბილისსა და კოჯორს შორის, რომლის ექსპლუატაციის ხარჯთაღიცხვის დოკუმენტს გენერალ-ადიუტანტის, გრიგოლ ორბელიანის ხელმოწერა ერთვის, და სხვა. აქვე გაეცნობით "ნეზავისიმაია გაზეტაში" დაბეჭდილ სტატიას, რომელიც ლერმონტოვის 190 წლის იუბილეს ეხმიანება, და ა.შ.

გაზეთ "პარნასის" მესვეურნი გვპირდებიან, რომ მესამე ნომერი კიდევ უფრო უკეთესი იქნება: "ჩვენ ვცდილობთ, ჩვენ გარშემო, რაც შეიძლება მეტი ავტორი შემოვიკრიბოთ, რათა გაზეთში შეძლებისდაგვარად აისახოს საქართველოში მიმდინარე ლიტერატურული პროცესები. ამასთან, ვაცხადებთ, რომ ყოველგვარ შენიშვნას ვიღებთ."

"პარნასის" მესამე ნომრის გამოცემა ნოემბრის ბოლოსთვისაა დაგეგმილი.

# კეთილი განზრახვის ავანტიურისტები

დალი კუპრავა

გამომცემლობა "თობალისმა" სერიით "ახალი საუკუნე" გამოსცა პოეტების მიხეილ ქვლივიძის, ალიკა დარჩიაშვილისა და ნიკო გომელაურის ლექსები.

გუშინ, ვიდრე გრიბოედოვის თეატრში შენდეროვიჩის "ძაან" საღამო მიდიოდა, თავისუფალი თეატრის სცენაზე სამი პოეტი დარბაზს ლექსებით ესაუბრებოდა.

მიშა ქვლივიძე, ალიკა დარჩიაშვილი და ნიკო გომელაური - სხვადასხვა თაობის, განსხვავებული ხასიათისა და პოეტური სტილის შემოქმედები არიან.

"ლექსი აღსარებაა - იდუმალი წვდომა მოვლენების წიაღში. რომ ვუკვირდები განვლილ ცხოვრებას, ჟურნალისტივით მიცხოვრია: ყველა შემთხვევაზე თუ მოვლენაზე ლექსს ვწერდი და ვწერ. თებერვალში ოთხმოცი წლის ვხდები და რა:



"სიცოცხლე თავდება! სიცოცხლე თავდება,
მე კი სულ ცხოვრების დაწყებას ვაპირებ".

ეს მიხეილ ქვლივიძის სიტყვებია, რომელმაც გაიხსენა, რომ იმ ქვეყანაში იცოცხლა, რომელიც ადამიანებს კომუნიზმში ცხოვრებას ჰპირდებოდა. "არადა, ადამიანი ცხოვრებისთვის იბადება და არა იმისთვის, რომ მოემზადოს ცხოვრებისთვის" - აღნიშნა პოეტმა, რომელმაც ყოფითი და შემოქმედებითი პრობლემების გამო, ცხოვრების დიდი ნაწილი რუსეთში გაატარა, "თუმცა ლექსი რუსულად არ დამიწერიაო".

თუ სათაურის იდუმალ შინაარსს ჩაწვდებით, მაშინ იმის გაგებაც არ გაგიძნელდებათ, რომ პოეტისთვის სიტყვა კი არა, საქმეა მთავარი და ის საქმით, ლექსით ხსნის ყველაფერს, რაც იცის და რაც შეუძლია.

ისე კი, ამ სამ პოეტზე წერას მათი ლექსების კითხვა სჯობს.

# ძალადობა თუ ძალით ძალადობა?

## ის, რაც რეპს აცოცხლებს, მაშ ასე - ძალადობა

სტატისტიკა ამ მხრივ მანუგეშებელია. ბოლო ათლწეულის განმავლობაში ამერიკაში მკვლელობის რიცხვმა იკლო. იკლო ძალადობრივი დანაშაულის რიცხვმაც და დაეცა ზოგადად კრიმინალის მაჩვენებელიც.

მოკლედ, კანონი, მეტ-ნაკლებად ყველგან კანონობს. უკანონობა მხოლოდ ერთ "მისამართზე" - ჰიპ-ჰოპის ჩარტებში გრძელდება. ბოლო ორი წელია, განგსტერული რეპის პოპულარობა ისეთ ხარისხს აღწევს, რაც მთელ ჟანრს დიდი ხანია, არ ახსოვს.

არავინ უარყოფს, რომ 15-იოდე წლის წინ ქუჩამ და ქუჩის კრიმინალმა დიდი როლი შეასრულა რეპის გავრცელებაში, მაგრამ ნუთუ, ქუჩები, სადაც რეპერები იზრდებიან დღემდე ისეთივე სახიფათო და კრიმინალური თავგადასავლებით სავსეა, როგორც მღერიან!?

არც მთლად ასეა საქმე. მეტიც, ძალადობა, რომელსაც რეპერები უმღერიან, შეიძლება ითქვას, გაზვიადებული და ძალით შეთხზულია. პრინციპში, დამნაშვენი თვითონ ბენჯამინები არიან.

"და რა გასაკვირია, რომ ასეა", - განმარტავს დი ჯეი ემ სი სერჩი დეტროიტიდან, ანუ ქალაქიდან, რომლის ძალადობითა და რეპით სავსე ქუჩები ემინემმა აღწერა ავტობიოგარფიულ ფილმში "რვა მილი", - "თუ მომღერალი ფულს ქილერებსა და სისასტიკეზე სიმღერით შოულობს, ესე იგი, სულ უფრო მეტად იმღერებს ამაზე. ის გააკეთებს იმას, რაც იყიდება. მშიერი და წარმატებას მოწყურებული კაცი ხომ ყველაფერზე წავა, რომ თავი გაიტანოს".

და ასე - მსმენელს მოსწონს განგსტერული რეპი და რეპერებიც განგსტერობენ. დღეს მოდაშია ემინემის პროტეჟე 50 ცენტი, რომელსაც უკვე დიდი ხანია, სხვისი პროტეჟეობა აღარ სჭირდება. მის ჰიტს P.I.M.P. ხომ მთელი მსოფლიოს თინეიჯერობა ჰიმნივით მღერის.

განგსტერული რეპის მნიშვნელობა კი ყველაზე უკეთ მაინც ჯა რულს ესმის. რეპერს, რომელიც ორიოდე წლის წინ წარმატების მწვერვალზე იმყოფებოდა. მაშინ ერთმანეთს მიჰყვა - ჯა რულმა ოთხი პლატინის ალბომი გამოუშვა და როგორც პროდიუსერმა და სიმღერების ავტორმა საკუთარი ბიზნესი წარმატების გზაზე დააყენა. იმავე წელს მან ორი სინგლი გამოუშვა - მსგავსი პრეცედენტი კი მხოლოდ რვაჯერ მოხდა ისტორიაში, მათ შორის ელვის პრესლისა და







*თუფაქ შაქურიც და ნოტორიუს ბი აი ჯიც მოკლეს.*

"ბითლზის" შემთხვევაში.

მოკლედ, ჯა რული მეფობდა და ამას ჰიპ-ჰოპში ოქროს შუალედის პოვნით აღწევდა. ამ შუალედს კი თვითონ ასე ახასიათებდა: "როცა მე მოვედი, ორი სტილის რეპერები დამხვდნენ: რბილები და მაგრები. მე ორივე გავაერთიანე, რადგან ყველა კრიმინალს სჭირდება საყვარელი ქალი, ისევე როგორც თანამონაწილე საქმეში".

ამ ტანდემმა გაამართლა (და სხვათა შორის, მანამდე ეს ხერხი ელ ელ ქულ ჯეიმ გამოიყენა). ჯა რული მართლაც ის ტიპი აღმოჩნდა, რომელიც თავისი ძლიერებითა და განგსტერობით მამაკაცებსაც ხიბლავდა და ქალებსაც - რბილი ხასიათით.

ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ არენაზე 50 ცენტი არ გამოჩნდა.

ისიც ნიუ იორკელი იყო. მისი გავარსკვლავება ემინემმა 2002 წლის შემოდგომიდან დაიწყო და დაიწყო ჯა რულის განადგურებით. ამოცანა მათ ასე მარტივად და უხეშად დასვეს - 50 ცენტის წარმატება ჯა რულის შეურაცხყოფაზე უნდა ყოფილიყო აგებული. ეს თითქმის ისევე კარგად ჩაფიქრებული და ორგანიზებული გეგმა იყო, როგორც ამერიკის საპრეზიდენტო კამპანიებია ხოლმე.

50-მაც და ემინემმაც ფრონტის ხაზი გახსნეს. ჯა რულს აგრესიული, შეურაცხმყოფელი რიტმები ავტომატის ჯერივით დააყარეს. თითს იშვერდნენ მისკენ და სახედალმეჭილები გაჰყვიროდნენ, რომ რული სინამდვილეში რბილი კაცია, არც განგსტერობაში ესმის რამე, საგმიროც არაფერი ჩაუდენია და ეს მაშინ, როცა 50-ის ბიოგრაფია საშინელი (ანუ, საამაყო) ფაქტებით არის სავსე - ის ბავშვობიდან ნარკო-დილერი იყო და ცხრაჯერ არის მძიმედ დაჭრილი... - ამ სიტყვებს ემინემი და 50 ცენტი თავიანთი ფანების მეხსიერებაზე ტამტამებივით უკაკუნებდნენ და უკაკუნებდნენ, ჯა რულს პირადადაც შეურაცხყოფნდნენ, როცა ამის შანსი ეძლეოდათ. გაწევ-გამოწევა რამდენიმე ცერემონიალზეც კი გამართეს.

და, თქვენ წარმოიდგინეთ, გაჭრა. მართალია ჯამ და მისმა ხმის ჩამწერმა კომპანიამ გაბრძოლება სცადეს, მაგრამ ამაოდ. რეპის მცოდნენი ამბობდნენ, რომ ჯა რული დამარცხდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ 50 ცენტი უფრო ენამოსწრებული და მახვილგონიერი აღმოჩნდა; არამედ იმიტომ, რომ მან ჯა რულის ფანების თავმოყვარეობაზეც იმოქმედა. 50 ცენტი ხომ მღეროდა და ამტკიცებდა, რომ ყველა ვინც ჯა რულს უსმენს, მასსავით ქალაჩუნაა.

მეტი შეურაცხყოფა რაღა იქნებოდა და 50 ცენტის In Da Club-იც სუპერ-წარმატებული ჩანაწერი გახდა. მისი სადებიუტო ალბომი Get Rich or Die Tryin კი - 2003 წლის ყველაზე მეტად გაყიდული კომპაქტი.

ასე მოეღო მაშინ ბოლო ჯა რულის პოპულარობას, მაგრამ არა - სამუდამოდ. რული დაბრუნებას აპირებს. 50 ცენტის ტექსტების მიმართ წარმოქმნილი აღტკინებაც თითქოს მიწყნარდა და 16 ნოემბრიდან შეურაცხყოფილი რეპერი ახალ ალბომს RULE-ს გამოსცემს.

ასე რომ, მათ შემთხვევაში, ძალადობა სიმღერის ტექსტებშივე დარჩა და რეალურ ცხოვრებაში, თუ არ ჩავთვლით, რამდენიმე მსუბუქ შეკინკლავებას, არც გადმოსულა.

სამაგიეროდ, რეპს გაცილებით უფრო შავი დღეებიც ახსოვს. 1994 წელს მოხდა ასეთი ინციდენტი: ნიუ იორკში, თაიმს სკვერის ხმის ჩამწერ სტუდიაში თუფაქ შაქური გაძარცვეს და ხუთი ტყვია ესროლეს. მან ეს ყველაფერი ნოთორიოზ ბი.აი.ჯი.-სა და შონ ქომბზს დააბრალა. თუმცა, გამოძიებამ მათი კავშირი ამ შემთხვევასთან ვერაფრით დაადასტურა.

დაპირისპირებული მხარეები კი გაფრთხილდნენ და დამცველებად სხვადასხვა დაჯგუფება დაიყენეს, ერთმა - "ბლადზი", მეორემ - "ქრიფზი". მაგრამ დაცვამ დაძაბულობა ვერ ჩააცხრო. პირიქით, 1996 წლის მარტში სიტუაცია ისე გართულდა, რომ სოულის დაჯილდოების ცერემონიალზე ლოს ანჯელესში ჩხუბიც კი ატყდა, რის გამოც შოუ ჩაიშალა. უკვე ექვსი თვის შემდეგ თუფაქ შაქური მოკლეს ლას ვეგასში. მისი მკვლელობიდან ექვსი თვის თავზე კი ნოთორიოზ ბი.აი.ჯი - ლოს ანჯელესში, ისევ იმ საბედისწერო სოულის დაჯილდოების ცერემონიალზე.

რაც მთავარია, რეპის ძალადობა ამით არ ამოწურულა. 2002 წელს მკვლელობათა სერიალი გაგრძელდა და რეპერი ჯემ მასტერი ჯეიც გამოასალმეს სიცოცხლეს. არც მისი მკვლელობის საქმე გახსნილა, ისევე როგორც თუფაქ შაქურისა და ნოთორიოზ ბი.აი.ჯი.-ს.

რეპერები ციხეებშიც არიან. შონ ქომბზის პროტეჟე შაინი თაიმ სკვერის ერთ-ერთ ღამის კლუბში მომხდარი გასროლის გამო იხდის სასჯელს, გასროლის, რომელსაც ქომბზი და ჯენიფერ ლოპესიც ესწრებოდნენ.

ასეა ძალადობა და ძალით ძალადობა რეპში. ასეც ხდება და ისეც. კრიმინალი, მართლაც, არსებობს და მას სპეციალურადაც თხზავენ. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ კრიმინალი ყიდის. განგსტერული რეპი - მეფობს.

# დიდი გერმანელის შთაბეჭდილებები თბილისზე

ირმა გულიაშვილი

კავკასია და კერძოდ საქართველო, გამომდინარე თავისი გეოპოლიტიკური და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით, ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა სხვადასხვა დარგის ევროპელ მეცნიერ-მკვლევარებსა და მწერლებს შორის.

დღეს ჩვენს ქვეყანაში არაერთი კულტურული დაწესებულებაა, რომელიც ქართული და უცხოური კულტურულ-თანაცხოვრების ისტორიას და აგრეთვე თანამედროვეობას მოიცავს. ამ მხრივ, დიდ ღვაწლს წევს გოეთეს ინსტიტუტი, რომელიც გერმანელი და ქართველი სპეციალისტების ძალისხმევით დაფუძნდა. იგი ხელს უწყობს ამ ორ ერს შორის არსებული ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებასა და ფასეულ ღირებულებათა ურთიერთგაცვლას.

გასული კვირის ბოლოს, თბილისის გოეთეს ინსტიტუტში ჩატარდა ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებდა მოხსენებას კავკასიაში და კერძოდ საქართველოში გერმანელი მწერლის ფრიდრიხ ფონ ბოდენშტეტის მოგზაურობის შესახებ.

დარბაზში სიტყვით გამოვიდა გერმანელი სტუმარი რაინერ კიილჰორნი, მან დამსწრე საზოგადოებას გონდენშტენის ბიოგრაფია გააცნო.



*ფრიდრიხ ფონ ბოდენშტეტი*

ფრიდრიხი 1819 წლის 22 აპრილს ქალაქ პაინეში დაბადებულა. 21 წლის ასაკში, ბუნებით მოუსვენარი ადამიანი არაპრესტიჟულმა სამუშაომ აიძულა მშობლიური ქალაქისათვის ზურგი ექცია. მოგზაურს საფუძვლიანად შეუსწავლია რუსული ენა და 1841 წელს, მოსკოვში რუსი თავადის გალიცინის სახლში მასწავლებლად დაუწყია მუშაობა. ორი წლის შემდეგ კი ცხენითა და ნახევრად ფეხით შესდგომია დუნაის სტეპების გავლით თითქმის 2 ათას კილომეტრიან გზას თბილისისკენ.

"მთელი თბილისი ერთიან ცეცხლის ზღვას ჰგავს"... სხვადასხვა წარმოშობისა და ეროვნების ხალხი, რომელიც აქ ირევა, ჩამოსულ სტუმარს შინაურულ განწყობას უქმნისო", - უთქვამს თბილისის ლამაზი შენობებით მოხიბლულ ბოდენშტეტს. იგი მოგზაურობის დროს გაეცნო აზერბაიჯანელ პოეტს მირზა შარფს და სიყვარულის თემაზე დაწერილი მის ლექსები უთარგმნია. გერმანელ მოღვაწეს სპარსული, ქართული, სომხური და თურქული ენები შეუსწავლია და ღრმად ჩასწვდომია მისთვის "უცხო გონს" და აღმოსავლური პოეზიის საიდუმლოებებს.

უნივერსეტეტში შეკრებილ საზოგადოებას ბოდენშტეტის ლექსები წაუკითხა გერმანელმა ქალბატონმა ჰანა რიკენმა.

ღონისძიება მუსიკალური გაფორმებით გაგრძელდა. დარბაზში მყოფთა მოწონება და აღფრთოვანება დაიმსახურა დოცენტების ნატალია ჩაგანევას, მანანა ეგაძის და პროფესორ მედეა ალთუნაშვილის მუსიკალურმა საშემსრულებლო ნიჭმა.

შეხვედრის ბოლოს გერმანელ სტუმრებს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ანდრე კარბელაშვილმა ფრიდრიხის შესახებ სხვადასხვა წლებში პრესაში გამოქვეყნებული თავისი წერილები გააცნო. ყოველივემ ნათლად გვაჩვენა მოგზაურის შემოქმედება და შთაბეჭდილებები თბილისზე. ფრიდრიხს 1849-50 წლებში გამოუქვეყნებია თავისი ნაწარმოები "ათას ერთი დღე აღმოსავლეთში", სადაც მკითხველს აცნობდა ქართველ პოეტებს, განსაკუთრებით კი შოთა რუსთველზე და მის "ვეფხისტყაოსანზე" მიუთითებია. "თბილისის სალონური ცხოვრება, - წერს იგი, თითქმის არაფრისგან არ განირჩევა ევროპის დიდი ქალაქების სალონების ცხოვრებისაგან. მეტადრე საზეიმო დღეებში, ბალებზე და მთავარმართებლის სასახლეში გამართულ დღეობებზე სამოსის ისეთი ფუფუნებაა, რომლის მსგავსი კონსტანტინოპოლისა და პარიზის სალონებშიც არ მინახავს."

უცხოელი მოგზაური ქართველ მანდილოსნებს მოუხიბლავთ: "ქართველი თავადის ასულები იმდენად არიან გაევროპელებულები ზნითა და ჩაცმულობით, რომ მხოლოდ თავიანთი აღმოსავლური მშვენიერებით შეიძლება მათი გამორჩევა". გრიბოედოვის ქვრივს ნინო ჭავჭავაძეს ბოდენშტეტმა თბილისის უმშვენიერესი მშვენება უწოდა. მის შთაბაჭდილებებში ქართველი მამაკაცების ღირსებებზე გმირობაზე და ვაჟკაცობაზეც ამოვიკითხავთ. "სმა კი მაინც მთავარი სიამოვნებაა საქართველოში და ვერც ერთი ხალხი ვერ გაუწევს ამ საქმეში მეტოქეობას ქართველებს მთელ დედამიწის ზურგზე", - უთქვამს ქართული ღვინის ჭაშნიკით აღფრთოვანებულ მოგზაურს.

დიდი გერმანელის თბილისურ შთაბეჭდილებებს უცხოეთში ფართო ყურადღება დაუმსახურებია. სწორედ მისი ჩანაწერების გაცნობის შემდეგ გაუჩნდა თბილისში ჩამოსვლის სურვილი გამოჩენილ გერმანელ მეცნიერსა და გამომგონებელს, ბერლინის აკადემიის წევრს ვერნერ სიმენს.

"...ბოდენშტეტის მიერ წარმტაცი კავკასიური ბუნების ბრწყინვალე ასახვამ ჩემში გამოაღვიძა ზრახვა და სურვილი ამ ადგილების გაცნობისა", - წერდა სიმენსი.

იმ ფაქტმა, რომ საქართველოში ბოდენშტეტი კიდევ ახსოვთ, გერმანელი სტუმრების დიდი სიხარული გამოიწვია.

*პაულო კოელიოს სვეტი*

## ჭეშმარიტი სასოების შესახებ



აბუ მუჰამედ ალ-ჯურაირი ქადაგებდა ხოლმე: “რელიგიას აქვს ათგვაროვანი განძი, რომელიც თითოეულ ჩვენგანს ავსებს და ამდიდრებს. არსებობს ხუთი შინაგანი განძი და ხუთიც - გარეგანი. თითოეულმა ადამიანმა, რომელიც სულიერების გზას დაადგება, უნდა იცოდეს ეს.

შიგნით საძიებელი განძია: უნარი იყო ის, ვინც სინამდვილეში ხარ; უნარი იმისა, რომ ნაკლებად დარდობდე ქონების მოხვეჭაზე; უნარი იმისა, რომ სადად და უბრალოდ შეიმოსო; გქონდეს წონასწორობის შენარჩუნების ნიჭი, რათა, რაც შეიძლება, ნაკლებად დაუპირისპირდე სხვებს; აღზარდო საკუთარ თავში შინაგანი ძალა, რომელიც ყოველგვარ წინააღმდეგობას დაგაძლევინებს.

გარეთ საძიებელი განძია: შეიცნო უზენაესი სიყვარული; გააცოცხლო საკუთარ თავში იმის სურვილი, რომ ამ სიყვარულს შეუერთდე და მასთან ერთად იცხოვრო; იყო იმდენად გონიერი, რომ საკუთარი ცოდვების გააზრების უნარიც შეგწევდეს; შეიცნო ცხოვრება და მადლიერებით მიიღო უფლის წყალობა”.

ახლა კი ერთად წავიკითხოთ სამი ამბავი სულიერი ძიების შესახებ:

### ზუსტი პასუხი

მასწავლებელი თავის შეგირდებთან ერთად ქალაქგარეთ სეირნობდა. ისინი გატაცებით საუბრობდნენ ღმერთისმიერ სასწაულებზე, როცა მოულოდნელად საშინელი წვიმა წამოვიდა. თავის შესაფარებლად იქვე, ქოხისკენ გაიქცნენ, მაგრამ მასწავლებელმა სტუდენტები გარეთ დააყენა და უთხრა:

“ქოხში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიშვებთ, თუ სწორ პასუხს გამცემთ”.

დაბნეული ბავშვები დიდხანს იდგნენ გარეთ, წვიმაში, ილუმპებოდნენ და ცდილობდნენ, მოეფიქრებინათ რამე, რითაც მასწავლებლის გულის მოგებას შეძლებდნენ. თითქმის ორსაათიანი ლოდინის შემდეგ, ერთ-ერთმა მათგანმა თქვა:

“მაგრამ მაესტრო, თქვენ ხომ კითხვა არც დაგისვამთ? და ჩვენ კი მაინც წვიმის ქვეშ ვდგავართ, ვსველდებით და შლეგებივით ვცდილობთ პასუხის პოვნას. არადა პრობლემას როგორ იპოვი, თუ ის არ არსებობს?”

“გილოცავ, ჩემო კარგო. სწორედ ასეთი პასუხის მოსმენა მინდოდა. ამ სიტუაციას ასეთი პასუხი შეეფერება”, - მიუგო მასწავლებელმა.

### თვალისგან დაფარულად

შეიხ იუნაიდს ერთი საყვარელი შეგირდი ჰყავდა. დანარჩენებს კი მისი შურდათ. ერთ დღესაც ისინი მასწავლებელთან მივიდნენ და უთხრეს:

“გამოცდა მოგვიწყვე და ვინც საუკეთესო იქნება, დაე, ის იყოს შენი საყვარელი შეგირდი”.

შეიხი დათანხმდა და მოსწავლეებს უბრძანა, მოეტანათ ოცი ჩიტი. შემდეგ თითო ჩიტი თითო სტუდენტს დაურიგა და უბრძანა:

“წადით და დახოცეთ თქვენი ჩიტები. საუკეთესო შეგირდი იქნება ის, ვინც ფრინველს ყველა თვალისგან დაფარულ ადგილას მოკლავს”.

მოსწავლეები წავიდნენ მიყრუებული კუთხეების მოსაძებნად და შეიხის ბრძანებაც პირნათლად შეასრულეს. გამონაკლისი მხოლოდ მისი საყვარელი მოსწავლე აღმოჩნდა. მან ჩიტი არ მოკლა და საკლასო ოთახში ფრინველთან ერთად დაბრუნდა.

“რატომ არ შეასრულე ჩემი დავალება?” - ჰკითხა მას იუნაიდმა.

შეგირდმა კი მიუგო:

“იმიტომ, რომ თქვენ მიბრძანეთ ჩიტი ყველა თვალისგან დაფარულ ადგილას მომეკლა. მე ასეთ ადგილს ვერსად მივაკვლიე. სადაც არ წავედი, ყველგან ღმერთის მზერას ვგრძნობდი”.

“შენ ერთადერთი ხარ, ვინც ჩემი დავალება სრულად გაისიგრძეგანა”, - თქვა შეიხმა. დანარჩენმა მოსწავლეებმა კი მას შურისთვის პატიებმა სთხოვეს.

### სისუსტის ძებნაში

კრიშნამ გადაწყვიტა, თავისი ხელქვეითების სიბრძნე გამოეცადა.

მან დაიბარა მეფე დურიოდჰანა, რომელიც თავისი სისასტიკით იყო განთქმული და სთხოვა, თავის სამეფოში კარგი ადამიანები მოეძებნა. დურიოდჰანა მთელი წლის განმავლობაში მოგზაურობდა, ბოლოს კი კრიშნასთან ასეთი პასუხით დაბრუნდა:

“ყველანაირად ვეცადე, თქვენი დავალება შემესრულებინა, მაგრამ ასეთი ადამიანი ვერ ვიპოვე, ყველანი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ, უსამართლონი და ბოროტები არიან”.

კრიშნამ ახლა მეფე დამარაჯა დაიბარა. მას კეთილი და მოწყალე კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. კრიშნამ მეფეს სთხოვა, თავის სამეფოში ბოროტი ადამიანი ეპოვა. დამარაჯა მთელი ორი წლის განმავლობაში დადიოდა ქალაქიდან ქალაქში და ისეთ კაცს ეძებდა, როგორის პოვნაც კრიშნამ სთხოვა. ბოლოს კი დაბრუნდა და კრიშნას განუცხადა:

“მომიტევეთ ხელმწიფეო, მაგრამ ვერც ერთი ბოროტი სული ვერ აღმოვაჩინე. ცოდვიანი ბუნების მიუხედავად, თითოეულ მათგანშია კარგი და კეთილი”.

შემდეგ კრიშნა მიუბრუნდა სხვა ღმერთებს და მიუგო:

“ხედავთ? დედამიწა სარკეა, და ის აირეკლავს ყველა იმ ადამიანის ბუნებას, ვინც ამ სარკეში ყურადღებით ჩაიხედავს”.




*პაულო კოელიოს ტრილოგიის პირველი წიგნი გამოსცა “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ”. იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.*

ჭადრაკი

## ქალებმა მდგომარეობა გაიუმჯობესეს

საჭადრაკო ოლიმპიადის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ცოტა გამოასწორეს მდგომარეობა ქართველმა ქალებმა. მეცხრე ტურში ისრაელის დამარცხებით (2:1) საქართველოს ნაკრები მეათე ადგილამდე აღზევდა და მეორე ადგილს მხოლოდ ქულაღა აშორებს. პირველობაზე საუბარიც ზედმეტია, რადგან ჩინელები ტურიდან ტურამდე ზრდიან სხვაობას მდევრებთან და ახლა სხვაობა მათსა და მეორე ადგილზე მყოფ რუსებს შორის უკვე 6 ქულას აღწევს. გუშინ ჩვენი ქალები მეათე ტურში შვედეთის ნაკრებს შეხვდნენ. სხვათა შორის, შვედები ამ დღემდე ჩვენზე კარგად ასპარეზობდნენ - ცხრა ტურის შემდეგ 17 ქულით მეშვიდე ადგილზე იყვნენ.

მეცხრე ტური წარუმატებელი გამოდგა ვაჟებისთვის. ჩვენი გუნდი საფრანგეთის ნაკრებთან დამარცხდა 2,5:1,5 და ახლა მე-15 - 21-ე ადგილებს იყოფს 21,5 ქულით. მარცხის შედეგად გაიზარდა ჩამორჩენა ლიდერებთან. ახლა სასურველ მესამე ადგილს ქართველებს უკვე 2,5 ქულა აშორებთ. გუშინ საქართველოს ნაკრები დაუპირისპირდა უნგრეთის გუნდს, რომელსაც ასევე 21,5 ქულა ჰქონდა.

ბრიჯი

## ქართველი ბრიჯისტები ლიდერთა მარაქაში გაერივნენ

სტამბულში მიმდინარეობს მსოფლიო ოლიმპიადა ბრიჯში, სადაც წარმატებით ასპარეზობს საქართველოს ბრიჯისტთა ნაკრები. პირველი დღის შემდეგ ქართველი ბრიჯისტები ლიდერთა შორის იყვნენ. საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა მაროკო - 25:5 და სერბეთი - 21:9, ხოლო ლატვიასთან ფრედ - 15:15 ითამაშა. გუშინ ქართველები პირველ შეხვედრაში დამარცხდნენ შოტლანდიელებთან - 6:24. სამაგიეროდ წარმატებით ითამაშეს მომდევნო ორი მატჩი. მავრიკეთი - 16:13 დავამარცხეთ, ხოლო ბანგლადეში - 25:5. ორი დღის შემდეგ საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზეა და მხოლოდ იტალიასა და ახალი ზელანდიის გუნდებს ჩამორჩება.

ოლიმპიადა წრიული სისტემით ტარდება. პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა ოთხი ჯგუფი. ჩვენს ჯგუფში 18 გუნდია თავმოყრილი. მომდევნო ეტაპზე, ანუ მეოთხედფინალში ოთხი გუნდი გადის. შემდეგ კი მედლებისთვის ბრძოლა პლეი-ოფის სისტემით გაგრძელდება. ჩვენს ჯგუფშია იტალიის ლეგენდარული ნაკრები, რომელიც 20 წლის განმავლობაში ყველაფერს იგებდა მსოფლიოსა თუ ოლიმპიურ სარბიელზე. მათ გარდა, ჩვენი გუნდის მეტოქეები იქნებიან მსოფლიოში აღიარებული გუნდები: არგენტინა, ბელგია, ისლანდია, რუსეთი, შოტლანდია. ჩვენი გუნდი ასეთი დონის შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობს. ამიტომ, ბუნებრივია, ჯგუფიდან გასვლა ძალიან გაუჭირდებათ. თუმცა, დებიუტანტი გუნდისთვის ეს, უდავოდ, დიდი წარმატება იქნება.

მოკლედ

## ნისტელროის უჩივიან

ნინო ტიკარაძე

"მანჩესტერ იუნაიტედსა" და "არსენალს" შორის გამართულმა შეხვედრამ, შეიძლება ითქვას, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდა ეს ორი გუნდი ერთმანეთს. ინგლისური კლუბის "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარ მწვრთნელს სერ ალექს ფერგიუსონს "არსენალთან" თამაშის შემდეგ მოწინააღმდეგე გუნდის ერთ-ერთმა ფეხბურთელმა წვნიანი შეასხა, თუმცა, ბრიტანეთის მასობრივი საინფორმაციო წყაროები უარს აცხადებენ ამ, შეიძლება ითქვას, სამარცხვინო საქციელის ჩამდენის ვინაობის გამჟღავნებაზე. ამ ინციდენტთან დაკავშირებით დუმილს ამჯობინებენ საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენლებიც.

მოგეხსენებათ, მატჩი "მანჩესტერ იუნაიტედის" გამარჯვებით დამთავრდა (2:0). ბუნებრივია, "არსენალის" ფეხბურთელები უკმაყოფილონი იყვნენ შედეგით. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა და კაპიტანმა პატრიკ ვიეირამ საკუთარი მარცხი მსაჯს მაიკ რაილს დააბრალეს და კრიტიკის ქარცეცხლშიც გაატარეს. მათი აღშფოთების ერთ-ერთი მიზეზი იყო მსაჯის მიერ 73-ე წუთზე "არსენალის" კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი დარტყმა, რომელიც "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელმა რუდ ვან ნისტელროიმ შეასრულა.

"ვიცით, რომ ჩვენი წაგება ნაწილობრივ მსაჯის ბრალია, მაგრამ "მანჩეტერ იუნაიტედს" კიდევ შევხვდებით. ჩვენ უფრო ძლიერი დავბრუნდებით. თუმცა, ახლაც საკმაოდ კარგ ფორმაში ვართ. გულშემატკივრებს ერთ რამეს ვეტყვით: ნუ ინერვიულებთ, ჩვენ მხოლოდ ერთი თამაში წავაგეთ," - განაცხადა გუნდის კაპიტანმა. რაც შეეხება მთავარ მწვრთნელს არსენ ვენგერს, ის უფრო მკაცრი იყო მსაჯის მიმართ. "მე მგონია, რომ ამ მარცხმა ფეხბურთელები უფრო გააძლიერა, თუმცა, მათ უსამართლოდ მოექცნენ," - განაცხადა ვენგერმა, რომელიც მხოლოდ მსაჯის კრიტიკას არ დასჯერდა და პენალტის შემსრულებლის, "მანჩესტერს იუნაიტედის" თავდამსხმელის რუდ ვან ნისტელროის დისკვალიფიკაციის საკითხი დააყენა. საქმე ის გახლავთ, რომ ბრიტანული მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, ლონდონური კლუბის "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა თხოვნით მიმართა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას (FA), განეხილა "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელის საქციელი, რომელიც მან ამ გუნდებს შორის გამართული მატჩის დროს ჩაიდინა. როგორც ცნობილი გახდა, ტელეკამერებმა დააფიქსირა ის მომენტი, როცა ფეხბურთელმა ფეხი დაარტყა "არსენალის" მცველს ეშლი კოულს, მაგრამ ამ ინციდენტზე მატჩის არბიტრმა რეაგირება არ მოახდინა.

ვენგერის აზრით, FA-იმ ნისტელროისთან დაკავშირებით სერიოზული ზომები უნდა მიიღოს. "მინდა, რომ ეს ინციდენტი დეტალურად განიხილონ. ყველამ კარგად ვიცით, როგორ იქცევა ხოლმე ნისტელროი. მას მხოლოდ ადამიანების მოტყუება შეუძლია," - განაცხადა ვენგერმა.

თუმცა, "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელის დადანაშაულებამდე FA-იმ სერიოზულად უნდა შეისწავლოს ამ ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ფეხბურთელს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

იმედია, ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია სიმართლეს მალე გაარკვევს. მართლაც, საინტერესოა, ეს დამარცხებული გუნდის შურისძიებაა თუ უსამართლობის სამართლიანი აღდგენის მცდელობა.

### "იუვენტუსის" ყოფილ დირექტორს და ექიმს ციხე ემუქრებათ

იტალიის მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, პროკურორი, რომელიც იტალიური კლუბის "იუვენტუსის" ფეხბურთელების დოპინგთან დაკავშირებულ საქმეს იძიებს, კლუბის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორის ანტონიო ჯირაუდოსა და ექიმ რიკარდო აგრიკოლეს გასამართლებას მოითხოვს.

"იუვენტუსის" ორივე პასუხისმგებელ პირს ბრალად ედება ის, რომ 1994-1998 წლებში მათი რეკომენდაციით ფეხბურთელები აკრძალულ პრეპარატებს იღებდნენ. მათი მიზანი ტრავმირებული ფეხბურთელების გამოჯანმრთელება და, საერთოდ, ყველა ფეხბურთელის ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება იყო. პროკურორი დირექტორისთვის ორ წელიწადსა და ერთ თვეს ითხოვს, ექიმისთვის კი - სამ წელიწადსა და ორ თვეს.

ჯერ კიდევ 2002 წლის იანვარში ამ საქმის განხილვაზე სასამართლოში მოწმის რანგში რობერტო ბაჯო და ზინედინ ზიდანი გამოცხადდნენ, თუმცა, მათი განცხადებით, კლუბში თამაშის დროს ისინი არა აკრძალულ, არამედ იმ დროისთვის ნებადართულ პრეპარტებს იღებდნენ.

### დანიელი გულშემატკივარი ტრიბუნიდან გადმოვარდა

პირველად ამ უკანასკნელი წლების მანძილზე დანიის საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგაში "კოპენჰაგენსა" და "ვიბორგს" შორის მატჩის მეორე ტაიმის უკანასკნელი ნახევრის დროს მსაჯმა თამაშის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. ამის მიზეზი ცხრამეტრიანი ტრიბუნიდან 24 წლის დანიელი გულშემატკივრის გადმოვარდნა გახდა.

დაზარალებული კრიტიკულ მდგომარეობაში მიიყვანეს კოპენჰაგენის საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ჯერჯერობით უცნობია მისი გადმოვარდნის ნამდვილი მიზეზი. ზუსტად არავინ იცის, რისი ბრალი იყო ეს - ალკოჰოლის თუ მსაჯის გადაწყვეტილებით გამოწვეული აღშფოთების. არბიტრმა მასპინძელთა ერთ-ერთი ფეხბურთელი მოედნიდან გააძევა.

გულშემატკივრის გადმოვარდნამ ტრიბუნებზე მყოფი ადამიანები შოკში ჩააგდო, განსაკუთრებით ბავშვები, რომელთა უმრავლესობა საავადმყოფოში დააწვინეს და მათ ფსიქიატრიული დახმარებაც აღმოუჩინეს.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

ფეხბურთი

## "დინამო" მიწაზე დაეშვა

www.pfl.ge

მიხეილ აბაიშვილი

**ვიტ ჯორჯია - დილა 2:0**
**თბილისი - დინამო 5:0 (2:0)**

**"თბილისი":** დევაძე, გეწაძე, ოდიკაძე (ლოლაძე, 56`), გოგუა (ჭელიძე, 70), ხოჯავა (კალაძე, 74`), ელიავა, მიქაძე, მიქიაშვილი, კვარაცხელია, ორბელაძე, ფიფია.

**"დინამო":** ზოიძე, ჭიჭვეიშვილი, კანდელაკი, სალუქვაძე, შაშიაშვილი (დვალი, 46"), ალადაშვილი, ახალაია (მახარაძე, 66`), კაშია, მელქაძე (კაკალაძე, 66`), კანკავა, გიგაური.

**გოლები:** მიქაძე 17`, ორბელაძე 45`, ფიფია 58`, გეწაძე 63`, კალაძე 87`.

**გაძევება:** მიქაძე 45`, გიგაური 45`.



"თბილისთან" მატჩის შემდეგ "დინამოს" მწვრთნელ გია გეგუჩაძეს თავსატეხი აშკარად მოემატება.

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-12 ტურში იმდენი სიურპრიზი მოხდა, რომ გადაგვენაწილებინა, მთელ ჩემპიონატს ეყოფოდა. ტურის პირველ დღეს ლიდერებთან შეხვედრებში გაიმარჯვეს აუტსაიდერებმა: "სიონმა" ბათუმის "დინამო" შინ უქულოდ გაუშვა, ხოლო ახალი მთავარი მწვრთნელით თემურ მახარაძით დამუხტულმა "ზესტაფონმა" სტუმრად დაჯაბნა საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი "ლოკომოტივი". ასევე სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს ქუთაისის "ტორპედოს" საშინაო ფრე გასავარდნი ზონიდან თავის დასაღწევად მებრძოლ "კოლხეთთან".

თუმცა, მთავარი სენსაცია ჯერ კიდევ წინ იყო. გუშინ "თბილისმა" თანაქალაქელ "დინამოს" უმასპინძლა.

ვერც ვიხსენებ ეროვნულ ჩემპიონატში თამაშს, რომელშიც "დინამომ" საკუთარ კარში ერთბაშად 5 გოლი გაუშვა. უფრო მეტიც: მატჩის ბოლო წუთზე ზოიძის კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი დარტყმა დევაძეს რომ ზუსტად შეესრულებინა, ანგრიში საერთოდაც უცენზურო ხასიათს მიიღებდა. გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდა გუნდი, რომლის უდავო უპირატესობაც, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე სხვა გუნდებთან შედარებით, იმდანად აშკარა იყო, რომ დავის საგანიც არასოდეს ყოფილა.

კი ბატონო, ტრავმის გამო "დინამოს" აკლდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, მათ შორის, გუნდის კაპიტანი ნემსაძე და გამოკვეთილი ლიდერი კვირკველია, კი ბატონო, "დინამომ" სულ ოთხი დღის წინ უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში მძიმე და მომქანცველი ბრძოლა გადაიტანა, იმაშიც გეთანხმებით, რომ ეროვნული საზომებით "თბილისიც" საკმაოდ მაღალი კლასის გუნდია, მაგრამ, რაც არ უნდა ყოფილიყო, "დინამოს" ასე უთავმოყვარეოდ წაგების უფლება მაინც არ ჰქონდა.

"ყველა კომპონენტში დაგვჯაბნეს და დამსახურებულად დაგვამარცხეს", - იტყვის თამაშის შემდეგ გეგუჩაძე, რომელმაც ამ გუნდთან ერთად წლეულს სასწაული მოახდინა და აბსოლუტურად მართალიც იქნება. არის დღეები, როცა თამაში არ მიგდის, ხოლო მეტოქეს ყველაფერი გამოსდის. გუშინ, ალბათ, სწორედ ასეთი დღე იყო "დინამოსთვის". იმასაც ვერ ვიტყვი, რომ "დინამო" არ ცდილობდა, არ უტევდა და უბრძოლველად დაუთმო მეტოქეს ყველაფერი. ჩემპიონატის ლიდერი დიდი მონდომებითაც უტევდა, მაგრამ გუშინ "თბილისის" დაცვას და მის მეკარეს ვერაფერი მოუხერხა.

გოლების აღწერას აზრი არა აქვს. ლაღ, კომბინაციურ სტილში, "თბილისის" ფეხბურთელთა ოსტატობით ისეთი გოლები გავიდა, ზოიძის დასადანაშაულებლად კალამი არ მიბრუნდება. "დინამოს" დაცვა ბევრ უხეშ შეცდომას უშვებდა და სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნა ბოლო ზღუდეზე ხდებოდა. ზოიძემ რამდენიმე ეპიზოდში შეძლო საკუთარ კართან აშკარა საგოლე საფრთხის არიდება, ხუთჯერ კი, დაცვის მიერ მიტოვებულს, კაპიტულირება მოუხდა.

"დინამოს" სულ რაღაც 10 დღეში თამაში უწევს ნიუკასლის "სენტ ჯეიმს პარკზე" - ადგილობრივ "ნიუკასლ იუნაიტედთან" უეფას თასის ჯგუფური ტურნირის მეორე მატჩი აქვს გასამართი. იმედია, "ოლიმპის" სტადიონზე მიღებული "ცივი შხაპი" გამომაფხიზლებლად იმოქმედებს და კვირანახევარში იმ ძველ "დინამოს" ვიხილავთ, რომელმაც ამ სეზონში ქართველ გულშემატკივარს დიდი სიხარული აჩუქა.

**გია გეგუჩაძე ("დინამოს" მწვრთნელი):** "ძალიან ცუდად ვითამაშეთ. როგორც ჩანს, ჩემი გუნდის ფეხბურთელთა ნაწილს ბრექი შეეყარა, ჰგონიათ, რომ მათი მომგები საქართველოში არავინ არის. საწყენია ეს მარცხი, მით უმეტეს, რომ მეტოქემ ყველა ასპექტში დაგვჯაბნა და დამსახურებულად მოიგო. კარგია, რომ "ნიუკასლთან" მატჩამდე დრო კიდევ გვაქვს ანალიზის გასაკეთებლად და შეცდომების გამოსასწორებლად."

**გიორგი დევდარიანი ("თბილისის" მწვრთნელი):** "ყველა ჩემს ფეხბურთელს დიდ მადლობას ვუხდი დღევანდელი თამაშისთვის. "დინამო" საკმარისი მოტივაცია და გამაღიზიანებელი ფაქტორი აღმოჩნდა იმისთვის, რომ გუნდში არსებული მცირე უთანხმოებები დაგვევიწყებინა, ერთ ორგანიზმად ვქცეულიყავით და სეზონის საუკეთესო მატჩი გვეთამაშა. რა თქმა უნდა, მეტოქის თამაშს დაღი დაასვა ოთხი დღის წინ უეფას თასზე ჩატარებულომა შეხვედრამ. "დინამო" არ არის ის გუნდი, რომ, ვინც არ უნდა ჰყავდეს მეტოქე, ასეთი დიდი ანგარიშით დამარცხდეს."

ჩოგბურთი

## საფინის მასტერ-კლასი



მარატ საფინმა მადრიდის მასტერსი მოიგო და შამპანურით აბანავეს.

მარატ საფინმა მადრიდის მასტერსის სერიის ტურნირი მოიგო. ფინალში რუსმა ჩოგბურთელმა საკმაოდ იოლად, სამ სეტში, არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი დაამარცხა. საფინის თანამემამულე მარია შარაპოვამ კი ვერ მოახერხა ოქტომბერში ზედიზედ მესამე ტურნირის მოგება. ციურიხის ტურნირის ფინალში უიმბლდონის ტურნირის 17 წლის გამარჯვებულმა ავსტრალიელ ალისია მოლიკს დაუთმო გამარჯვება - 4:6, 6:2, 6:3 - ავსტრალიელი ჩოგბურთელის სასარგებლოდ. სამაგიეროდ შარაპოვას მასტერ-კლასი უჩვენა საფინმა და ნალბანდიანი სრულიად უპრობლემოდ დაამარცხა - 6:2, 6:4, 6:3.

მარია შარაპოვას შეეძლო, ციურიხში სეზონში თავისი მეხუთე ტურნირი მოეგო და აქედან მესამე ზედიზედ. ამას გარდა, ახალგაზრდა რუს ლამაზმანს შანსი ჰქონდა, 189 ათასი დოლარი ჩაეჯიბა (ტურნირის საპრიზო ფონდი 1,3 მილიონი დოლარი იყო), მიეთვალა 275 სარეიტინგო ქულა და მოეგო სიმპათიური ავტომობილი "პეჟო". თუმცა, ავსტრალიელმა ალისია მოლიკმა ფინალში სულ მთლად აურია დავთრები ციმბირელ ლამაზმანს.

შარაპოვამ, როგორც ფავორიტს ეკადრება, თავდაჯერებულად დაიწყო თამაში. მან მეტოქის მოწოდება აიღო და პირველი სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:4. თუმცა, აქ მარიას რაღაც დაემართა. მომდევნო სეტი შარაპოვამ ყველა კომპონენტში წააგო, ხოლო გადამწყვეტი, მესამე სეტის დასაწყისში დაკარგა საკუთარი მოწოდება. ამის მიუხედავად, შარაპოვამ შეძლო მობილიზება, სეტის შუაგულისთვის მდგომარეობა გამოასწორა და ანგარიში გაათანაბრა - 3:3. მაგრამ აქ რუს ჩოგბურთელს ახალი ვარდნა დაეწყო და, აქედან მოყოლებული, ვერც ერთი გეიმი ველარ მოიგო.

როგორც ჩანს, შარაპოვას ძალიან უნდოდა, თავისი თანამემამულე სვეტლანამა კუზნეცოვასთვის ეჯობნა. ამას წინათ კუზნეცოვამ ჯერ აშშ-ის ღია ჩემპიონატი მოიგო, შემდეგ კი ამ წარმატებას ინდონეზიის ტურნირებში გამარჯვებაც დაუმატა. პეკინში კი სვეტლანას შეეძლო, ზედიზედ მესამე ტურნირი მოეგო, მაგრამ ფინალში სერენა უილიამსთან დამარცხდა. შარაპოვაც ახლოს იყო მესამე ტურნირის მოგებასთან და ამის განცდამ, როგორც ჩანს, უარყოფითად იმოქმედა ახალგაზრდა ჩოგბურთელზე.

პრინციპში, შარაპოვას რომ მოეგო, რეკორდსმენი მაინც ვერ გახდებოდა. სეულისა და ტოკიოს ტურნირებში გამარჯვების შემდეგ ციურიხი მესამე იქნებოდა მისთვის, მაგრამ აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ლეგენდარულმა გერმანელმა ზედიზედ ოთხი ტურნირი მოიგო. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ეს ორი სეზონის შუალედში მოახერხა (1993-1994 წწ).

შარაპოვას მიზანი მიუღწეველი დარჩა, მაგრამ მას გულის დასაწყვეტად საქმე მაინც არა აქვს. როგორც ტურნირის ფინალისტმა, შარაპოვამ 102 ათასი დოლარი და 193 სარეიტინგო ქულა მიიღო. მისი სპორტული ამბიციები შეიძლება იმანაც დააოკოს, რომ ციურიხის ტურნირში შარაპოვას მძლეველმა ალისია მოლიკმა შეჯიბრებიდან გამოთიშა მარიას ორი თანამემამულე - ვერა ზვონარევა და ნადეჟდა პეტროვა. თუმცა, რაც არ უნდა ვთქვათ, ფაქტი ის არის, რომ ამ მარცხმა შეწყვიტა შარაპოვას წაუგებელი სერია, რომელიც 13 მატჩის მანძილზე გრძელდებოდა. შარაპოვას 25 სექტემბრის შემდეგ არ წაეგო, როცა ჩინეთის ტურნირის ნახევარფინალში სვეტლანა კუზნეცოვასთან დამარცხდა - 6:2, 6:2.

რაც შეეხება მეორე რუსს, მარატ საფინს, მას ყველაფერი წესრიგში აქვს და ეს კვირა მისთვის მხოლოდ წარმატების მომტანი იყო. კვირას მადრიდში, მასტერსის სერიის ფინალში, საფინმა სამ სეტში დაამარცხა სომხური წარმოშობის არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი. მოპოვებული თორმეტი ტიტულიდან მარატ საფინმა წლეულს მხოლოდ ერთი მოიგო. ბოლო დროს ის გულშემატკივრებს წაუგებელი სერიებით აღარ ანებივრებს. თუმცა, მადრიდის მასტერსის სერიის ტურნირზე (საპრიზო ფონდი 2,425 მილიონი ევრო) საფინმა, რეომელიც მესამე ნომრად იყო განთესილი, გადაწყვიტა, ყველასთვის დაემტკიცებინა, რომ ჩოგბურთის თამაში ჯერ არ დავიწყებია.

მან შეჯიბრება მეორე წრიდან დაიწყო და პირველად ესპანელი ფელიციანო ლოპესი დაამარცხა. შემდეგ ავსტრიელი შტეფან კუბეკი აიძულა, კაპიტულაცია გამოეცხადებინა, ხოლო მეოთხედფინალში სამშობლოში გაისტუმრა პერუელი ლუის ჰორნა. ნახევარფინალში საფინს ტურნირის მეორე ნომერი, ამერიკელი ანდრე აგასი გადაეყარა. მისი დამარცხების შემდეგ რუსმა ჩოგბურთელმა საბოლოოდ ირწმუნა, რომ შეჯიბრების მოგება შეეძლო. მით უფრო, რომ ფინალში არცთუ ისე უხერხული მეტოქე დავიდ ნალბანდიანი ელოდა. ხუთ პირად შეხვედრაში საფინს ოთხი მატჩი აქვს მოგებული.

ფინალი მხოლოდ საათსა და 52 წუთს გაგრძელდა, რის შემდეგაც საფინი გამარჯვების აღსანიშნავად მოემზადა.

### პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი

**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| როჟე ფედერერი (შვეიცარია) | 6460 |
| ენდი როდიკი (აშშ) | 3705 |
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 3065 |
| ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 2735 |
| გილიერმო კორია (არგენტინა) | 2575 |
| კარლოს მოია (ესპანეთი) | 2520 |
| ანდრე აგასი (აშშ) | 2365 |
| მარატ საფინი (რუსეთი) | 2325 |
| გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 1950 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1875 |

**საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| როჟე ფედერერი (შვეიცარია) | 1117 |
| ენდი როდიკი (აშშ) | 656 |
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 613 |
| კარლოს მოია (ესპანეთი) | 484 |
| გილიერმო კორია (არგენტინა) | 480 |
| მარატ საფინი (რუსეთი) | 465 |
| ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 447 |
| ანდრე აგასი (აშშ) | 393 |
| გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 383 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 355 |

**ქალები:**

| | |
|---|---|
| ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 4546.00 |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 4394.00 |
| ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 3937.00 |
| ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3491.00 |
| სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3445.00 |
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 3195.00 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2904.00 |
| ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2596.00 |
| სერენა უილიამსი (აშშ) | 2596.00 |
| ვინუს უილიამსი (აშშ) | 2332.00 |

**საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 4546.00 |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3640.00 |
| ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 3595.00 |
| სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3558.00 |
| ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3196.00 |
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 2884.00 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2809.00 |
| სერენა უილიამსი (აშშ) | 2596.00 |
| ვინუს უილიამსი (აშშ) | 2332.00 |
| ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2300.00 |

ოლიმპიზმი

# ოლიმპიური სიმშვიდე - არჩევნებამდე

გიგა გურასაშვილი

*17 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკი) ახალ მესაჭეს ირჩევს. თუ აქამდე არჩევნებს საქართველოს ოლიმპიური ოჯახი ოლიმპიური სიმშვიდით ხვდებოდა, ამჯერად ვითარება სხვაგვარია. პრეზიდენტობის კანდიდატი ოთხს პლუს ერთია! თუ რატომ პლუს, ამას ქვემოთ მოგახსენებთ. აქვე დავძენთ, რომ არჩევნებთან დაკავშირებით რამდენიმე დღის განმავლობაში საკმაოდ ჩახლართული ვითარება იყო. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კი სტატუს კვო აღადგინა. ქართულ ოლიმპიურ ოჯახში კვლავაც ოლიმპიურმა სიმშვიდემ დაისადგურა, ოღონდ არჩევნებამდე.*



*ირაკლი მეძმარიაშვილი საარჩევნო მარათონში ჩაება.*

სეოკ-მა პრეზიდენტობის მსურველთა განცხადებების მიღება აგვისტოში დაიწყო. იქვე ყველას აუწყა, მიღების ვადა 16 ოქტომბერს იწურებაო. ამ ხნის განმავლობაში კომიტეტს პრეზიდენტობის ხუთმა კანდიდატმა მიაკითხა: ლევან ახვლედიანმა (საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი), ბადრი პატარკაციშვილმა (სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტი), ბეჟან ხურციძემ (საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ფედერაციის პრეზიდენტი), რამაზ გოგლიძემ (საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდენტი) და ირაკლი მეძმარიაშვილმა (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ). საეჭვო და საჩოთირო მათ მიერ შეტანილ განცხადებებში არაფერი ყოფილა, ვიდრე სეოკ-ს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატის ირაკლი მეძმარიაშილის სახით საკუთარი კანდიდატი არ შესთავაზა. ცნობისთვის: სეოკ-ის წესდების თანახმად, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა ამა თუ იმ ფედერაციამ უნდა წარადგინოს. ამასთან, წარმდგენი ფედერაცია ოლიმპიური ოჯახის წევრი, ანუ ოლიმპიური სახეობის წარმომადგენელი უნდა იყოს. გარდა ამისა, ამა თუ იმ ფედერაციას აღმასკომიც უნდა უჭერდეს მხარს.

მივყვეთ თანმიმდევრობით, უფრო სწორად, ვცადოთ ფაქტების კონსტატაცია. ირაკლი მეძმარიაშვილი სეოკ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში 16 ოქტომბრიდან, ანუ განცხადებების მიღების ბოლო დღეს ჩაერთო. 18 ოქტომბერს სეოკ-ის აღმასკომმა საპრეზიდენტო მარათონს მწვანე შუქი აუნთო - თითოეულს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა. 19 ოქტომბერს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი ოფიციალური წერილით უარყოფს, რომ ირაკლი მეძმარიაშვილი კალათბურთის ფედერაციას არ წარუდგენია. ჩნდება ეჭვი 16 ოქტომბერს სეოკ-ში შეტანილი განცხადების მართებულობის შესახებ. ლიპარტელიანის განცხადების საფუძველზე სეოკ-ის აღმასკომის წევრებს ეკითხებიან: უნდა მოიხსნას თუ არა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის კანდიდატურა? უმრავლესობა (სეოკ-ის აღმასკომი 21 წევრს ითვლის) თანახმაა, მეძმარიაშვილის კანდიდატურა მოხსნას. შესაბამისად, მეძმარიაშვილი საპრეზიდენტო მარათონს შორდება. გუშინ ჩვენც შევეხმიანეთ კალათბურთის ფედერაციას, სადაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ირაკლი მეძმარიაშვილი სეოკ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად არ წარუდგენიათ.

20 ოქტომბერს ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახური მედიის საშუალებით ავრცელებს ოთხი კანდიდატურის ვინაობას. იმავე დღეს სეოკ-ში ამჯერად უკვე საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტსა და იმავდროულად ნაკრების მთავარ მწვრთნელს ოლეგ იაძეს შეაქვს განცხადება, რომლის მიხედვითაც სამბოს ფედერაცია მეძმარიაშვილის კანდიდატურას წარადგენს პრეზიდენტად. გაითვალისწინეთ, რომ იაძის მიერ 20 ოქტომბერს შეტანილი განცხადება 15 ოქტომბრითაა დათარიღებული. სეოკ-ი სამბოს ფედერაციის განცხადებას რეგისტრაციაში ატარებს.

მივყვეთ ლოგიკას. ნებისმიერი ადამიანი დასვამს კითხვებს: რატომ წარადგინა არაოლიმპიური სახეობის ფედერაციამ საკუთარი კანდიდატურა, ამ შემთხვევაში ირაკლი მეძმარიაშვილის? რატომ გაატარეს არაოლიმპიური სახეობის ფედერაციის განცხადება რეგისტრაციაში? თუ სამბოს ფედერაციას 15 ოქტომბერს ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ირაკლი მეძმარიაშვილი წარედგინა, მაშინ რაში დასჭირდა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კალათბურთის ფედერაციის სახელით მანიპულირება, მით უმეტეს, თუ ის ამ უკანასკნელს არ წარუდგენია?

და კიდევ: თუ მეძმარიაშვილმა 17 დეკემბრის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა, საინტერესოა, დანარჩენი კანდიდატები არაოლიმპიური ფედერაციის მიერ წარდგენილი კანდიდატურის გამარჯვებას გაასაჩივრებენ თუ არა?

ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი კითხვები დამებადა და მასზე პასუხის მისაღებად საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს მივმართე. კითხვებზე სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა მიპასუხა: "ოპონენტები ამბობენ, რომ ოლიმპიური წესდების მუხლები სხვადასხვაგვარად შეიძლება გავიგოთ. როდესაც წესდება იქმნებოდა, მართალი გითხრათ, დეტალებს არ ჩავღრმავებივართ. უბრალოდ, ბუნებრივი იყო ის, რომ კანდიდატურების წარდგენა ოლიმპიური ფედერაციების წარმომადგენლებს შეეძლოთ. სეოკ-ი დააფუძნეს ოლიმპიურმა და არა არაოლიმპიურმა ფედერაციებმა.

საერთოდ, მიღებულია, რომ ოლიმპიური ქოლგის ქვეშ არაოლიმპიური სახეობის წარმომადგენლებიც არიან შეფარებული, რაც სწორადაც მიმაჩნია, რადგან ჩვენ ერთი მიზანი და საქმე გვაქვს, საქმე, რომელსაც ქართული სპორტის კეთება ჰქვია.

ეს ყველაფერი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიზარდოს ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობათა შორის დაპირისპირებაში. დღეს ყველას საკუთარი ადგილი აქვს. და საერთოდ, დღეს თუ ერთია ოლიმპიური სახეობის წარმომადგენელი, ხვალ შეიძლება მეორე გახდეს".

ერთი სიტყვით, სეოკ-ის საპრეზიდენტო მარათონს ხუთი კანდიდატი ჰყავს. თუ ვინ დაიკავებს ქართული ოლიმპიური ოჯახის მთავარ სავარძელს, ამაზე 17 დეკემბრის არჩევნებისას მივიღებთ პასუხს.

კალათბურთი

# ვინ, რა, როგორ NBA-ში

## დასავლეთ კონფერენცია

სანდრო ნავერიანი

**10. "გოლდენ სთეით უორიორზი"**

**სასტარტო ხუთეული:** ჯეისონ რიჩარდსონი, დერეკ ფიშერი, ტროი მერფი, მაიკ დანლივი, ადონალ ფოილი.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დასავლეთ კონფერენციის გუნდებზე თანმიმდევრობით, სიძლიერის მიხედვით გიყვებოდით, მაგრამ ახლა არა მგონია, ამას აზრი ჰქონდეს, რადგან დანარჩენი ექვსი გუნდი თანაბარი ძალისაა და, ჩემი აზრით, პლეი-ოფში მათი გასვლა გამორიცხულია. შარშანდელ სეზონში "გოლდენ სთეით უორიორზმა" საშინელი კალათბურთი ითამაშა, რის შედეგადაც ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ცუდი გუნდის სახელი დაიმსახურა. ვერ ვიტყვი, რომ წლევანდელი სეზონი ოქროსშტატელებისთვის დასამახსოვრებელი იქნება, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ გუნდი არ გაძლიერებულა და უკეთეს შედეგს ვერ აჩვენებს. ოქროსშტატელმა მებრძოლებმა "ლოს-ანჯელეს ლეიკერსიდან" დერეკ ფიშერი გადაიბირა, რამაც, შეიძლება ითქვას, საგრძნობლად გააძლიერა "გოლდენ სთეით უორიორზი". დერეკ ფიშერი, ალბათ, კალათბურთის ყველა მოყვარულს ახსოვს. ახსოვს ის მომენტიც, როდესაც დასავლეთ კონფერენციის პლეი-ოფის ნახევარფინალში "ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" "სან-ანტონიო სფურზს" ხვდებოდა და მატჩის დამთავრებამდე 0,4 წამით ადრე ორ ქულას აგებდა, მაგრამ დერეკ ფიშერმა სამქულიანი ტყორცნა შეასრულა და კალიფორნიულ კლუბს გამარჯვება მოაპოვებინა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამის შემდეგ მოხვდა დერეკ ფიშერი ყურადღების ცენტრში. ალბათ, სწორედ ამიტომ შესთავაზა "გოლდენ სთეით უორიორზმა" მას სარფიანი კონტრაქტი. ფიშერის გარდა, მებრძოლების შემადგენლობაში ბევრი საკმაოდ კვალიფიციური, კარგი კალათბურთელი თამაშობს. ჯეისონ რიჩარდსონი და მაიკ დანლივი გამოცდილი კალათბურთელები არიან და, არა მგონია, მათ სარგებლის მეტი რამე მოუტანონ კალიფორნიულ კლუბს. ამას გარდა, ტროი მერფი, ადონალ ფოილი, კლიფორდ რობინსონი და ქელბერტ ჩეინი საკმაოდ დიდი ძალაა. ასეთი შემადგენლობით "გოლდენ სთეით უორიორზს" რეალურად შეუძლია, რეგულარულ სეზონში 25-30 გამარჯვება მოიპოვოს. საერთო ჯამში, "ჩიკაგო ბულზისა" არ იყოს, მათ შეუძლიათ, ეს სეზონი შეთამაშებისა და გამოცდილების მისაღებად გამოიყენონ და მომავალი სეზონიდან უკვე პლეი-ოფზე იფიქრონ.

**11. "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი"**

**სასტარტო ხუთეული:** დერეკ ანდერსონი, დემონ სტაუდემაირი, ზაკ რენდოლფი, შარიფ აბდურ-რაჰიმი, თეო რატლიფი.

შარშან "ტრეილ ბლეიზერსმა" საკმაოდ დალაგებული და ჭკვიანური კალათბურთი ითამაშა, მაგრამ სულ რაღაც ორი მატჩით ნაკლები მოიგო "დენვერ ნაგეთსზე" და ამიტომ პლეი-ოფს მიღმა დარჩა. წლეულს პორტლენდელები უფრო მაღალი მიზნებისთვის იბრძვიან, ვიდრე შარშან, მაგრამ თუ პორტლენდელთა ხელმძღვანელობის მიერ უკანასკნელ წლებში გაკეთებულ განცხადებებს გავითვალისწინებთ, მათი მიზნები მიზნებად დარჩება და ხეირიანს ვერაფერს გააკეთებენ. მიზანი ერთია და მიღწევა მეორე! ვფიქრობ, "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი" შარშანდელთან შედარებით უფრო გაძლიერებულია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ციდან ვარსკვლავებს მოწყვეტენ. პირიქით, გუნდი გადაღლილია ულიმღამოდ ჩატარებული სეზონებით და, თუ არ ვცდები, უიღბლობის სინდრომიც კი გაუჩნდათ. როგორც იცით, "ტრეილ ბლეიზერსში" ქართველი ვლადიმერ სტეფანია თამაშობს. თუმცა, შარშანდელ სეზონში ბევრი მატჩი ისე დამთავრდა, რომ სტეფანია არც კი გამოსულა მოედანზე. არა მგონია, ეს სიტუაცია წლეულს შეიცვალოს. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ვცდები კიდეც. რაც შეეხება დანარჩენ კალათბურთელებს, დემონ სტაუდემაირის სახელი ყველასთვის კარგად არის ცნობილი. საერთოდ, მიკვირს, რატომ არ გადადის სხვა კლუბში. მას ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია; ის არ თაკილობს შავი სამუშაოს შესრულებას, მოხერხებულია დაცვაში და შეტევისას მშვენივრად ართმევს თავს როგორც საშუალო, ისე შორი მანძილიდან ტყორცნას. ზაკ რენდოლფი და დერეკ ანდერსონი კი ჩვეულებისამებრ შეეცდებიან, რაც შეიძლება მეტი ქულა მოუტანონ თავიანთ გუნდს. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ამ გუნდში ქართველი კალათბურთელი თამაშობს, თორემ, სხვა მხრივ, უიღბლოების მეტი რა არის ამ ქვეყანაზე. დაბოლოს, რატომღაც დარწმუნებული ვარ, "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი" წლეულსაც პლეი-ოფს მიღმა დარჩება.

რაგბი

# "აკადემიური" ჩემპიონატი

## "იმედი L - აკადემიას" მომგები დღემდე არ გამოჩნდა

პაატა თოთაძე

ეყოლება ქვეყანას ახალი ჩემპიონი, თუ პლეი-ოფისთვის ძველებურად მომძლავრდება "ლოკომოტივი" და ჩემპიონობასაც შეინარჩუნებს? ამ კითხვაზე პასუხს ფინალამდე ვერ ველირსებით, ვარაუდით კი ორივე ვარიანტია შესაძლებელი. ძველებმა ვარჯიში დაიწყეს და, ცოტა ხანში ყველას ვუჩვენებთ, რაც ვართო, - დაიქადნეს ლოკომოტიველებმა. ნათქვამის პირველი ნაწილი თუ გამართლდა, დიდი შანსია, მეორეც გამართლდეს. ნებისმიერ შემთხვევაში "ლოკომოტივი" ის აღარ იქნება, რაც ახლაა.

რა არის ახლანდელი "ლოკომოტივი"? ყველაფერი ნათელი გახდება, თუ სატურნირო ცხრილს გადავხედავთ: ქვეყნის ჩემპიონს შვიდი მატჩიდან სამი აქვს მოგებული და ოთხეულში შესვლისთვის დიდი ბრძოლა აქვს გამართული "ყოჩებთან", რომელსაც, ალბათ, მოიგებს კიდეც. მერვე ტურში "ლოკომოტივი" "იმედი L - აკადემიას" შეხვდა და 24:33 დამარცხდა. რკინიგზელები მხოლოდ მატჩის დასაწყისში და ბოლოს ფლობდნენ უპირატესობას. სამი ლელოც მათ სწორედ ამ მონაკვეთებში გაიტანეს. შეხვედრის დასაწყისში კობერიძემ გაიტანა, მიწურულს კი - სპანდერაშვილმა და მელაძემ. მათ შორის კი აკადემიელებმა ხუთჯერ დაალელოვეს მეტოქე. ლოკომოტიველთა ბოლო ორი ლელო უკვე აღარაფერს წყვეტდა. ალბათ, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ აკადემიელები მატჩის ბოლოს მოდუნდნენ. მეორე მიზეზი კი ფიზიკური მომზადებაა - ისე ჩანდა, თითქოს მატჩის ბოლოსკენ დაიღალნენ. ასეა თუ ისე, თამაში მოიგეს და ლიდერობაც შეინარჩუნეს, თანაც, მოიგეს დიდი უპირატესობით. აშკაარა, "იმედი L - აკადემია" მშვენიერ ფორმაშია და ჩემპიონობის ყველაზე რეალური პრეტენდენტი სწორედ ისაა.

ამ თამაშამდე მერვე ტურის კიდევ ორი მატჩი გაიმართა. თბილისში "ყოჩები" ბათუმის "დათვებთან" დამარცხდნენ 12:19. საგულისხმოა, რომ მატჩი 15 წუთით ადრე შეწყდა. მსაჯის მოქმედებით უკმაყოფილო "ყოჩებმა" ჩაჩუას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ამის შემდეგ ატყდა ერთი ამბავი და მსაჯმაც მატჩის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

მსაჯის მიმართ უკმაყოფილება გამოხატეს ქუთაისელებმაც, ოღონდ საშინაო მატჩის შემდეგ თბილისის "ლელოსთან". "აია" 10:13 დამარცხდა და მასპინძლებმა წაგება მსაჯს დააბრალეს - მას რომ წესიერად ემსაჯა, არ წავაგებდითო. თუმცა, ქუთაისელებს დღემდე არც ერთი მატჩი არ მოუგიათ და მომავალ სეზონს, ალბათ, პირველ ლიგაში დაიწყებენ.

მოკლედ

## ჩინეთში ხულიგან გულშემატკივრებს დააჯარიმებენ

ჩინეთის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, იმ გულშემატკივრებს, რომლებიც მატჩის მსვლელობისას ან მის შემდეგ იხულიგნებენ, 25 დოლარის ჯარიმის გადახდა და საკანში ხუთი დღის გატარება მოუწევთ. უახლოეს დღეებში ეს გადაწყვეტილება ქვეყნის კანონმდებლობაშიც შევა. ამას გარდა, საუბარია იმაზეც, რომ ხულიგნობისთვის დაკავებულ ადამიანებს სტადიონზე შესვლა მთელი წლის განმავლობაში აუკრძალონ.

ჩინეთის მთავრობამ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ამ რამდენიმე დღის წინათ ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დროს ტრიბუნიდან ნასროლმა საგანმა მსაჯს თავი გაუტეხა. ამ ინციდენტის გამო მატჩი ათი წუთით შეჩერდა.

ბოულინგი

# იფრინეთ ლაღად KLM-თან ერთად და გახალისდით ბოულინგით!

ამ ბოლო დროს ბოულინგ-კლუბის მასშტაბით მიმდინარე ასპარეზობებმა ისე იმრავლა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა სერიოზულად დაფიქრდა სპორტული ბოულინგის შემდგომ განვითარებაზე. თუ აქამდე ბოულინგი მხოლოდ ოჯახურ-მეგობრულ გასართობად ითვლებოდა, თანდათან გაფართოვდა ასეთი თავშესაქცევის მასშტაბები.

სხვადასხვა კომპანიებმა თავიანთი სადღესასწაულო წვეულებების თუ კორპორაციული შეხვედრების გასამართად სწორედ ბოულინგცენტრზე შეაჩერეს არჩევანი. აზარტული შეჯიბრება საღამოზე მოწვეულ სტუმრებსაც ახალისებს და მასპინძლებსაც.

ჰოლანდიური ავიახაზების კომპანია KLM-მა ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლები ბოულინგცენტრში მოიპატიჟა. ზაფხულიდან ეს ავიახაზები უკვე საქართველოშია და ქართულ სამომხმარებლო ბაზარს თავის სერვისს სთავაზობს.

KLM-GEO GIA-ს გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის სტეფან გუმუსელის და მარკეტინგის მენეჯერის ქეთი ჭიჭინაძის თაოსნობით მოწვეულ სტუმრებს ბოულინგცენტრმა ჯი ემ სი ჯგუფის რესტორნების მრავალფეროვანი მენიუთი უმასპინძლა და ბოულინგში მინიტურნირიც მოაწყო. ასე ორიგინალურად აღინიშნა კომპანიის 85 წლის იუბილე.

რაც შეეხება ბოულინგურ ასპარეზს, ის მეტად არაორდინარულ ვითარებაში გაჩაღდა. მოწვეულთა უმეტესობა დამწყები ბოულერი აღმოჩნდა და მათი სარეიტინგო მაჩვენებელი, შესაბამისად, დაბალი იყო. გახსოვთ, ალბათ, ადრეც ვწერდით, ბოულინგი დემოკრატიული სახეობააო. ეს შეჯიბრებაც ერთობ დემოკრატიულად ჩატარდა. მამაკაცებს არც ქალბატონები ჩამორჩნენ: ყოველი მათგანი დიდი აზარტით ცდილობდა, საკუთარი კომპანია ესახელებინა. სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა ერთმანეთის კონკურენტი




ამდენი ტურისტული სააგენტოს თავმოყრა.

შეჯიბრება დასრულდა და გახალისებულმა სპორტსმენებმა სუფრასთან გადაინაცვლეს. ქართული, რუსული და იაპონური მენიუს ნაზავი სასმელების ფართო ასორტიმენტით მადის აღმძვრელად გამოიყურებოდა. ასე რომ, ლხინიც კარგი გაჩაღდა.

შეჯიბრებას არც ამჯერად ჩაუვლია პრიზების გარეშე. ამაზე იზრუნეს თავად KLM-GEO GIA-ს წარმომადგენლებმა და უფასო ფრენის ბილეთები უსახსოვრეს გამარჯვებულთ. ჯი ემ სი ჯგუფმა კი პრიზიორებს ტრადიციულად თავისი ბიზნესპარტნიორთა მიერ დაწესებული საჩუქრები გადასცა. კრომბახერის სასაჩუქრე ნაკრები ბატონ კობა ბუჩუკურს ერგო, ხოლო ნემიროვის არყით ზვიად ფოჩხუა დაჯილდოვდა. ორიფლეიმით დაჯილდოვდნენ შეჯიბრების ორგანიზატორები, რომლებმაც გადაწყვიტეს, იქვე, ცეკვის კონკურსზე გაეთამაშებინათ ეს პრიზები.

TV-სპორტი

## სამშაბათი. 26 ოქტომბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: სპად უები
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2003. დასავლეთ კონფერენციის ფინალი. "DALLAS MAVERICKS" - "SAN ANTONIO SPURS". მე-6 მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
13:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ლანსი" - "მარსელი"
14:45 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:50 "FUTBOL MUNDIAL"
18:20 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:15 "წვრილმანები". უკრაინა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე
19:45 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:45 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:45 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "ვოლფსბურგი". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (22:45) - თავისუფალი დარტყმა
23:50 "წვრილმანები". უკრაინა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე
00:20 00:20-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2003. ფინალი. "SAN ANTONIO SPURS" - "NEW JERSEY NETS ". მე-2 მატჩი
05:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
05:30 NBA TV - NBA შიგნიდან

**НТВ+СПОРТ**

10:00, 13:15, 21:30 პრესცენტრი
10:25, 13:30 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 "ორშაბათამდე მივატანთ"
11:15 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
11:45 ჩოგბურთი. ATP ტურნირი - "St. Petersburg Open"
13:50 "ჰოკეი-პლუს"
14:10 "არტეფაქტი". ველოსიპედი
14:40 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში. ვაჟები. გიგანტური სლალომი. მე-2 ვარჯიში
15:30 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი - "SKATE AMERICA". საჩვენებელი პროგრამა. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
17:15 ჰოკეი. NHL-ის ყველა ვარსკვლავთა მატჩების რეტროსპექტივა. 2003 წელი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:00 "ვარსკვლავური სამშაბთი"
21:00 "ბილიარდის მეუფენი"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "ჰოკეი-პლუს"
22:15 როდეო. "Bull Riders"
23:00 ჭადრაკი. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა ესპანეთში
23:30 აფროსნობა. საკრეისერო იახტებით რბოლა. რუსეთის ჩემპიონატი
00:00 ახალი ამბები
00:15 "ჰოკეი-პლუს"
00:30 "ბილიარდის მეუფენი"

**EUROSPORT**

10:30 მულტისპორტი
11:00 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები - 2004
12:00 ფეხბურთი. ევროგოლები
13:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი შვეიცარიაში
20:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი შვეიცარიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
22:30 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
23:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 მულტისპორტი
01:30 ახალი ამბები
01:45 ნასკარის ავტორბოლები
02:45 სუპერმოტო. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი ბელგიაში
03:15 ახალი ამბები

# საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ასპექტი

ჰენრი კუპრაშვილი
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

*თანამედროვე ეტაპზე პოლიტიკური პროცესების მონიტორინგის, ანალიზის, პროგნოზის, სიტუაციათა მოდელირების, შესაბამის გადაწყვეტილებათა ვარიანტების შემუშავებისა და ხელისუფლების შესაბამისი ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის არსებობის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია წარმატებული გრძელვადიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება. საქართველოს პრეზიდენტს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გარანტიების განმტკიცების, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისა და ქვეყნის წარმატებული განვითარების მასშტაბური და გრანდიოზული გეგმები აქვს. ამას კი უთუოდ წაადგება სათანადო საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა.*

### რვაწლიანი გამოცდილება

ამ თვალსაზრისით, საქართველოში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქმიანობა ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში. რვაწლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მისი უზრუნველყოფის ტექნოლოგია არცთუ ეფექტიანი აღმოჩნდა. ეროვნული უშიშროების საბჭოც (შემდგომში ეუს) კი ისე შეიქმნა, რომ არ მომხდარა საკუთრივ ეროვნული უშიშროების შინაარსის კონცეპტუალური გააზრება, შესაბამისად, მოცემული მომენტისათვის ქვეყნის განვითარების სპეციფიკის გათვალისწინებით ეროვნული უშიშროების სფეროებში რეალური პრიორიტეტებისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ გადასაწყვეტი ამოცანების განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, **არ იყო სათანადოდ გააზრებული ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ფუნქციაც. მთელი მისი საქმიანობა შექმნის დღიდანვე არ შეესაბამებოდა დანიშნულებას - საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფას**, არადა, ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობაში უმნიშვნელოვანესი როლი სწორედ მისი აპარატის მუშაობის სწორ ორგანიზაციას აკისრია.

### ცოტა ხნით "შიგნითაც ჩავიხედოთ"

ქვეყნის განვითარების სტრატეგიაში ჩადებული სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოებრივი მშენებლობის პრიორიტეტული მიმართულებები ეროვნული უშიშროების ერთიანი სისტემის კონკრეტულ შინაარსს განსაზღვრავს. მთავარი ობიექტები, რისთვისაც სახელმწიფო ეროვნული უშიშროების სისტემას ქმნის, არიან: 1. ერი (საზოგადოება), მისი მატერიალური და სულიერი ფასეულობები; 2. სახელმწიფო, მისი კონსტიტუციური წყობილება, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა; 3. პიროვნება, მისი უფლებები და თავისუფლებები.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეროვნული უშიშროების ერთიან სისტემაში მოიაზრება მრავალი კომპონენტი: პოლიტიკური უშიშროება (შიდასახელმწიფოებრივ-პოლიტიკური უშიშროება, საგარეო-პოლიტიკური უშიშროება); ეკონომიკური უშიშროება (საფინანსო-საბიუჯეტო უშიშროება, სასურსათო უშიშროება და სხვ.); ენერგეტიკული უშიშროება; სამხედრო-თავდაცვითი უშიშროება; საინფორმაციო უშიშროება; საზოგადოებრივი უშიშროება; ეკოლოგიური უშიშროება; საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური უშიშროება, სოციალური უშიშროება; ადამიანის უფლებათა დაცვის და მოქალაქეთა პირადი უშიშროება; ჯანდაცვის უშიშროება; გენეტიკური უშიშროება; დემოგრაფიული უშიშროება და სხვ. ცხადია, **ეროვნული უშიშროების შემადგენელი კომპონენტებიდან, რომელიმეს პრიორიტეტულობას განსაზღვრავს მოცემულ მომენტში ქვეყნის განვითარების სპეციფიკა, სახელმწიფოს მიზნები, არსებული საფრთხეები და წარმოქმნილი ან მოსალოდნელი მუქარები**. სანიმუშოდ თუნდაც ასეთი ფაქტიც კმარა: ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებზე სერიოზულად იხილავდნენ, მაგალითად, სამხედრო-თავდაცვითი უშიშროების საკითხებს, იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რომელთა შესრულება შეუძლებელი იყო, რადგანაც ქვეყნის ბიუჯეტის შევსება იმ პერიოდში ვერ ხერხდებოდა. ქვეყნის განვითარების იმ ეტაპისთვის ეროვნული უშიშროების საბჭოსთვის არხიპრიორიტეტული უნდა გამხდარიყო საფინანსო-საბიუჯეტო უშიშროების უზრუნველყოფა, რადგანაც ეროვნული უშიშროების ინტერესების დანარჩენ სფეროებში უშიშროების უზრუნველყოფის მიღწევა ფინანსებზეა დამოკიდებული. როდესაც ქვეყნის ხაზინა ცარიელია, რომელ ეროვნულ უშიშროებაზე შეიძლება ლაპარაკი? ამ დროს, ეკონომიკური უშიშროების პრობლემებს საერთოდ არ ეხებოდნენ ეუს აპარატში.

ეროვნული უშიშროების ამ ცალკეულ მიმართულებათა ერთიან სისტემაში ინტეგრირებისათვის საჭიროა ყველა მისი შემადგენელი ნაწილის საერთო კონცეპტუალურ საფუძველზე გააზრება და ერთიანი სტრუქტურული ფორმით წარმოდგენა, ყველა მიმართულებით მართვის მექანიზმების განსაზღვრა, სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის დამუშავება და მართვის ინსტიტუციური უზრუნველყოფა.

ამგვარმა პრაგმატულმა ორიენტაციამ უნდა განაპირობოს ყოველი მისი შემადგენელი ნაწილის სტრუქტურა, რომელშიც აისახება შესაბამისი პრობლემური სფეროს ორგანიზაციის რაციონალური საფუძვლები და ძირითადი შემადგენელი ნაწილები: 1. განსახილველი კონკრეტული სფეროს განვითარების ძირითადი სტრატეგიული ორიენტირები; 2. ძირითადი საფრთხეები, რომლებიც ამ სტრატეგიის განხორციელებას შეიძლება დაემუქროს; 3. ინდიკატორთა სისტემა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება შესაბამისი საფრთხეების იდენტიფიკაცია; 4. ეროვნული უშიშროების სისტემის შექმნისათვის ხელისუფლების უახლოესი მოქმედების მიზნების განსაზღვრა; 5. ეროვნული უშიშროების მართვის სისტემის ინსტიტუციური მოწყობა: ა) ეროვნული უშიშროების სისტემის მართვის პოლიტიკის ფორმირება, რაც გულისხმობს სტრატეგიის ყოველ კონკრეტულ ხიფათთან დაკავშირებით პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მისი განხორციელების მექანიზმების, აგრეთვე ამგვარი გადაწყვეტილებათა მიღებისათვის საჭირო ყველა სახის რესურსის (ინფორმაციული, ინტელექტუალური, მატერიალური და სხვ.) განსაზღვრას; ბ) მართვის ორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბება; იმ სახელმწიფო (არასახელმწიფო) ინსტიტუტების განსაზღვრა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ კონკრეტული სფეროს უშიშროება; უშიშროების კონკრეტულ სისტემაში პასუხისმგებელი ინსტიტუციების დადგენა; ექსტრემალურ სიტუაციებში მოქმედების პროგრამის დამუშავება და სხვ.

### რა უნდა გაკეთებულიყო?

**პირველი**, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში სტრუქტურული ქვედანაყოფები (დეპარტამენტები და სხვ.) უნდა შექმნილიყო ეროვნული უშიშროების პრიორიტეტული ამოცანების შესაბამისად;

**მეორე,** მათი დაკომპლექტება უნდა მომხდარიყო მკაცრად შერჩეული და შემოწმებული შესაბამისი სფეროს უმაღლესი კვალიფიკაციის მეცნიერ-ექსპერტებითა და ანალიტიკოსებით (ამ დაწესებულების სპეციფიკა კადრების შერჩევაში უდიდეს ყურადღებას მოითხოვს, რათა მისი დაკომპლექტება მოხდეს იმ პროფესიონალებით, ვისაც გაცნობიერებული აქვთ ქვეყნის ყველაზე საპატიო, ავტორიტეტულ და შეუბღალავ სამსახურში ყოფნის პასუხისმგებლობა და არა იმ ადამიანებით, რომლებმაც არ იციან, რას ნიშნავს ქვეყნისთვის ეროვნული უშიშროების საბჭო, მის აპარატში სამსახური და მზად არ არიან, განუზომლად შრომატევად უზარმაზარ ანალიტიკურ ინფორმაციულ ნაკადში "ტვინის ჭყლეტისათვის");

**მესამე,** ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საინფორმაციო ბანკის შექმნა (საგანგებო, რეგლამენტური, ანალიტიკური და საცნობარო ინფორმაციის მიღება, დამუშავება, დაცვა, მონაცემთა ბაზებში გადასაწყვეტი ამოცანების მიხედვით განთავსება). ცხადია, ამგვარი ინფორმაციული უზრუნველყოფის გარეშე, ლაპარაკი ზედმეტია რაიმე **სერიოზულ** ანალიტიკურ საქმიანობაზე;

**მეოთხე**, აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს (დეპარტამენტებს და სხვ.) **ეროვნული უშიშროების შესაბამის (საკურაციო) სფეროში უნდა წარემართათ პროცესების მუდმივი, უწყვეტი მონიტორინგი და მათი ანალიზი; გამოევლინათ საფრთხეები, გამოწვევები, მუქარები და დაედგინათ მათი ცვლილება-განვითარების ტენდენციები; გაეკეთებინათ პროცესების პროგნოზი, სიტუაციების მოდელირება და ეროვნული უშიშროების მოცემულ სფეროში მოემზადებინათ შესაბამისი წინმსწრები გადაწყვეტილებების ვარიანტები ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ ეროვნული უშიშროების პოლიტიკის** (სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების) **შემუშავებისა და გადაწყვეტილებათა ოპერატიული მიღების უზრუნველყოფისათვის;**

**საბჭოთა იმპერიის დამხობით გამოწვეული ერთგვარი დაბნეულობის გავლისა და ხელისუფლებაში პუტინის მოსვლის შემდეგ, მოსკოვმა ძლევამოსილების აღდგენისათვის აქტიური პოლიტიკური და დიპლომატიური საქმიანობა წამოიწყო.**

**მეხუთე**, ცხადია, აპარატში განსაკუთრებული როლი უნდა ეთამაშა **ექსპერტ-ანალიტიკოსთა იმ ჯგუფს, რომელიც ეუს-ს აპარატის ქვედანაყოფების მიერ კურირებად სფეროებში მომზადებული ანალიზის შედეგების მიხედვით აკეთებს ქვეყანაში ეროვნული უშიშროების მდგომარეობის საერთო ანალიზს, პროგნოზს, მოდელირებას და, შესაბამისად, ამზადებს ხელისუფლების მიერ ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად მისაღებ გადაწყვეტილებათა რამდენიმე ვარიანტს, რაც შემდეგ ყოველდღიურად მიეწოდება ადვილად აღსაქმელი და ლაკონური ფორმით მიმდინარე პრობლემებით დატვირთულ საქართველოს პრეზიდენტს** (მაგალითად, აშშ-ში ასეთი დოკუმენტი ორ გვერდს არ აღემატება).

ეს არის ძალიან მარტივად გადმოცემული ეროვნული უშიშროების საბჭოს **აპარატის** ფუნქციური ანატომია.

თუ ეს მექანიზმი გამართულად იმუშავებდა, მაშინ ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ადვილად მოგვარების შესაძლებლობაც გაჩნდებოდა. მაგალითად, 1996 წლიდან დაწყებული ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემუშავება (რაც დღემდე ვერაფრით მოხერხდა) ეროვნული უშიშროების ძალიან მარტივ, ანუ კლაუზევიცის და ჩაპაევის დროინდელ შეხედულებებს ეყრდნობა (ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ცნობილი ცხრა ვარიანტი), მაშინ, როდესაც დღევანდელ რეალობაში უშიშროების ცნების შინაარსმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები: XXI საუკუნემ წინ წამოწია უშიშროების ახალი ასპექტები; გამოვლინდა მათი გადამწყვეტი მნიშვნელობა გარანტიათა იმ სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნულ უშიშროებას.

### რა ხდება მოწინააღმდეგის ბანაკში?

მიმდინარე ეტაპზე მოწინააღმდეგეებიდან გამოირჩევა ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი. რუსულ საზოგადოებაში საბჭოთა იმპერიის დამხობით გამოწვეული ერთგვარი დაბნეულობის გავლისა და ხელისუფლებაში პუტინის მოსვლის შემდეგ, მოსკოვმა გავლენის შესუსტების პროცესის შეჩერებისა და ძლევამოსილების აღდგენისათვის აქტიური პოლიტიკური და დიპლომატიური საქმიანობა წამოიწყო. შეიცვალა ბრძოლის ტაქტიკა საქართველოს წინააღმდეგაც. მისი პოლიტიკა უფრო გააზრებული და მიზანმიმართული გახდა. მანამდე არსებული ელცინ-ზატულინ-მიგრანიანის (კავკასიაში **სომხურ-რუსულ ინტერესთა** თანხვედრაზე აგებულ და "რუსი" სომხების მიერ აქტიურად ლობირებულ) კონცეფციაზე შემუშავებული პოლიტიკის სანაცვლოდ. ამ თვალსაზრისით, პუტინმა მეტი ყურადღება დაუთმო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრებში ექსპერტების მიერ დამუშავებულ გრძელვადიანი პროგრამების გამოყენებას.

მაგალითად, მხოლოდ საქართველოს რეგიონში აფხაზეთის კონფლიქტის "მშვიდობიანი მოგვარების" რუსული გეგმაც კმარა. რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში აფხაზეთის რეგიონის უმტკივნეულო ინტეგრირებისათვის სისტემური გრძელვადიანი კომპლექსური პროგრამა რამდენიმე მიმართულებით აამოქმედა იმდაგვარად, რომ ცალკეული კომპონენტის რეალიზაციის პროცესმა ნაადრევად არ გამოიწვიოს საქართველოს (და მსოფლიო თანამეგობრობის) მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა და შეაფერხოს საბოლოო მიზნისკენ სვლა. პუტინმა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მაშინ, როდესაც საქართველოსთან სავიზო რეჟიმი შემოიღო. ამ აქტის უმთავრესი მიზანი დანარჩენ საქართველოსთან საზღვრის ჩაკეტვა, ხოლო ამ რეგიონთან საზღვრის ღიად დატოვება იყო და არა ტერორიზმის საფრთხე, რასაც ოფიციალური ვერსია იუწყებოდა. მაშინ ჩვენმა პოლიტიკოსებმა და ანალიტიკოსებმა კრემლის ამ ჩანაფიქრს ალღო ვერ აუღეს და სულ სხვა მიმართულებით ატეხეს ვაი-ვიში (ამას მოწმობს იმ პერიოდის მასმედია). მოსკოვს გათვლილი ჰქონდა, რომ ჩვენი ამ ცალკეულ სვლებზე გაკეთებული რეაგირება საერთო საქმეს ხელს ვერ შეუშლის და თითქმის უმტკივნეულოდ დაიწყო ამ მიწების რუსულ სივრცეში ინტეგრირება. ამოქმედდა სხვა კომპონენტებიც: დაიწყო აფხაზების რუსეთის მოქალაქეების რანგში აყვანა... აფხაზური კადრების მომზადება... სამხედრო აღმშენებლობა და შეიარაღება... საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომი და საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ტერორი... აფხაზეთის შეფარული ეკონომიკური ათვისება (საერთაშორისო ნორმების "გაუღიზიანებლად" გააძლიერა საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ეკონომიკური და სხვადასხვა კავშირები რუსეთის ფედერაციის რეგიონებთან... გაიხსნა სოჭი-სოხუმის რკინიგზის ხაზი (სამხედრო-სტრატეგიული დატვირთვის მქონე), დაიწყო სოხუმი-მოსკოვის მატარებლის მომოსვლა, ამოქმედდა სოჭი-სოხუმის საავტობუსო რეისი, ამავე დროს, დროდადრო ხდება საქართველოს დანარჩენი ნაწილის სატრანსპორტო ბლოკადაში მოქცევა...) ... ამოქმედდა ერთიანი სისტემის სხვა მრავალი შეუმჩნეველი, არა აფიშირებული ღონისძიებები, უხილავი თუ ხილული ბერკეტები...

**ზოგჯერ პოლიტიკური მოვლენები სრულიად არაპროგნოზირებადი ხდება და კარდინალურად იცვლება გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული რეალობები. ამისთვისაც უნდა ვიყოთ მზად.**

ამავე დროს, საკუთარი მიზნების საბოლოო შედეგებამდე მისაყვანად რუსეთისთვის ძალზე ხელსაყრელია კონფლიქტის მოგვარებაში შექმნილი მის მიერვე "შემოგდებული" სტატუს კვო და ყველანაირად ცდილობს მის შენარჩუნებას. დრო მის სასარგებლოდ მუშაობს, რადგანაც, ქართველებისგან განსხვავებით, მას ყველაფერი გათვლილი აქვს და მხოლოდ ის აშინებს, რომ იმპულსური ქართველებისგან შემთხვევით შექმნილმა რაიმე არაპროგნოზირებულმა ვითარებამ არ დაარღვიოს გრაფიკი (ამ თვალსაზრისით, ძალიან აშინებს "იდილიური სტაბილურობის შენჯღრევის" სააკაშვილისეული ქმედებანი, რომელიც კარგად ხედავს და გრძნობს რუსების მიერ "ჩამოგდებული მშვიდობის" სპეკულაციურ ასპექტებს და ქვეყნისათვის მისი გაჭიანურებით მოსალოდნელ დამღუპველ პერსპექტივას). მოკლედ, ამოქმედებული პროგრამის, ერთი შეხედვით, ჩვენთვის არცთუ "დამღუპველმა" ცალკეული ღონისძიების რეალიზაციის ჯამმა დაგეგმილ ვადაში რუსეთს უნდა მოუტანოს სასურველი შედეგი და საქართველო კი, უბრალოდ, ფაქტის წინაშე დააყენოს.

ბუნებრივია, საქართველოს ხელისუფლებაში უკვე 1993 წელსვე უნდა მომხდარიყო ანალიტიკური ცენტრების ორგანიზება (სპეციალიზაციის გათვალისწინებით), ექსპერტ-ანალიტიკოსების, საქართველოს მთელი ეროვნული ინტელექტუალური რესურსის მოზიდვა, რათა შემუშავებულიყო სეპარატისტულ რეგიონებში საქართველოს იურისდიქციის აღდგენის გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც გათვლილი იქნებოდა სივრცეში და დროში. რა თქმა უნდა, არაპარტიული ნიშნით, რადგანაც ხელისუფლებაში პარტიების ცვლამ ამ პროგრამის რეალიზება არ უნდა შეაფერხოს, ცხადია, არაა გამორიცხული განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ გარკვეული კორექტივების შეტანა (გარკვეული ცდები თითქოს იყო სხვადასხვა ურთიერთმოქიშპე უწყებებში, მაგრამ მათი სავალდებულო შემსრულებელი კი არა, წამკითხავიც კი არ იყო ვინმე). ალბათ, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ყველაფერი ეს არ გაკეთებულიყო.

### ილუზია

სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატს ერთი დღეც არ უმუშავია ამ დატვირთვით. აპარატის ქვედანაყოფები უფრო ფოსტალიონის როლს თამაშობდნენ სამინისტროებსა და უშიშროების საბჭოს შორის. მას ჰქონდა ნახევრად ოპერატიული, ნახევრად ცეკას აპარატის (თავისი ინსტრუქტორებითა და ინსპექტორებით) ფუნქციები, რომელიც პოლიტბიუროს სხდომებს ამზადებდა.

ეუს აპარატის "შიდა სამზარეულოში" თავიდანვე დაუპირისპირდა ერთმანეთს ორი პოზიცია. ხელფეხშეკრული "ანალიტიკოსები" უმცირესობაში აღმოჩნდნენ და ვერ შეძლეს წინააღმდეგობების დაძლევა. "არაანალიტიკოსები" კი თავიანთ პოზიციას იმით ამართლებდნენ, რომ არსებულ სიტუაციაში პრიორიტეტი უნდა მინიჭებოდა უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის პირად უშიშროებას, რადგანაც იგი იმ ეტაპზე სახელმწიფოებრიობის გადარჩენის გარანტად ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, ნაადრევად და შეუძლებლად მიაჩნდათ ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის გამართვა, რადგანაც ყველაფერს მაინც ვერ გავწვდებით და, შესაბამისად, არ არის აუცილებელი ეუს აპარატის მთლიანად საინფორმაციო-ანალიტიკურ საქმიანობაზე გადასვლა. ამ მიდგომის მცდარობა დაადასტურა იმ ფაქტმაც, რომ წინა პრეზიდენტს ვერ უშველეს.

შეიძლება ზემოთ აღნიშნულმა ფაქტორმა დროებით ეფექტურად იმუშაოს უნარიანი ხელმძღვანელის პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე (მაგალითად, როგორიც იყო სახელმწიფო კაცისა და წესიერების ეტალონი ბ-ნი ნუგზარ საჯაია, რომელიც 1996-2002 წლებში ეუს მდივანი გახლდათ. იგი საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის შეუცვლელი დასაყრდენი იყო და ამიტომაც გახდა უცხოეთის სპეცსამსახურების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ტერორის სამიზნე და მსხვერპლი), მაგრამ ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა **სისტემის** გამართულ მუშაობას უნდა ეყრდნობოდეს და არა **მხოლოდ** ცალკეული **პიროვნების** საქმიან თვისებებს.

ერთი სიტყვით, იქმნებოდა ილუზია, რომ ყველაფერი კარგად იყო. მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც არ იყო აწყობილი საქართველოს პრეზიდენტის ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული ინფორმაციული უზრუნველყოფის **სისტემა** და **პრეზიდენტი მხოლოდ გარემოცვის მიერ მიწოდებული სუბიექტური ინფორმაციით სარგებლობდა** (იხილე, სტატია "მეფემ არ იცის თორემ...". გაზ. "24 საათი", 17.06.04, №142). საკამათო არ უნდა იყოს, რომ პრეზიდენტის უშიშროების უზრუნველყოფა ბევრად უფრო ეფექტურია **მაშინ, როდესაც აწყობილია ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა და არა, მხოლოდ მისი, ცალკე აღებული კომპონენტი**.

### საჭიროა მრავალწლიანი მიზანმიმართული სისტემური და კომპლექსური მუშაობა

თუ ეს პრობლემა არ გადაიჭრა, **ძალიან გაგვიჭირდება საქართველოს ეროვნული უშიშროების რეალურად უზრუნველყოფა, სახელმწიფოებრივი სიმყარისა და სტაბილურობის მიღწევა, ყოველ შიდა თუ გარე "დამცხიკვებისას" სახელმწიფოს "თავზე დამხობის" მუდმივი შიშის სინდრომის მოხსნა**. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის თავდაუზოგავ ბრძოლას სახელმწიფოს ფეხზე დაყენებისათვის შესაბამისი საინფორმაციო-ანალიტიკური ფონი და მიღწეულ წარმატებებს სათანადო გამყარება სჭირდება.

რა თქმა უნდა, ეუს აპარატის ამ ყაიდაზე გარდაქმნა არ არის ადვილი საქმე. **მისი განხორციელება მრავალწლიან მიზანმიმართულ სისტემურ და კომპლექსურ მუშაობას მოითხოვს**, ცხადია, პრობლემა მრავალია, მაგალითად, განსაკუთრებით კადრებისა და მათი მომზადების საკითხი. ამ ეტაპზე სანთლით საძებარია სათანადო მეთოდოლოგიით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური ექსპერტ-ანალიტიკოსები, რომლებითაც უნდა დაკომპლექტდეს ეუს-ს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები. არანაკლები პრობლემაა ბოლო ორასი წლის მანძილზე ჩამოყალიბებული სხვის სახელმწიფოში ცხოვრების მენტალიტეტი, ჯერ კიდევ, ბოლომდე დაუძლეველი არასახელმწიფოებრივი აზროვნება. ეუს-ს აპარატის სპეციფიკის შესაბამისი სამუშაო რეჟიმის დანერგვის ცდა ხომ ყოველთვის წარუმატებლად მთავრდებოდა. "ზედმეტ შრომას" ბევრი ვერ ეგუება და სხვ. მაგრამ თუ სახელმწიფო გვინდა, გასაკეთებელი აუცილებლად უნდა გაკეთდეს. ძალიან კარგია და აუცილებელიც, რომ ამ ეტაპზე დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის გადარჩენის გარანტიების მოპოვების იმედი ამერიკის შეერთებულ შტატებში, აგრეთვე ევროატლანტიკურ ალიანსსა და ევროსტრუქტურებში გვაქვს, სხვა გამოსავალი არც არის. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოლიტიკური ისტორიები მოულოდნელობებით არის აღსავსე, ზოგჯერ პოლიტიკური მოვლენები სრულიად არაპროგნოზირებადი ხდება და კარდინალურად იცვლება გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული რეალობები. ამისთვისაც უნდა ვიყოთ მზად. ამიტომ, ჩვენს გასაკეთებელ საქმეს ჩვენი მცდელობა არ უნდა მოაკლდეს.

### მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის პრეროგატივა

საქართველოს პრეზიდენტისათვის ინფორმაციის ალტერნატიული წყაროს გაჩენისა და, შეაბამისად, პრეზიდენტზე ზეგავლენის შესუსტების არდაშვების გამო წინა პრეზიდენტის "არაანალიტიკური" **გარემოცვის მიერ აღმართული ყრუ კედელი რვა წლის მანძილზე ვერაფრით გაირღვა**. მაგალითად, ვერ ამოქმედდა ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის გამოცდილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ უკვე 1997 წლიდან შექმნილი და აპრობირებული სტრატეგიული ანალიზისა და მოდელირების ინფორმაციული უზრუნველყოფის ავტომატიზებული სისტემა "დიდგორი", რომელიც ითვალისწინებს ზემოთ განხილული პრობლემის მოგვარების ხელშეწყობას.

ფაქტია, არსებობდნენ ძალები, რომელთაც ხელს არ აძლევდათ ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული პროცესების სტრატეგიული ანალიზისა და საქართველოს პრეზიდენტის ინფორმაციული უზრუნველყოფის **სისტემის** შექმნა, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოს მართვის პროცესის ესოდენ აუცილებელი ელემენტია.

იმედია, ამ საკითხს ახალი პრეზიდენტის გარემოცვა მაინც მიაქცევს ყურადღებას. თუმცა, მაინც უკეთესი იქნება, თუ **საქართველოს პრეზიდენტი უშუალოდ თვითონ** დაინტერესდება ამ პრობლემის გადაწყვეტით.



# ტურიზმი და ქართული ჩუქურთმა

თეონა ჯაფარიძე

ცი-ნა-ღე-თი - დამარცვლით და ფრანგული აქცენტით იმეორებს ფრანგი ქალბატონი უძველესი ქართული სოფლის **წინარეხის** სახელწოდებას. ფრანგი ტურისტებით სავსე სამარშუტო ტაქსი კავთისხევიდან ქვათახევისაკენ აღმართებში, დანგრეულ გზებზე მიდის.

ტურისტი ჯერჯერობით ცოტა არ იყოს ხმამაღალი ნათქვამია. ტურისტებსა და ტურიზმსს მთელი რიგი ინფრასტრუქტურა ესაჭიროება, თუნდაც ისეთი ელემენტარული, როგორიცაა საგზაო ნიშნები, რომლებიც უახლოესი ძეგლის ადგილსამყოფელისაკენ მიგვასწავლის გზას. "საფრანგეთში ფეხით სიარული მოდაშია. არის 5, 10 და 20-კილომეტრიანი ტურისტული მარშრუტები თავისი რუკებითა და გზებზე შესაბამისი ნიშნებით." - გვიხსნის ბატონი მარსელი, რაზეც კულტურის მინისტრის მოადგილე ბატონი **ნიკა ვაჩეიშვილი** პასუხობს, რომ სამინისტრომ სწორედ ამ ერთი კვირის წინ დაასრულა მარშრუტზე - თბილისი-ბეთანია - მუშაობა და უკვე არსებობს ამ მარშრუტისა და თბილისის შემოგარენის ტურისტული რუკები და ბუკლეტები.

როგორც მიხვდით, ფრანგი სტუმრებისა და კულტურის სამინისტროდან ოფიციალური პირების ეს ვოიაჟი უბრალო გასეირნება არ არის და პირდაპირ კავშირშია საქართველოში ტურიზმის ხელახალ, ახალი ფორმით დაბადებასთან. როგორი იქნება ეს ახალი ფორმა? - ეს დარგი უკვე უშუალოდ დაუკავშირდება რეგიონებში ქართულ ოჯახებს, მათ მატერიალურ კეთილდღეობასა და ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას. ტურისტი მხოლოდ მატერიალურ-ისტორიული ძეგლების მშრალი დათვალიერებით კი აღარ მიიღებს საქართველოს შესახებ ინფორმაციას, არამედ ის ცოცხალ, ქართულ გარემოში - ქართული სოფლის ოჯახში მოხვდება და სწორედ ქართული სოფლის ყოფიდან გამომდინარე გაეცნობა ჩვენს არქიტექტურას, ისტორიას...

ფრანგების ათკაციანი დელეგაცია საფრანგეთის ვანდეს პროვინციიდან ქართულმა **WISG**-მა, ანუ **"ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა"** მოიწვია საქართველოში და მოატარა ყაზბეგი, თუშეთი, გურია და რაჭა. მათი ოფიციალური ვიზიტი კულტურის სამინისტროში კი კავთისხევსა და ქვათახევში ბატონ ნიკა ვაჩეიშვილთან ერთად საქმიანი გასეირნებით დასრულდა.

- რატომ აირჩიეთ კავთისხევი? - ვეკითხები ბატონ ნიკას, რაზეც მინისტრის მოადგილე მპასუხობს: "ქართლის ამ სოფლებში - კავთისხევში, წინარეხში, თვალადში უძველესი კრამიტიანი სახლები დახვეწილი აქიტექტურითაა შემორჩენილი. ეს სახლები უცხოელებისათვის ზედგამოჭრილია ერთდროულად ქართული ყოფისა და არქიტექტურის აღსაქმელად. სახლების უმეტესობა გაპარტახებულია. ფრანგები მათ მეპატრონეებს ტრენინგების საშუალებით ასწავლიან ტურიზმის ელემენტარულ ნიუანსებსა და მოთხოვნებს. ამ ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გარდა, ეს უძველესი არქიტექტურაც უფრო დაცული იქნება და გაიხანგრძლივებს სიცოცხლეს. ხალხი სიძველეებს გაუფრთხილდება, რადგან ნახავენ, რომ რაც ძველია, ის შესაბამისად ფასობს კიდეც."







ამასობაში ფრანგმა სტუმრებმა **თვალადის წმინდა გიორგის ბაზილიკაც** მოინახულეს, **მაღალაანთ ეკლესიაცა** და ბოლოს **ქვათახევსაც** მივადექით: "ქართული ტაძარი გოთურისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი ფასადიდან ან ტაძრის ერთი, რომელიმე კუთხიდან მთელ მის არქიტექტურულ სტრუქტურას ხედავ..." - უხსნის სტუმრებს ნიკა ვაჩეიშვილი და იმ "ენჯეოშნიკურ" პერიოდს იხსენებს, როცა ტურისტული ფირმები გიდებისათვის ტრენინგების ჩატარებას სთხოვდნენ.

გიდების ხსენებამ ჩვენში ეს გადავიწყებული პროფესიაც გამახსენა. გიდები მოიკითხეს ფრანგმა სტუმრებმაც: "გიდების სკოლა, შეიძლება ითქვას, თითქმის არ არსებობს, მაგრამ ეს პროფესია ხელახლა თავისით ახალმა ბაზარმა წარმოშვა. მათ რამდენიმე კერძო ტურისტულ კომპანიაში თუ შეხვდებით." - უხსნით სტუმრებს ბატონი ნიკა.

ფრანგი სტუმარი, ქალბატონი მარი ფონტენი ისევ პროფესიონალურ კითხვებს უსვამს მინისტრის მოადგილეს. კითხვები ისევ ტურიზმსა და მის ინფრასტრუქტურას ეხება: - კულტურის სამინისტროსათვის ტურიზმის დარგში ამ ეტაპზე პრიორიტეტებს რა წარმოადგენს? - კითხულობს ქალბატონი მარი.

- **კვალიფიციური კადრები, მართვის მექანიზმი, მენეჯმენტი და საკანონმდებლო ბაზის დახვეწა** - პასუხობს ბატონი ნიკა.

ერთი სიტყვით, ფრანგები ქართული სტუმარ-მასპინძლობის ანუ ყოფის დასავლურად შეფუთვას, ანუ მოხერხებული სერვისის შექმნასა და მის გაყიდვას გვასწავლიან. დახვეწილი საკანონმდებლო ბაზა კი ამ **სიმდიდრის სწორედ დასავლური ექსპანსიისაგან დაცვას იგულისხმებს**. სულ ცოტა ხანში, იმედია, სიტყვა ტურისტი და სიტყვა გიდი თავის რეალურ მნიშვნელობას დაიბრუნებს. რომელიმე ფრანგის ან ინგლისელის ოჯახმა კი, შესაძლოა, სწორედ ისეთ უძველეს და მათთვის უცნაურ, ცოტა ზღაპრულ სახლში გაუსინჯოს ქართულ ყოფას გემო, რომლის ფოტოც ჩვენი გაზეთის პირველ გვერდზეა. გიდი კი მას აუხსნის, რომ სახლი სულ ცოტა სამი საუკუნისაა, რომ ის ერთ დროს ქართველ თავადს ეკუთვნოდა და ასეთი ჩუქურთმა აღმოსავლეთ საქართველოსვისაა დამახასიათებელი...

## TV პროგრამა

26 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ტურბულენტურობა-3" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელელიპუცები" **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **23.00** დოკ. ფილმი (ნ. ქაჯაია) **23.45** მხ. ფილმი "საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები". მთ. რ-ში: ნინო მანფრედი (18) **02.05** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "დიდი ოჯახები" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** "მატარებელი" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** ლერერის შოუ **15.20** "ანშლაგი" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **16.30** ისტორიანი **17.00** მულტსერიალი **17.25** "ამბობენ" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "კარიბის გული" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.00** ქიმერიონი **00.00** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" (გ) 1-ლი ს.

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** ვიპშოუ **21.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** "კენო" **23.00** დებატები 202-ზე

### კავკასია

**14.00** ქართული მუსიკა **16.00** "საქმე და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ოქროს საყურეები" **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **23.00, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ვუპი" **11.35** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **12.05** ტელეჟურნალი "სცენა" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "მოდა" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "გვირაბი" (18) (ჰაინო ფერხი)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** სერიალი "ყავა და ლუდი" **12.20, 14.40, 03.30** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.00** ტვ-მარკეტი **13.15** "არ იდარდო" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.50** ქრონიკა **15.20** სერიალი "კლონი" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამორჩენილი ქალბატონები" 1-ლი ს. **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" მე-11ს. **22.45** "პირველები" **23.25** მხ. ფილმი "დიდი ფული" (15) (პ. ხალკი) **01.00** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **01.55** "გოლი - სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** "Шутка за шуткой". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". **13.50** Приключенческий сериал **"СОБАЧЬЕ ДЕЛО". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"СТИЛЕТ". 17.00** "Пять вечеров". Вторник. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30** Время. **22.40** Тайны века. "Москва бандитская". **23.50** "Фабрика звезд". **00.10** "Звезды эфира". Валентина Леонтьева. **00.40** Док. фильм "Генетический паспорт". **01.10** Савелий Крамаров в комедии **"МОСКВА НА ГУДЗОНЕ". 03.20** Джек Леммон в комедии **"ПАПОЧКА"**.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"БЕЗ СЛЕДА: ЛУННЫЙ СВЕТ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.15** Криминальная Россия. **10.55** "Стресс". Ток-шоу Александра Гордона. **11.50** Сериал **"СЛЕПОЙ". 13.35** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА: ВНЕЗАПНАЯ СМЕРТЬ". 14.30** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"СОКРОВИЩА МЕРТВЫХ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"СЛЕПОЙ". 20.50** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2". 22.00** "Страна и мир" **22.40** Премьера. "Короткие встречи". Ток-шоу Юлии Бордовских. **23.45** Кевин Костнер в боевике **"РОБИН ГУД - ПРИНЦ ВОРОВ" 03.00** Бильярд. **03.40** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: загадка левиафана". **04.30** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 05.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ"**.

## სკანვორდი



წინა სკანვორდის პასუხი:

სუპერმა ეიი იმელი მადიარი ადიუ ავინიონი ტრაფ... სილვერ ელვა ომი ოლიეიე ავლი კანაპე ტოროროი... უფიცი ისი მონე ზნე მაკკაპიტი ტიკი ენი ცარიზმი კონან ტროა ანკესი რონინი ხანჯ კიმპალი ადამ... ზაიცევი ლედაი რეპრიზა იზა ტარა რონინში იოგა ოგუ... კარაჟაი კოლი აირი არმაგედონი

## 23 წლის შემდეგ



U2-მ 23 წლის წინათ სიმღერის ტექსტებით სავსე დაკარგული ჩანთა დაიბრუნეს. ჩანთა 1981 წელს ორეგონის საკონცერტო გამოსვლისას გაქრა. ნივთებს შორის იყო ალბომის - October-ის სიმღერების სხვადასხვა ვარიანტი. ამ ინციდენტის გამო, ბონოს სასწრაფო რეჟიმში მიუხდა ყველაფრის თავიდან დაწერა. ამიტომაც, ჯგუფის წევრები ამ ალბომის ჩაწერას ყველაზე რთულ სამუშაო პერიოდად იხსენებენ. ჯგუფის ძვირფასეულობა 44 წლის სინდი ჰარისმა დააბრუნა. ამ ქალბატონმა ჩანთა საკუთარი სახლის სხვენში აღმოაჩინა. აქვე შეგახსენებთ, რომ ძიება, ივლისში, საფრანგეთის ქალაქ ნიცაში ჯგუფის ფოტოგადაღებების დროს დაკარგული ჩანაწერების ირგვლივ, არ დასრულებულა. ალბომი How to Dismantle An Atomic Bomb გაყიდვაში 22 ნოემბრიდან იქნება. ჯერჯერობით კი ამ ნამუშევრიდან ცნობილია სინგლი Vertigo.

## ნორა ჯონსისგან



8-9 აგვისტოს, ნეშვილში გამართული ნორა ჯონსის კონცერტების საფუძველზე მზადდება ციფრული ვიდეოჩანაწერი, რომლის გამოსვლაც დაგეგმილია 16 ნოემბერს. ჩანაწერში, სახელწოდებით - Norah Jones and the Handsome Band: Live in 2004, შევა მომღერლის მოწვეული სტუმრების - დოლი პარტონის (მასთან ერთად ჯონსი ასრულებს სიმღერას Creepin' In), ჯილიან უელშისა და დევიდ როულინგსის საკონცერტო გამოსვლები. ამას გარდა, "დი-ვი-დიში" შევა ნორა ჯონსის ყველაზე ცნობილი სიმღერები, მათ შორის: Don't Know Why, Come Away With Me და Sunrise, ასევე, გრემ პარსონის სიმღერის - She ქავერ-ვერსია. არც ეს ჩანაწერი იქნება ტრადიციადქცეული დამატებითი ნომრების გარეშე. ამ სტატუსით მაყურებელს საშუალება ექნება ნახოს მომღერლის კულისებს მიღმა სამზადისი. შეგახსენებთ, მთელი 2003 წელი ნორა ჯონსმა გასტროლებზე გაატარა. ტურნეს მიზანი იყო ალბომის Feels Like Home მხარდაჭერა; მარტო შეერთებულ შტატებში ალბომი 3,5 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა; ერთი თვის წინათ კი ალბომის ახალი, გამდიდრებული ვერსიაც გამოიცა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## 68 დოლარი 68 რარიტეტში



ცნობილი გახდა დეტალები "ნირვანას" რამდენიმე დისკისგან შემდგარი კრებულის შესახებ. With The Lights Out-ის ოფიციალური გამოსვლის თარიღი 22 ნოემბერია. ფირმა NME-ის წარმომადგენელთა თქმით, ოთხდისკიანი კომპილაციის 81 სიმღერიდან 68 აქამდე არც ერთ ჩანაწერში არ შესულა. საკოლექციო იშვიათობათა შორისაა სარეპეტიციო ჩანაწერები, სხვადასხვა სიმღერის კობეინისეული "შავი", სამუშაო ვერსიები. განსაკუთრებული ყურადღების საგანია ჩანაწერის მომავალი მფლობელებისთვის საჩუქრად განკუთვნილი ციფრული ვიდეოსაკონცერტო და კულისებს მიღმა ჩანაწერებით. მთელ ამ ავლადიდებას თან დართული ექნება 60-გვერდიანი ბუკლეტი. ამჟამად ჯგუფის ყოფილი წევრები კობეინის ქვრივთან ერთად ისევ კომპილაციის ვიზუალურ მხარეს არკვევენ. ვარაუდობენ, რომ ჩანაწერის ფასი 60-70 ამერიკული დოლარი იქნება. ინტერნეტში კი გამოჩნდა ოთხდისკიანი კრებულის პრომოსაიტი. მართალია ის ამჟამად იტვირთება, მაგრამ უახლოეს მომავალში აქ განთავსდება აუდიოფაილები, ვიდეო და ფოტოგალერა.

ამასობაში "ნირვანას" ტრიოდან შემორჩენილი დეივ გროლი და კრის ნოვოსელიკი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში პირველად გამოჩნდნენ ერთად დიდი აუდიტორიის წინაშე. მუსიკოსები ჯორჯ ბუშის დაკავებული პოსტიდან წასვლის მომხრეებს შეუერთდნენ. Foo Fighters-ის ლიდერი დეივ გროლი და ამჟამად შემოქმედებით შვებულებაში გასული ნოვოსელიკი ერთმანეთს 19 ოქტომბერს დემოკრატების კანდიდატის ჯონ კერის მხარდასაჭერ მიტინგზე შეხვდნენ ერთმანეთს. მუსიკოსები ამ ხნის განმავლობაშიც მეგობრობდნენ, მაგრამ ფართო აუდიტორიის წინაშე ისინი ერთად არავის უნახავს.

## დაბრუნებული რარიტეტები

ქაიროს ეროვნულ მუზეუმში ის 619 მოპარული რარიტეტია გამოფენილი, რომელიც ეგვიპტემ დიდი ბრიტანეთისგან მიიღო. 2000 წელს დაკარგული ძველი ეგვიპტური ექსპონატები ჯერ შვეიცარიაში გადაიგზავნა, შემდეგ კი დიდ ბრიტანეთში. ექსპონატების ნაწილს ამჟამად ექსპერტები ამოწმებენ. გენერალური პროკურატურა კი, აგრძელებს მუშაობას ბოლო დროს განხორციელებული "დიდი ქურდობების" საქმის გასახსნელად.

**2004 წლის 14 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "საჯარო სამართლის იურიდიული პირის განვითარების და რეფორმების ფონდის " შექმნის შესახებ.**

**ფონდის მიზნები, მმართველობითი სტრუქტურა, ფუნქციონირება და ხარჯები არის საჯარო ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება წლიური ანგარიშების სახით და ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით.**

**გთხოვთ იხილოთ ჩვენი ვებ-გვერდი:**
**www.drf.org.ge**







## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.